მსოფლიოს მილიარდერები და ბიძინა ივანიშვილი

აპრილი, 2019

Forbes GEORGIA

რეიტინგი
საქართველოს
100
უმსხვილესი
კომპანია

რეიტინგის ლიდერი

SOCAR ENERGY GEORGIA ₾1.45-მილიარდიანი შემოსავლით და ₾1.17-მილიარდიანი აქტივებით საქართველოს უმსხვილესი კომპანიაა.

1
nano
Coca-Cola
Orbit

PAYOT
HOMME

შექმნილია საფრანგეთში მამაკაცის კანის სრულყოფილი მოვლისთვის.

მარტივია გამოყენებისას, ხსნის დისკომფორტს, იცავს და აახალგაზრდავებს კანს

OPTIMALE

ესტე, Estée
პროფესიონალური კოსმეტიკა

ი. აბაშიძის 24 / ტელ.: 2 24 24 55

54 | საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია

32 | მსოფლიოს მილიარდერები

Forbes GEORGIA

ფაქტი და კომენტარი

12 | რატომ ვერ იბრუნებს ბრიტანეთი დიდებას?
ავტორი: სტივ ფორბსი

LEADERBOARD

14 | მსოფლიოს 20 უმდიდრესი ადამიანი

18 | ბიძინა ივანიშვილის ქონება

19 | მილიარდერთა სიიდან გაცხრილულები

TBILISI Hotel Ambassadori • 13 Ioane Shavteli street • T. +99 5 577 255 500

STEFANO RICCI

64 | საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია

92 | FORBES LIFE

20 | მილიარდერთა სიის ახალწვეულები

22 | არქივიდან: მასას სამოქმედო გეგმა, 5 ივლისი, 1999

23 | ყველაზე პოპულარული ონლაინსტატიების ხუთეული

24 | მფრინავი პარლამენტარები: დეპუტატთა სამივლინებო ხარჯები

მოსაზრება

26 | რა ნატოსფრად ირიშრაშა! // ალექსი პეტრიაშვილი

28 | მრავალმოქმედებიანი პიესა თიბისი ბანკზე // რომან გოცირიძე

30 | რა დაგვანახვა თიბისის საქმემ // გიგა ბედინეიშვილი

მსოფლიოს მილიარდერები

32 | კაპიტალიზმის გადააზრება
მილიარდერები წელს ერთგვარ კუდიანებად არიან ქცეულნი: ძალიან ბევრ ხალხს მიაჩნია, რომ სისტემა მათ წინააღმდეგ მუშაობს.
ავტორი: რენდალ ლეინი

38 | ტრამპის საიდუმლო ქონება
პრეზიდენტის უმსხვილესი ჰოლდინგი $900-მილიონიანი წილია იმ ორ შენობაში, რომლებიც მის სახელს არ ატარებს. მათ ზოგიერთ მობინადრესაც კი არაფერი მოეხსენება ამ ხელშეკრულების შესახებ.
ავტორი: დენ ალექსანდერი და ჩეიზ პიტერსონ-უიტორნი

საქართველოს წამყვანი ბიზნეს-გადაცემები

TV პირველი

გაატარეთ სამუშაო დღეები ჩვენთან:

ანალიტიკა
15:00-16:00 PM
22:30-23:00 PM
(ყოველ პარასკევს)

საქმის კურსი
15:00-16:00 PM
22:30-23:00 PM

ქალების ნარატივი
11:00-12:00 PM

საქმიანი დილა
07:55-11:00 AM

WWW.BM.GE

სტრატეგიები

44 | მწვანე ენერგიის მომავალი
2019 წლიდან ნეტო-აღრიცხვაში - განახლებადი ენერგიის საკუთარი წყაროს რეგულაციებში - საინტერესო ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებებზე Forbes Georgia სემეკის წევრს, გიორგი ფანგანს ესაუბრა.
ავტორი: ელენე ჩომახიძე

ანტრეპრენიორები

48 | თავიდან დაწყება
მერიგრეის სექსტონმა თავისი ფორთოხლის წვენის კომპანია გაყიდა და შემდეგ უყურა, თუ როგორ დაიწყეს მისი გაფუჭება. სამაშველო ოპერაცია გახდა საჭირო.
ავტორი: ქლოი სორვინო

საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია

53 | საქართველოს უმსხვილესი კომპანიების რეიტინგი
100 კომპანიის შემოსავალი 2017 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 46%-ის ტოლი იყო. ანუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაახლოებით ნახევარი სწორედ მათზე მოდის.

54 | რეიტინგის ლიდერი
1.17 მილიარდი ლარის ღირებულების აქტივებით და 1.45 მილიარდი ლარის შემოსავლით, Socar Energy Georgia რეიტინგის ასეულის 18-მილიარდიანი აქტივების 6.4%-ს და შემოსავლების 8.3%-ს ქმნის.
ავტორი: ელენე კვანჭილაშვილი

64 | „თეგეტა მოტორსის“ წარმატების ისტორია
„თეგეტა“ ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენი წლისაც კაპიტალიზმია საქართველოში.
სალომე ჯიპაშვილი

ინვესტიციები

68 | თამაშის გამსხვილება
Ajarabet-ის საკონტროლო პაკეტის შეძენით Paddy Power Betfair-მა საქართველოში €116-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, რითაც ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორი გახდა. Forbes Georgia პირველი მედიასაშუალებაა, რომელიც კომპანიის დირექტორს, პიტერ ჯექსონს გაესაუბრა.
ავტორი: მარიამ ზურაბაშვილი

www.forbes.ge

ახალი ამბები / News

ქართულად, ინგლისურად, რუსულად, თურქულად.

facebook.com/forbesgeo

twitter.com/forbesgeorgian

youtube.com/forbesgeorgian

pinterest.com/forbesgeorgia

linkedin.com/company/forbes-georgia

instagram.com/forbesgeorgia

74 | მამუკა ხაზარაძე ანაკლიის შესახებ
მანამ, სანამ უცხოელი პარტნიორები ანაკლიის პროექტში ასობით მილიონი დოლარის ჩადების გადაწყვეტილებას მიიღებენ, ღიად რჩება სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები.
ავტორი: გიორგი ისაკაძე

ეკონომიკა

80 | „გაზპრომი“ და დივერსიფიკაცია: კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს // მურმან მარგველაშვილი

82 | ბუღალტერიისა და აუდიტის რეფორმა: პირველი შეფასება // ერეკლე პირველი

86 | საქართველოში ინვესტიციები 2009 წლის დონეზეა // ბესო ნამჩავაძე

ისტორია

90 | საქართველო და აბრეშუმის დიდი გზა: მითი თუ რეალობა?
ავტორი: ემილ ავდალიანი

FORBES LIFE

92 | როგორ შევქმნათ უკეთესი ტესლა?
ავტორი: ჩაკ ტენერტი

აზრები

96 | კეთილშობილების შესახებ

აპრილი 2019, N 85

რედაქციის მისამართი: საქართველო, 0160, თბილისი, გამრეკელის 19; ტელ.: (+995 32) 223 77 07; ე-მეილი: info@forbes.ge
Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა. საცალო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს. ISSN 2233-3487

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სამგზავნი "ომეგა თეგი"
სარჩევიანი, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 32 253 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 32 253 03 62

Copyright 2011 საქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. სამარკო ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს საქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75
გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს: „ბპგ გარდიან ეგვიპტური“ და „ბპგ პრიმა“.

Forbes GEORGIA

მთავარი რედაქტორი
გიორგი ისაკაძე

აღმასრულებელი რედაქტორები
შოთა დიღმელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი

არტდირექტორი, ფოტორედაქტორი
სერგა ნემსიწვერიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
გოგი ქავთარაძე

დამკაბადონებელი
ქეთა ჟორჟოლიანი

ფოტოგრაფები
ხათუნა ხუციშვილი, ჯაბა ჩიტიძე

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
საქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი
ლელი მირიჯანაშვილი

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

Forbes USA
Editor-In-Chief
Steve Forbes

Chief Content Officer
Randall Lane

Art & Design
Robert Mansfield

Editorial Director, International Editions
Katya Soldak

Forbes Media
President & CEO
Michael Federle

Senior Advisor, International
Tom Wolf

Founded in 1917
B.C. Forbes, Editor-in-Chief (1917-54)
Malcolm S. Forbes, Editor-in-Chief (1954-90) James W. Michaels, Editor (1961-99) William Baldwin, Editor (1999-2010)

Copyright@2018 Forbes LLC. All rights reserved. Title is protected through a trademark registered with the U.S. Patent & Trademark Office.

S დასპონსორებული სტატია

RADIO
BEGINS WITH
US

FM 102.8

FM
93.5
თბილისი

heretifm.com
tbilisifm.com
relaxwebradio.com

RELAX
WEB RADIO

„ყოველთა საუნჯეთა წილ მოიგე გონიერება“

რატომ ვერ იბრუნებს ბრიტანეთი დიდებას?

ავტორი: სტივ ფორბსი, მთავარი რედაქტორი

სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაში კომიკური არაკომპეტენტურობისთვის რაიმე ჯილდო რომ არსებობდეს, ბრიტანეთი მოიგებდა, თანაც – უპრობლემოდ. 2016 წლის რეფერენდუმის შემდეგ კუნძულები ზედმიწევნით დაუდევრად ახორციელებს ბრექსიტს. ქვეყნის ეკონომიკა დღეს, პრაქტიკულად, სტაგნაციაშია, ხოლო ის, თუ როგორ განვითარდება ევროკავშირთან განქორწინების დრამატურგია, კვლავ იდუმალებით რჩება მოცული. კონსერვატორთა მთავრობა იმდენად უუნაროდ იქცევა, რომ ყველაზე წარმოუდგენელიც კი შეიძლება, მოხდეს: მომდევნო პრემიერ-მინისტრად, შესაძლოა, ლეიბორისტული პარტიის ანტიამერიკელი, ანტისემიტი, მავნე მარქსისტი ლიდერი, ჯერემი ქობრინი მოგვევლინოს (მისი შხამიანი შეხედულებების გამო, პარლამენტის შვიდმა ლეიბორისტმა წევრმა ამას წინათ პარტია დატოვა).

არადა, შვეიცარიის, ჰონკონგისა და სინგაპურის საუკეთესო პრაქტიკების კომბინირებით, ქვეყანას ჰქონდა შანსი, საკუთარი თავი გლობალურ ეკონომიკურ გიგანტად ექცია, მზარდი წარმატება კი ევროკავშირის ქვეყნებს დაუძლეველ ჟინს აღუძრავდა, გაერთიანებული სამეფოს ნაწილი ყოფილიყვნენ. ნაცვლად ამისა, კონსერვატორთა მმართველობამ ზედაპირზე ტივტივი, დაბნეულობა და „ემპათიური“ ხარჯვისა და მეტი რეგულაციების პოლიტიკა არჩია. ბარაკ ობამა რომ წყალში თევზივით იგრძნობდა თავს, ისეთი.

• არაეფექტიანი მეამბოხეები. რეფერენდუმისა და დევიდ კამერონის გადადგომის შემდეგ, – პრემიერ-მინისტრისა, რომელსაც სწამდა, რომ ბრექსიტი ვერ შედგებოდა და, შედეგად, მისთვის კენჭის ყრა შესაძლებელი გახადა, – კონსერვატორებმა ქვეყნის ახალ ლიდერად ბრექსიტის მოწინააღმდეგე პირი აირჩიეს; ბრექსიტის მომხრე მთავარი კონსპირატორები ერთმანეთთან კინკლაობაში ჩაეფლნენ და ვერ შეძლეს ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება. მას მერე ერთობ არასაკადრის არეულობას აქვს ადგილი. არაკომპეტენტურობის თითქოს განზრახ უარეს ფორმებში წარმოსაჩენად, ტერეზა მეიმ ვადამდელი არჩევნები დანიშნა: მიაჩნდა, რომ მისი პარტია ხმათა სრულ უმრავლესობას მიიღებდა. ნაცვლად ამისა, სრული უმრავლესობით წააგო.

• შემცირებების მოშიში მთავრობა. საშემოსავლო გადასახადების მკვეთრი შემცირება? ან მთლად პროპორციულ საგადასახადო სისტემაზე გადასვლა, როგორც ეს რიგმა ცენტრალურმა და აღმოსავლეთევროპულმა ქვეყნებმა გააკეთეს? გაბერილი ბიუროკრატიის კვლავინდებური შეკვეცა, როგორც ამას კამერონი წარმატებით აკეთებდა 2010-ში თანამდებობის დაკავების შემდეგ? ბიზნესზე, მეტადრე, სტარტაპებზე, წნეხის შესუსტება? ღმერთო, დაგვიფარე! მსგავსი გონივრული ზომები ხომ კრიტიკას გამოიწვევდა – მდიდრებს ეხმარებით, ბიზნესის სასარგებლოდ და ანტიეკოლოგიურად ხართ განწყობილებიო. ტერეზა მეისა და მის გაუბედავ გუნდს მარგარეტ თეტჩერისთვის დამახასიათებელი ზრდაზე მომართული სითამამის ნასახი არ აღმოაჩნდათ; თითქმის ოცდაათი წელია გასული, რაც ეს უკანასკნელი დაუნინგ-სტრიტის 10-იდან წავიდა და მას მერე, ლამის პერსონა ნონ გრატადაა ქცეული საკუთარ პარტიაში.

უდავოა, რომ ბრიტანეთი ახლოსაც ვერ მივიდა იმასთან, ეკონომიკურ დინამოდ რომ ქცეულიყო და ამისათვის ერთიანად გაეუქმებინა, პრაქტიკულად, ყველა ტარიფი და სავაჭრო ბარიერი, როგორც ეს ჰონკონგმა გააკეთა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – ნაბიჯი, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, იქაურობა ღარიბი, ყოველგვარ ბუნებრივ რესურსს მოკლებული, ჭარბად დასახლებული ერთი ბეწო შენობებიანი მიწიდან პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ეკონომიკა რომ გამხდარიყო. და ზედმეტია იმის თქმა, რომ ბრიტანეთი ვერც ევროპის – ან, სულაც, მსოფლიოს – სწორუპოვარი ფინანსური დედაქალაქის სტატუსსაც ვერ მიუახლოვდა, რისთვისაც მას გირვანქა სტერლინგი ოქროს სადარ ვალუტად უნდა ექცია, ანუ გაეკეთებინა ის, რაც ისააკ ნიუტონმა გააკეთა 1717-ში, როცა Royal Mint-ს თაოსნობდა. სწორედ ოქროს გირვანქა დაედო საფუძვლად იმას, რომ ბრიტანეთმა ინდუსტრიული რევოლუცია წამოიწყო და ისტორიაში უდიდესი იმპერია შექმნა.

HYDRA 24+

ახალი მიდგომა კანის დატენიანებისადმი

PAYOT- ის კანის მოვლის ოჯახის ახალი ხაზი Hydra 24+ არა მხოლოდ ატენიანებს კანს, არამედ ნაოჭების წარმოქმნის პრევენციის მკვეთრად გამოხატული ეფექტით გამოირჩევა. იდეალურია ყველა ტიპის კანისთვის. ულტრამგრძნობიარე, აბრეშუმისებრი ტექსტურის კრემები დატენიანებისა და კომფორტის დაუყოვნებელ შეგრძნებას იძლევა.

დატენიანება: **+59%***

სისუფთავის შეგრძნება: **100%***

კომფორტის შეგრძნება: **100%****

ესთე, Estée

Professional Cosmetics Shop

ი. აბაშიძის 24, 0179, თბილისი საქართველო,. ტელ.: + 995 (32) 2 24 24 55

1. ჯეფ ბეზოსი

$131 მილიარდი

აშშ

იანვარში მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა და მისმა ცოლმა, მაქკენზიმ, განაცხადეს, რომ 25-წლიანი ქორწინების შემდეგ გაყრას აპირებდნენ. იმავე დღეს NATIONAL ENQUIRER-მა დაწერა, რომ ბეზოსს ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ სატელევიზიო წამყვან ლორენ სანჩესთან. განქორწინების პირობები და, შესაბამისად, ის, თუ როგორ აისახება ეს ბეზოსის ქონებასა და AMAZON-ის კონტროლზე, არ გაცხადებულა. წყვილი მანამ დაქორწინდა, სანამ ბეზოსი ელ-ვაჭრობის ფირმას ჩაუშვებდა; მაქკენზი ფირმის პირველ ბუღალტრად მუშაობდა. ვაშინგტონის შტატის კანონმდებლობის თანახმად, ამ უკანასკნელს შეუძლია, ბეზოსის აქტივთა დაახლოებით ნახევარი მიიღოს, რაც მას მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქალად აქცევს. დარჩით ჩვენთან.

მილიარდერები

მსოფლიოს 20 უმდიდრესი ადამიანი

თმის მოვლის პროდუქტების მწარმოებელი საერთაშორისო კომპანია, რომელიც 1983 წელს იქნა დაფუძნებული იტალიის ქალაქ პარმაში, დღეს მსოფლიოს 70 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

davines

პლანეტის მომავლის მხარდასაჭერად

B კორპორაცია

სერტიფიცირებული B კორპორაციები ახალი ტიპის კომპანიებია, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმატებული ბიზნესის კონცეფციის ახლებურ ხედვას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი იბრძვიან მსოფლიოს არა „საუკეთესო კომპანიის“ სახელისთვის, არამედ „მსოფლიოსთვის საუკეთესო” კომპანიის სახელისთვის. Davines-ის საქმიანობა შეფასებულ იქნა სერტიფიცირების ორგანოს მიერ ხუთი თემატური სფეროს მაჩვენებლის მიხედვით: მენეჯმენტი, ხალხი, საზოგადოება, გარემო და მომხმარებელი. დღეს Davines-ი სიამაყით ატარებს B კორპორაციის სახელს.

Certified B Corporation Best For The World 2018 Environment

მდგრადი შემადგენლობა

თითოეული პროდუქტი ბუნებრივი ინგრედიენტების შემცველობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევა, რომლებიც სრულად ბიოდეგრადირებადია და გარემოს დაბინძურების მინიმალური ზემოქმედებით გამოირჩევა. **პროდუქცია არ შეიცავს სულფატებსა და პარაბენებს.**

PARABEN FREE · OR · OH

SULPHATE FREE · R-O-S-O⁻ · O

დიზაინი და ეკოშეფუთვა

პროდუქციის შეფუთვა დამზადებულია საკვები პლასტიკის შესაძლო, მინიმალური შემცველობით, რომლის ხელახალი გამოყენებაა შესაძლებელი. წარმოების პროცესში ნახშირორჟანგის ემისიის კომპენსაცია ხდება ტყეების განაშენიანებისა და დაცვის პროექტებში მონაწილეობის გზით.

NEUTRAL PACKAGING CO_2

ორგანული ინგრედიენტები მიღებულია ორგანული მცენარეების მწარმოებლებისაგან

პროდუქცია შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს SLOW FOOD ფონდის ცენტრიდან ბიოდივერსიფიკაციისათვის.

Presidio Slow Food®

United Cosmetics Group Georgia

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

თბილისი, შროშის ქ. 6, ოფისი 1, 0179
ტელ: +995 32 225 0406

ჩენს პლანეტაზე მცხოვრებ 2,153 მილიარდერთა ყველაზე მდიდარ 1%-ს განსხვავებული წელი ჰქონდათ: ნახევარი გამდიდრდა, დანარჩენი ათი გაღარიბდა. თვით ყველაზე ზედა შრეებშიც კი ცხოვრება არათანასწორია: მსოფლიოს ოცი უმდიდრესი ადამიანის ჯამური ქონება $1.2 ტრილიონს შეადგენს – მილიარდერთა გლობალური სიმდიდრის დაახლოებით 14%-ს. წამყვანი ოცეულის ქონების საშუალო მაჩვენებელი $60.4 მილიარდია, მაშინ როცა ტიპური მილიარდერის ქონება სულ რაღაც $4 მილიარდს უდრის.

2. ბილ გეიტსი
$96.5 მილიარდი ▲
აშშ
მსოფლიოს მეორე უმდიდრესმა ადამიანმა, რომელსაც უკვე $35.8 მილიარდი აქვს გაღებული, თქვა, რომ მან და სხვა მდიდარმა ამერიკელებმა უფრო მაღალი გადასახადები, მათ შორის, უფრო დიდი მემკვიდრეობის გადასახადი, უნდა გადაიხადონ.

3. უორენ ბაფეტი
$82.5 მილიარდი ▼
აშშ
BERKSHIRE HATHAWAY-ის შეფის თქმით, მას KRAFT HEINZ-ის – მისი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საჯარო ჰოლდინგის – გაყიდვის არავითარი გეგმა არა აქვს, მიუხედავად აქტივთა ღირებულების $15.4-მილიარდიანი შემცირებისა, რამაც გასულ თვეს მისი აქციების ფასი ერთ დღეში 27%-ით დააგდო.



4. ბერნარ არნო
$76 მილიარდი ▲
საფრანგეთი
2018-ში ჩინელი მომხმარებლების ხარჯვამ იმატა, განსაკუთრებით, LVMH-ის LOUIS VUITTON-ისა და HENNESSY-ს ბრენდებზე. LVMH-ი რეკორდული გაყიდვებისა და მოგებების მომსწრე შეიქნა, რამაც არნოს სიმდიდრე $4 მილიარდით გაბერა.

5. კარლოს სლიმ ელუ ▼
$64 მილიარდი
მექსიკა
11 წლის შემდეგ პირველად, იანვარში, სლიმმა NEW YORK TIMES CO.-ში არსებული თავისი უკანასკნელი წილი გაყიდა და მსუყე მოგებაც ნახა. მისი უმსხვილესი ჰოლდინგი ლათინურ-ამერიკული ტელეკომუნიკაციების ფირმა AMÉRICA MÓVIL-ია.



6. ამანსიო ორტეგა
$62.7 მილიარდი ▼
ესპანეთი
მისი მოდის კომპანია INDITEX-ის აქციები, გასული წლის მანძილზე, 7.5%-ით დაეცა. ამან და დასუსტებულმა ევრომ მის ქონებას $9 მილიარდი ჩამოაჭრა. მიუხედავად ამისა, მან მაინც ჩაიჯიბა $1.2 მილიარდის დივიდენდები გადასახადების გამოკლებით.

7. ლარი ელისონი
$62.5 მილიარდი ▲
აშშ
დეკემბერში ORACLE-ის თანადამფუძნებელი TESLA-ს საბჭოს შეუერთდა. მომდევნო თვეს ფინანსურმა დეკლარაციამ ნათელი გახადა, რომ ის $900 მილიონის ტოლფას აქციებს ფლობს ამ ელექტრომანქანის მწარმოებელში.



8. მარკ ცუკერბერგი
$62.3 მილიარდი ▼
აშშ
2018-ში FACEBOOK-ის რეპუტაციას ზარალი მიადგა, მაგრამ ცუკერბერგის ქონების $8.7 მილიარდით შემცირებაზე პასუხისმგებელი მისი სოციალური მედიის ფირმის აქციათა გაყიდვა და გაჩუქებაა.



9. მაიკლ ბლუმბერგი
$55.5 მილიარდი ▲
აშშ
ნიუ-იორკის ყოფილი მერი, სულ მცირე, $500 მილიონის დახარჯვას გეგმავს, 2020-ში პრეზიდენტი ტრამპი რომ დაამარცხოს და სულ ერთია, თავად მოგვევლინება საპრეზიდენტო კანდიდატად თუ არა.

10. ლარი პეიჯი
$50.8 მილიარდი ▲
აშშ
GOOGLE-ის თანადამფუძნებელი ერთადერთი მაღალპროფილიანი ტექნოლოგიური აღმასრულებელი გახლდათ, ვინც უარი თქვა მიპატიჟებაზე, სენატის სადაზვერვო კომისიის მოსმენას დასწრებოდა არჩევნების უსაფრთხოების თაობაზე.

11. (თანაბრად) ჩარლზ კოხი ▼

$50.5 მილიარდი

აშშ

2013 წლიდან მოყოლებული, მისი 79 წლის კანზასური კონგლომერატი, KOCH INDUSTRIES-ი აცხადებს, რომ $17 მილიარდი აქვს დაბანდებული ტექნოლოგიურ კომპანიებში, მათ შორის, 3-D ბეჭდვის „ზღაპრულ მარტორქა“ DESKTOP METAL-ში.

11. (თანაბრად) დევიდ კოხი ▼

$50.5 მილიარდი

აშშ

პროსტატის კიბოს გადარჩენილმა კოხმა ივლისში $110-მილიარდიანი (გაყიდვებით) KOCH INDUSTRIES-ი დატოვა, მიზეზად კი ჯანმრთელობა დაასახელა. ძმასთან, ჩარლზთან, ერთად, საოჯახო ბიზნესში 84%-იან წილს ფლობს.



13. მუკეშ ამბანი

$50 მილიარდი ▲

ინდოეთი

დეკემბერში, გავრცელებული ცნობებით, ამბანიმ $100 მილიონი დახარჯა ზღვარგადასულად მდიდრულ ქორწილზე: მისი ქალიშვილი იშა ინდოელი კოლეგა-მილიარდერის, აჯაი პირამალის, ვაჟს გაჰყვა ცოლად.



14. სერგეი ბრინი

$49.8 მილიარდი ▲

აშშ

ბრინი GOOGLE-ის მშობელი კომპანია ALPHABET-ისა და შვილობილი VERILY-ს პრეზიდენტია. ამ ჯანდაცვის ორგანიზაციამ, ამას წინათ, თავისი გეგმების შესახებ გააკეთა განცხადება, რაც დეიტონში (ოჰაიო) ოპიოიდებზე დამოკიდებულთა სამკურნალო ცენტრის გახსნას უკავშირდება.



15. ფრანსუაზ ბეტანკურ მეიერსი

$49.3 მილიარდი ▲

საფრანგეთი

L'ORÉAL-ის დამფუძნებლის შვილიშვილი $7.1 მილიარდით უფრო მდიდარია, ვიდრე შარშან, რაც ამ მაკიაჟის გიგანტის გაყიდვათა ისეთ საგრძნობ ზრდას უკავშირდება, ათ წელზე მეტია, რომ არ ჰქონია.

16. ჰიმ უოლტონი

$44.6 მილიარდი ▼

აშშ

WALMART-ის აწ განსვენებული დამფუძნებლის, სემ უოლტონის ოთხიდან რიგით მესამე შვილი ოჯახის ARVEST BANK-ს თაოსნობს, რომელიც ფეიეტვილში (არკანზასი) არის დაფუძნებული და $18 მილიარდზე მეტს ფლობს აქტივების სახით.

17. ელის უოლტონი

$44.4 მილიარდი ▼

აშშ

სემ უოლტონის ერთადერთმა ქალიშვილმა WALMART-ის შშობლიურ ქალაქ ბენტონვილში (არკანზასი) CRYSTAL BRIDGES MUSEUM OF AMERICAN ART-ი დააფუძნა და მისი თავმჯდომარეც გახლავთ. მუზეუმი 2011 წელს გაიხსნა.

18. რობ უოლტონი

$44.3 მილიარდი ▼

აშშ

WALMART-ის ყოფილი თავმჯდომარე და დამფუძნებლის უფროსი ვაჟი ამ მოვაჭრის საბჭოშია, რომელმაც თაროთა სკანირების რობოტები ჩაუშვა და გეგმავს, სურსათის ადგილზე მიტანის მიზნით, თვითმავალი მანქანა გატესტოს.

19. სტივ ბალმერი

$41.2 მილიარდი ▲

აშშ

MICROSOFT-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი კვლავ ინარჩუნებს დაახლოებით 4%-იან წილს კომპანიაში. ეს გადაწყვეტილება ჭკვიანური გამოდგა: გასულ წელს კომპანიის აქციათა ფასი 20%-ით გაიზარდა. ამასობაში, ბალმერის არაპარტიზანული ინიციტიავა, USAFACTS-ი, სამთავრობო ხარჯვასა და აქტივობებს ადევნებს თვალს.

20. მა ჰუატენგი

$38.8 მილიარდი ▼

ჩინეთი

მის ინტერნეტმედიის გიგანტს დეკემბრიდან ახალი შვილობილი ჰყავს: მუსიკის სტრიმინგ-სერვისი TENCENT MUSIC-ი, რომლისთვისაც ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე თითქმის $1.1 მილიარდი მოიზიდა პირველადი საჯარო შეთავაზებისას.

ბიძინა ივანიშვილის ქონება წლების მიხედვით

ბიძინა ივანიშვილის სახელს თითქმის ყველგან გაიგებთ, არა აქვს მნიშვნელობა, საქმე ქველმოქმედებას ეხება, მოსამართლეების დანიშვნას, არაფორმალურ მმართველობასა თუ პანამის ქაღალდების სკანდალს. თანამედროვე საქართველოში ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და უმდიდრესი ადამიანის ჩრდილის დანახვა პრაქტიკულად ყველა აქტუალური საკითხის უკან შეიძლება. თუმცა საჯარო და პოლიტიკურ საქმიანობამდე ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენი იყო და, შესაბამისად, Forbes-მა მისი საქმიანობის შეფასება უფრო ადრე, შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსით დაიწყო.

მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგში ბიძინა ივანიშვილი 365-ე ადგილს იკავებს. ივანიშვილის ქონება შარშანდელთან შედარებით $300 მილიონით არის გაზრდილი. პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ბუნდოვანებებისგან განსხვავებით, ფაქტია, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიზნესსაქმიანობა მიმდინარე წელს პოზიტიურად დაიწყო.



ასაკი:	63
ქონება:	$4.9 მილიარდი
ყველაზე მდიდრების სია:	365-ე ადგილი
	დაოჯახებული
შვილი:	4
საცხოვრებელი ადგილი:	თბილისი, საქართველო
მოქალაქეობა:	საქართველო

ბიძინა ივანიშვილის კაპიტალის ღირებულება წლების მიხედვით
(მილიარდი დოლარი)



გაცხრილულები

შემცირებათა პიკი

ბაზრებმა კონვულსია განიცადეს, ტარიფებმა – დიდი ზრდა. და, რიგ შემთხვევებში, უბრალო უიღბლობასთანაც გვქონდა საქმე. ვნებათაღელვით მოცულმა 2018 წელმა მსოფლიოს მილიარდერთა რეიტინგს 248 ადამიანი – წინა წლის ჯამური რაოდენობის 11% – ჩამოაშორა. ყველაზე მძლავრი „მიწისძვრა“ ჩინეთში მოხდა: შარშანდელ მილიარდერთაგან 102 რეიტინგს მიღმა დარჩა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები კიდევ ოცდაცხრა – გარდაიცვალა. ქვემოთ ზოგიერთ რჩეულ ექსმილიარდერს წარმოგიდგენთ.

დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა

იტალია | ფუფუნების საგნები

2019-ის ქონება: $940 მილიონი თითოეულს (შემცირებულია 45%-ით თითოეულისთვის)

ამ დუეტის სეხნია და ძვირფასი მოვაჭრის გაყიდვები შარშან 20%-ით დაეცა. გასულ ნოემბერს მათ სახლს კრიტიკა ერგო ერთობ ბლაგვი რეკლამების გამო, რომლებიც, როგორც ჩანს, აზიის მომხმარებლებისთვის იყო ჩაფიქრებული და რომლებშიც D&G-ში გამოწყობილ ქალბატონს კიცხავენ ჩხირებით პიცის ჭამის გამო. კომპანიამ, საბოლოოდ, ბოდიში მოიხადა.

ვიქტორ ფანგი

აშშ | სავაჭრო კომპანია

2019-ის ქონება: $970 მილიონი (შემცირებულია 31%-ით)

ტანსაცმლისა და სათამაშოების მომმარაგებელ Li & Fung-ის აქციათა ფასი შარშან დაეცა – ნაწილობრივ, ჩინურ საქონელზე გამსხვილებული ამერიკული ტარიფების გამო. ფანგი Forbes-ის მილიარდერთა რეიტინგში ზედიზედ 18 წლის მანძილზე ხვდებოდა, ამჯერად კი ზღვარი მისმა ძმამ, უილიამმა, გადალახა, $1 მილიარდის ტოლფასი ქონებით.

დევიდ აინჰორნი

აშშ | ჰეჯ-ფონდები / 2019-ის ქონება: $700 მილიონი (შემცირებულია 50%-ით)

Lehman Brothers-ის წინააღმდეგ დადებული ლეგენდარული ფსონიდან ათი წლის თავზე აინჰორნი აღარ არის მილიარდერი: მისი Greenlight Capital-ი 30%-ზე მეტის ზარალს განიცდის მოგებანანახი ე.წ. მოკლევადიანი გამყიდველებისა (Netflix-ი) და წაგებული ე.წ. უხვი მყიდველების (Brighthouse Financial-ი) მიზეზით. არადა, NYSE-ზე მბრუნავი თავისივე გადამზღვევის, Greenlight Capital Re-ს, წინააღმდეგ ფსონის დადებით, რომლის აქციების ფასი 57%-ით დავარდა, ბლომად ფულის შოვნა შეეძლო... მაგრამ ამ საქმეში $70 მილიონი დაკარგა.

ფრენკ სტრონაქი

კანადა | ავტონაწილები / 2019-ის ქონება: სულ მცირე, $200 მილიონი

ოქტომბერში სტრონაქმა სამართლებრივი მოქმედებები წამოიწყო საკუთარი ქალიშვილის, ბელინდას, წინააღმდეგ. მამის მტკიცებით, ამ უკანასკნელის დირექტორობით, მათი კლანის ონტარიოში დაფუძნებული Stronach Group-ის მართვა სერიოზული ხარვეზებით ხდებოდა (სამართალწარმოებამ გამოაშკარავა, რომ სტრონაქს კონგლომერატის უმეტეს წილზე უარი უთქვამს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს კონგლომერატი იმ ტრესტებში ჩადო, რომლებშიც არავითარი ინტერესი არ ჰქონდა). ბელინდამ ეს ბრალდება უარყო და თქვა, რომ ის მამამისის „იდიოსინკრეზულმა ბიზნესაქტივობებმა“ აიძულა, მეტი კონტროლი საკუთარ თავზე აეღო.

გაცხრილულები ქვეყნის მიხედვით

გაცხრილულები ინდუსტრიის მიხედვით



გარდაცვლილი

პოლ ალენი, 1953-2018

Microsoft-ის 65 წლის თანადამფუძნებელი 2018 წლის 15 ოქტომბერს ლიმფომათი გარდაიცვალა. ამ აქტიურ ფილანთროპს (რომლის ქონება, სიკვდილის მომენტისთვის, $20.3 მილიარდს შეადგენდა), ცხოვრების მანძილზე, გათვლების თანახმად, $2.5 მილიარდზე მეტი აქვს შეწირული ქველმოქმედებისთვის. მისი გრანტები, გაცემული, მათ შორის, კომპიუტერული ინჟინერიისა და ტვინის მეცნიერებისათვის, ნაკარნახევი იყო სურვილით, ესტიმულირებინა „პროგრესი მეცნიერთათვის მთელ მსოფლიოში“, როგორც თავად უთხრა Forbes-ს 2012-ში.

ავსტრალია: დენის ჩანი და ანდუან ბარა

2019 წლის გამოშვება

ისინი სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულში გვხვდებიან – ავსტრიასა თუ სლოვაკეთში, ავსტრალიასა თუ ვიეტნამში, ქონებას კი ნაირ-ნაირი ბიზნესებით აგროვებენ – მუსიკითა და მაკიაჟით დაწყებული, პროგრამული უზრუნველყოფითა და გიგანტი მოვაჭრეებით დამთავრებული. ჯამში, მილიარდერთა წლევანდელ რეიტინგს 195 ახალი სახე შეუერთდა. ქვემოთ ოთხ ყველაზე ღირსშესანიშნავს წარმოგიდგენთ.

კაილი ჯენერი | ასაკი: 21 | აშშ

ქონება: $1 მილიარდი

21 წლის ასაკში, ჯენერი ყველაზე ახალგაზრდა თვითნაბადი მილიარდერია, ვინც კი ისტორიას ახსოვს: მან ათნიშნიანი ქონება თვით მარკ ცუკერბერგზე (რომელიც მილიარდერთა რეიტინგს 2008-ში, 23 წლისა შეუერთდა) ადრე იშოვა. „არაფერს ველოდი... მომავალი არ განმიჭვრეტია, – ამბობს ჯენერი. – მაგრამ [ეს აღიარება] მართლა მაგარი შეგრძნებაა – თავზე ხელის გადასმასავით გსიამოვნებს“. ის 100%-ს ფლობს Kylie Cosmetics-ში – სამი წლის სილამაზის ბიზნესში, რომლის გაყიდვებმაც გასულ წელს, გათვლების თანახმად, $360 მილიონი შეადგინა. კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი ელ-ვაჭრობას მოაქვს. მაგრამ Kylie Cosmetics-მა ახალი კონტრაქტი დადო Ulta-სთან, რომელიც მის პროდუქტებს თავისი მაკიაჟით მოვაჭრის ყველა – 1,163 – ამერიკულ მაღაზიაში გაყიდის „ისე, რომ ხალხს, ვინც არასდროს იყიდდა ჩემს პროდუქტებს ან არ არის ჩემი ფანი, ექნება საშუალება, ეს პროდუქტები პირადად ნახოს“.

მსუყე მაკიაჟი: კაილი ჯენერი ყველაზე ახალგაზრდა თვითნაბადი მილიარდერია, ვინც კი ისტორიას ახსოვს.

ახალწვეულები ქვეყნის მიხედვით



დანიელ ეკი
ასაკი: 36 | შვედეთი

ქონება: $2.2 მილიარდი

შარშანდელმა წარმატებულმა პირველადმა საჯარო შეთავაზებამ ეკის ყურებში მუსიკასავით გაიუღერა. მის მიერ 13 წლის წინ დაფუძნებული მუსიკის სტრიმინგ-სერვისის, Spotify-ს საბაზრო კაპიტალიზაცია ახლა $24 მილიარდს შეადგენს. ასეა თუ ისე, კომპანიას მოგებიანი წელიწადი ჯერ მაინც არ დასდგომია; Spotify-ს ცალსახა ფოკუსი აქვს: ნაღდი ფულის ჩაღვრა შესყიდვებში. თებერვალში მან განაცხადა, რომ პოდკასტ-კომპანიებს, Gimlet Media-სა და Anchor FM-ს, $340 მილიონად ყიდულობდა.

რენე ბენკო | ასაკი: 42 | ავსტრია

ქონება: $4.9 მილიარდი

ტინეიჯერობისას ბენკო უძრავი ქონების დეველოპერის ასისტენტად მუშაობდა ინსბრუკში (ავსტრია), ბოლო კლასებში გაკვეთილებს არ ესწრებოდა და ამიტომ სკოლის დამთავრება ვერ შეძლო. მაგრამ ღირდა. ამ გამოცდილებაზე კაპიტალიზებით, 22 წლის ასაკში, მან დააფუძნა კომპანია, რომელიც მოგვიანებით Signa-დ იქცა – $16 მილიარდის აქტივების მქონე უძრავი ქონების მზარდ საინვესტიციო ფირმად, რომელიც გერმანიაში უნივერმაღებსა და რესტორნებს ფლობს.

კოლინ ჰუანგი | ასაკი: 39 | ჩინეთი

ქონება: $13.5 მილიარდი

Google-ის პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრად მუშაობის შემდეგ, 2006 წელს, ჰუანგი ჩინეთში დაბრუნდა და დამოუკიდებელი მოღვაწეობა წამოიწყო: ჯერ ელ-ვაჭრობის ორი საიტი და თამაშების ონლაინკომპანია დააფუძნა, მერე კი Pinduoduo – ფასდაკლებებზე მომუშავე ვებმოვაჭრე.

ავტორები: ანდრეი ნაბიევაბი, ნანალი ოროსმანი, ალონდრ ჯეფრი, ბაეს ჰენდრიკ-ალეგზანდერ და ჯინფეი ვანგი

არქივიდან

მასას სამოქმედო გეგმა 5 ივლისი, 1999

ჯერ კიდევ მანამ, სანამ University of California, Berkeley-ს დაამთავრებდა, მასაიოში სონი დიდი ოცნებებით ინებივრებდა თავს, 40 პოტენციური სტარტაპის იდეას განიხილავდა და ცდილობდა, მიმხვდარიყო, როგორ „დაეწყო ბიზნესი, დაეგროვებინა კაპიტალი და, რაღაც მომენტში, საკუთარი ქმნილება არჩეული მემკვიდრისთვის გადაეცა“, – წერდა Forbes-ი. სონმა მოღვაწეობა კოლეჯის დამთავრების შემდეგ დაიწყო და 1981 წელს პროგრამული უზრუნველყოფის დისტრიბუციის ბიზნესი, Softbank-ი, დააფუძნა. 90-იანების მიწურულს Softbank-ი მზარდი ვენჩურული ფირმა იყო, რომელსაც თითქმის $20 მილიარდის ტოლფასი ინვესტიციები განეხორციელებინა 100-ზე მეტ ინტერნეტკომპანიაში (Yahoo-ში, E-Trade-ში, GeoCities-ში). „ციფრული რევოლუცია კაცობრიობას უფრო ბედნიერსა და ნაყოფიერს გახდის და ეს ასე იქნება მომდევნო 300 წელიწადი“, – გვითხრა სონმა.

სონს, რომლის ქონება $6.4 მილიარდს შეადგენდა, არ სურდა „Amazon.com-ის ტიპის ერთი ცალკეული ბეჰემოტის“ კონტროლი, – ვწერდით ჩვენ, – მაგრამ „მსუყე წილებზე [ნადირობდა] ათასგვარი ნიშის მქონე წამყვან მოთამაშეებში“. სონის ლეიტენანტის, გარი რაისშელის თქმით, „ხანძარსაწინააღმდეგო მილიდან ვსვამთ წყალს. იმდენი კარგი შესაძლებლობაა, ყველას ვერც გამოვიყენებთ“.

ასე იყო თუ ისე, როცა დოტ-კომ ეპოქა დასრულდა, სონის ქონება 2000-ის პიკური $78 მილიარდიდან 92%-ით შემცირდა. მაგრამ Softbank-ი გადარჩა, რაც ნაწილობრივ მისი დღემდე ღირებული წილის დამსახურებაა Yahoo-ში. თითქმის 20 წლის თავზე, რთულია, სონის მნიშვნელობა სილიკონის ხეობაში გადაჭარბებულად შეაფასო. მისი დაახლოებით $100-მილიარდიანი (თანხების დიდი ნაწილი საუდის არაბეთიდანაა მოზიდული) Vision Fund-ი უმსხვილესი ფონდია, რაც კი ისტორიას ახსოვს, Softbank-ს კი ფული ბოლო პერიოდის ლამის ყველა მსხვილ სტარტაპში აქვს დაბანდებული, მათ შორის, Uber-ში, WeWork-სა და Slack-ში. $21.6 მილიარდის პატრონი, 61 წლის სონი მსოფლიოში 43-ე უმდიდრესი ადამიანია... და გეგმის სისრულეში მოსაყვანად, კიდევ 280 წელი აქვს წინ.

სწრაფი გადახვევა წინ

გეიტსის ჭიშკრები

1999: ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ბილ გეიტსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი იყო. მისი ქონება, $90 მილიარდის ტოლფასი, ლამის სამჯერ აღემატებოდა მეორე ადგილის მფლობელი უორენ ბაფეტისას.

2019: პირველი ადგილი ჯეფ ბეზოსს ($131 მილიარდი) ეკუთვნის... ჯერჯერობით. ისეთი პირი უჩანს, როცა კი ბეზოსი თავის განქორწინებას ფინალურ ფაზაში შეიყვანს, გეიტსი ($96.5 მილიარდი) ამ ადგილს დაიბრუნებს.

ეპოქის მახასიათებელი

ათნიშნა ტექნოკრატები

Nasdaq-მა 45% მოიპოვა ერთ წელიწადში (2000-ის მარტში კი პიკურ 84%-საც აჩვენებდა) და eBay-ს ჯეფ სკოლის, Ameritrade-ს ჯო რიკეტსის, Yahoo-ს დევიდ ფილოსა და ჯერი იანგის და Amazon-ის ჯეფ ბეზოსის დებიუტს შეუწყო ხელი მილიარდერთა რეიტინგში.

არაჩვეულებრივი რეკლამა

ტრამპლინიზება

დონალდ ჯ. ტრამპმა, „ამერიკის პირველმა დეველოპერმა“, ოთხი სასტუმრო – Trump Taj Mahal-ი, Trump Plaza, Trump Marina და Trump Indiana – აღმართა „უბადლო ფუფუნებით“, „შესანიშნავი ხუთვარსკვლავიანი კერძებითა“ და „მსოფლიო დონის გართობით“. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა: დღეს აღარც ერთი არაა ღია.

ონლაინსაკითხავი

გთავაზობთ Forbes.ge-ს 2019 წლის პირველი სამი თვის ყველაზე პოპულარული სტატიების ხუთეულს:

რომელი ქართული უნივერსიტეტები აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს?

13 იანვარი, 2019

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ გამოქვეყნებული მასალა forbes.ge-ის ყველა დროის ყველაზე პოპულარულ პოსტებს შორისაა.

38 ათასზე მეტი ნახვა
22.7 ათასზე მეტი გაზიარება

ნინო ზამბახიძის სიტყვა თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრისას

8 თებერვალი, 2019

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე, ნინო ზამბახიძე, თეთრ სახლში ქალთა გლობალური განვითარებისა და წარმატების ინიციატივის გახსნას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა.

8 ათასზე მეტი ნახვა
5.7 ათასზე მეტი გაზიარება

ან აკლია, ან არა

1 თებერვალი, 2019

„ფორბსის“ მთავარი რედაქტორი, გიორგი ისაკაძე, თავის ედიტორიალ-ში თიბისი ბანკში განვითარებულ მოვლენებზე გვიყვება.

6 ათასზე მეტი ნახვა
3.1 ათასზე მეტი გაზიარება

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანები - Forbes-ის 2019 წლის სია

6 მარტი, 2019

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „ფორბსის“ მილიარდერთა ყოველწლიური რეიტინგის გამოქვეყნებამ.

4 ათასზე მეტი ნახვა
3 ათასზე მეტი გაზიარება

ბიზნესის პირადი ასისტენტი

14 მარტი, 2019

სალომე მეცხვარიშვილის ინტერვიუ Concierge Tbilisi-ის დამფუძნებელთან, ლიზი ხაბაზიშვილთან, მეხუთე ადგილზეა.

4 ათასზე მეტი ნახვა
2.2 ათასზე მეტი გაზიარება

მფრინავი პარლამენტარები

ავტორი: ზაზა აბაშიძე

2018 წელს ქართველი დეპუტატების ხილვა ქუთაისისა და თბილისის საპარლამენტო შენობების გარდა, მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ კონტინენტზე შეიძლებოდა. საპარლამენტო საქმიანობის ფარგლებში, ქართველი პარლამენტარები შესაძლოა ისეთი ქვეყნების აეროპორტებში შეგხვედროდათ, როგორიცაა აშშ, ბელგია, საფრანგეთი, ლიბანი, ნეპალი ან სულაც ბურკინა-ფასო.

საერთაშორისო ვიზიტები სადეპუტატო ცხოვრების თანხმლები ნაწილია, თუმცა ის, რაც ტელევიზორების ეკრანზე არ ჩანს, კარგადაა ასახული ბიუჯეტის დოკუმენტში. ქართველი პარლამენტარების უცხოური ვოიაჟები, რომლებიც, ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ხანდახან ფრიად დამაფიქრებელი მიზეზებითაცაა გამოწვეული, სახელმწიფოს საკმაოდ დიდი თანხა უჯდება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის ძირითადი მაჩვენებელები სააშკარაოზე გამოგვეტანა და ამ საკითხის ირგვლივ მეტ-ნაკლებად დეტალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია გასული წლის მონაცემებს ეფუძნება და მხოლოდ საერთაშორისო მივლინებებს მოიცავს.

მივლინებებზე დახარჯული ჯამური თანხა: **1,639,647 ლარი**

მივლინებების რაოდენობა: **528**

ირაკლი კობახიძე:

თანხა - **79,947.75 ლარი**
დღე - **46**
ერთი დღე საშუალოდ - **1,738 ლარი**

კობა ლურსმანაშვილი
ლისომიცე, პოლონეთი
(1,726 ლარი):
ბაღდათისა და ლისომიცეს დამეგობრებისა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების განხილვა.

ტოპ 3 დეპუტატი, რომელთა მივლინებებზე ყველაზე მეტი დაიხარჯა

გიგი წერეთელი
124,260 ლარი

თამარ ჩუგოშვილი
94,630 ლარი

ირაკლი კობახიძე
79,947 ლარი



რა ნატოსფრად ირიჟრაჟა!

კაცობრიობის ისტორიაში

ყველაზე სისხლისმღვრელი, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დემოკრატიული სახელმწიფოების წინაშე დადგა ამოცანა, მიეღოთ გადამწყვეტი ზომები, რათა აღარ გამეორებულიყო პირველი და მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიები, რომელთა შედეგად სისხლისგან დაიცალა და მიწასთან იქნა გასწორებული ევროპა. აგრეთვე, ძალიან სწრაფად გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის საპირწონედ დემოკრატიული ქვეყნების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების აუცილებლობა. რამდენიმე ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების შემდეგ, კერძოდ, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ან გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარებისა და ალიანსის გაფორმების, იმავე დანკერკის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რომელსაც 1948 წელს ბენელუქსის ქვეყნებიც მიუერთდნენ დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის მიზნით და მათ უკვე ბრიუსელის შეთანხმების ორგანიზაცია ეწოდათ, 1949 წლის 4 აპრილს, ანუ ზუსტად 70 წლის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში ნატოსფრად ირიჟრაჟა. აშშ-ის, კანადისა და ათი ევროპული სახელმწიფოს გადაწყვეტილებით (ზემოხსენებულ ევროპულ სახელმწიფოებს შეუერთდნენ პორტუგალია, იტალია, ნორვეგია, დანია და ისლანდია), შეიქმნა დღემდე ყველაზე ეფექტიანი და წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი – ნატო.

დიდწილად სწორედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამსახურებაა, რომ 70 წლის მანძილზე შესაძლებელი გახდა ახალი გლობალური კატაკლიზმების თავიდან აცილება. 1949 წლიდან მოყოლებული, 40 წლის განმავლობაში ნატო-ს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას საბჭოთა კავშირის შეკავება წარმოადგენდა. როგორც მოგეხსენებათ, ალიანსი ამ ამოცანას წარმატებით გაუმკლავდა. ცივი ომის დასრულების, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკის დაშლის შემდეგ გაჩნდა განცდა, რომ თითქოს ნატო-მ თავისი მისია შეასრულა და საკუთარი თავიც ამოწურა. თუმცა იუგოსლავიის დაშლამ და ბალკანეთში წარმოქმნილმა სისხლისმღვრელმა კონფლიქტმა კვლავ წარმოაჩინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, როგორც მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტის, მნიშვნელობა.

მილოშევიჩის რეჟიმის დამარცხების შემდეგ იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რის შემდეგაც პირველად დადგა მე-5 მუხლის ამოქმედების აუცილებლობა, რომლის მიხედვითაც თავდასხმა ერთზე ითვლება თავდასხმად ყველაზე. ნატო ამ დრომდე ახორციელებს „მტკიცე მხარდაჭერის“ ოპერაციის ფარგლებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისიას, ამჯერად უკვე 29-წევრიანი შემადგენლობით, რომელსაც სულ მალე შეუერთდება 30-ე წევრი.

ნატო-ს დაფუძნებაში 12 სახელმწიფო მონაწილეობდა. მას შემდეგ მას შეუერთდნენ გერმანია, საბერძნეთი და თურქეთი, ცოტა მოგვიანებით – ესპანეთი, 1990 წელს მოხდა გერმანიის გაერთიანება. ჩვენი გადმოსახედიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ალიანსში 1999 წელს გაწევრიანდნენ ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი, ხოლო ოდნავ მოგვიანებით შედგა დიდი გაფართოების ტალღა, როდესაც ალიანსში სხვებთან ერთად შევიდნენ ბალტიის ქვეყნები („ბიგ ბენგ“ – ასე ეწოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოსგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც ნატო-ში გაწევრიანდა). ალბანეთის, ხორვატიისა და მონტენეგროს შემდეგ სულ მალე ნატო-ს რიგებში 30-ე წევრად ოფიციალურად გაწევრიანდება ჩრდილოეთი მაკედონია, რომელმაც ბოლო-ბოლო მოახერხა საბერძნეთთან შეთანხმების მიღწევა სახელთან დაკავშირებით და ამით გაიხსნა გზა ნატო-სა და ევროკავშირისკენ.

ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – ღია კარის პოლიტიკა – უმნიშვნელოვანესია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ ნამდვილად ვართ ყველაზე ღირსეულ პარტნიორთა შორის და წარმოვადგენთ ასპირანტ, ანუ გაწევრიანების მსურველ ქვეყანას, რომელიც ალიანსის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ

გახდება მისი წევრი. ამისთვის ქვეყანას აქვს ყველა, გაწევრიანებისთვის აუცილებელი, ინსტრუმენტი და, რაც მთავარია, ხალხის ურყევი ნება. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ჩვენ არ მოგვენიჭა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, რასაც, საერთაშორისო შეფასებით, მოჰყვა კიდეც რუსეთის მხრიდან აგრესიის განხორციელება, საქართველოს მოსახლეობაში არასდროს ყოფილა 60%-ზე ნაკლები გაწევრიანების მხარდამჭერთა რაოდენობა. ეს კი ბევრ წევრ სახელმწიფოსთან შედარებითაც კი მაღალი მაჩვენებელია. თავად ნატო-ში არის ჭარბი უმრავლესობის მხარდაჭერა ჩვენს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ კონსენსუსი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორს ისევ და ისევ რუსეთი წარმოადგენს. მართალია, ოფიციალურ განცხადებებში თქვენ ვერ შეხვდებით ამ არგუმენტს, მაგრამ დახურულ კარს მიღმა საუბრებში ბევრი გეტყვით, რომ რუსეთის მხრიდან აგრესიის შესაძლო გამეორების საფრთხე მნიშვნელოვნად აფერხებს დადებითი გადაწყვეტილების მიღებას. ადრეც ასე მიმაჩნდა და ახლაც ვთვლი, რომ ეს მიდგომა არასწორია: რუსეთი ცნობს მხოლოდ ძალისმიერი პოზიციიდან განხორციელებულ გადაწყვეტილებებს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსთან მიმართებითაც ალიანსის მხრიდან პრინციპული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება, შეეგუოს ახალ რეალობას, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა სხვა ახალი წევრების მიღების შედეგად.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ალიანსმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მისი წევრების უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით და დღეს ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში ნატო-ს ძალები ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში პატრულირებენ. შავ ზღვაზე უსაფრთხოების განმტკიცება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა ნატო-სთვის, ისევე როგორც ბოლო დროის გამოწვევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა კიბერსივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ტრადიციულ სამ განზომილებას – ხმელეთს, ჰაერსა და ზღვას უკვე ოფიციალურად დაემატა მეოთხე – კიბერგანზომილება, სადაც ნატო წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

ნატო-ს წევრებს შორის შეთანხმებულ ურთიერთქმედებათა ხარისხს, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებსა და ზოგადად ევროატლანტიკურ სივრცეში ურთიერთობათა სიმტკიცეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოთა ლიდერების პოზიციონირება და მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. ნატო-ს არსებობის მანძილზე იყო სიტუაციები, როდესაც პრინციპული უთანხმოების გამო მიიღებოდა რადიკალური გადაწყვეტილებები. მაგალითად, იყო პერიოდი, როდესაც საფრანგეთმა ალიანსის სამხედრო ხელმძღვანელობა დატოვა. იმავე 2008 წელს ბუქარესტში, გერმანიის ხისტი პოზიციის გამო ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი საქართველოსა და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებასთან დაკავშირებით. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ასევე აქტუალურ საკითხს მუდმივად წარმოადგენდა ნატო-ს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის ბიუჯეტის მშპ-ის შეთანხმებულ 2%-მდე გაზრდის საკითხი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ეს თემა განხილვის საკითხიდან აშკარა პრობლემად გადაიქცა. რომ არაფერი ვთქვათ დონალდ ტრამპის მიერ ნატო-ს მისამართით გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებზე, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი არ უშვებს შესაძლებლობას, იქნება ნატო-ს სამიტი, ორმხრივი უმაღლესი დონის შეხვედრები ევროპელ კოლეგებთან, ინტერვიუები თუ მისი საყვარელი ტვიტერ-გზავნილები, და ყველგან ხაზს უსვამს, რომ მის პრეზიდენტად არჩევამდე იყო ნატო-ს დაფინანსების უსამართლო სისტემა და ევროპელები უზრუნველყოფდნენ საკუთარ უსაფრთხოებას აშშ-ის ხარჯზე. ეს ყველაფერი ხდება მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი 2014 წელს ოფიციალურად შეთანხმდა, რომ 2024 წლისთვის 2%-იან მაჩვენებელს ყველა სახელმწიფო შეასრულებდა. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ტრამპის ასეთმა ხისტმა პოზიციამ კიდეც განაპირობა ევროპული სახელმწიფოების მიერ თავდაცვის დაფინანსების მილიარდობით ზრდა, მაგრამ გვაქვს ასევე უკუეფექტიც. კერძოდ, ევროპის ყველაზე ძლიერმა სახელმწიფომ – გერმანიამ სულ ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება მომავალი წლის ბიუჯეტში თავდაცვის დაფინანსების ზრდის შეჩერებაზე. აშშ-ის პრეზიდენტის დამოკიდებულებამ, მისმა საჯარო თუ კულუარულმა განცხადებებმა ნატო-ში ყოფნა/არყოფნის შესახებ საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ კონგრესმა საკანონმდებლო დონეზე მიიღო გადაწყვეტილება, თუ რა შემთხვევაში შეძლებს ქვეყანა ალიანსის დატოვებას, უფრო ზუსტად კი მიიღო ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომლის შედეგად პრეზიდენტი პრაქტიკულად ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას.

ალბათ სწორედ ასეთი ურთიერთდამოკიდებულების შედეგი უნდა იყოს ის, რომ 70 წლის იუბილეზე ვაშინგტონში კვლავ ნატოსფრად ირიჟრაჟა, ოღონდ შედარებით მოკრძალებულად. ალიანსი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეიკრიბა აშშ-ის დედაქალაქში. თუმცა ეს მინისტერიალი მაინც იყო სხვებისგან გამორჩეული. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, პირველად ნატო-ს არსებობის ისტორიაში, კონგრესის ორივე პალატის ერთობლივ სხდომას მიმართა.

სკეპტიკოსებს ტყუილად არ გეგონოთ, რომ ფოიერვერკი არ იქნება. საიუბილეო სამიტის ჩატარება დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონშია დაგეგმილი. სხვათა შორის, დიდ ბრიტანეთში ნატო-ს სამიტები საქართველოს კარგად აქვს დაცდილი. 2014 წელს ჩვენი დელეგაცია ამ სამიტიდან არსებითი პაკეტით, ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის გადაწყვეტილებითა და „ოქროს ბარათის“ ჯგუფის წევრის სტატუსით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ყველაფერი წინ არის. მოვა დრო – სასურველია, რაც შეიძლება მალე – და ჩვენც ვიტყვით:

საქართველოში ნატოსფრად ირიჟრაჟა! F

მრავალმოქმედებიანი პიესა თიბისი ბანკზე, რომელსაც ბოლო ჯერაც არ უჩანს!

ჩეხოვის თოფმა ხმამაღლა გაისროლა

ქართულ თეატრალურ სცენაზე, კედელზე თუ ხმალ-ხანჯლები კიდია, ეს მხოლოდ ქართული ტრადიციული ყოფის ატრიბუტებია. ჩეხოვთან ეს ასე არ არის: თუ პიესის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი კიდია, მის ბოლოში ეს თოფი აუცილებლად გაისვრის.

ეროვნული ბანკისგან გამოყოფის ხუთი წლის თავზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თოფმა ზარბაზნის ეფექტით გაისროლა. პირველი მოქმედებისთანავე ვაფრთხილებდით საზოგადოებას, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ ჩვენთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ამ სიმძლავრით და ასე რეზონანსულად იჭექებდა. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი მთავარი სამიზნე თიბისი ბანკი და მასთან დაკავშირებული ადამიანები და პროექტები იქნებოდა.

არაფერი შემთხვევითი და ზედმეტი არაა – ასეთი იყო ჩეხოვის დრამატურგიის პრინციპი. არ იყო შემთხვევითი, რომ პირველი, რაც ახლად მოსულმა „ოცნების“ ხელისუფლებამ გააკეთა, იყო ეროვნული ბანკიდან, პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანოდან, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის გამოყოფა და მისი მთავრობის (უშუალოდ პრემიერ-მინისტრის) დაქვემდებარებაში გადაყვანა. მოვლენები შემდგომ უარესი სცენარით განვითარდა – ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური ჩამოაცილეს და ცალკე უწყება შექმნეს. ამის პარალელურად მიდიოდა ეროვნულ ბანკზე თავდასხმები მთავრობის, საპარლამენტო უმრავლესობის, ხელისუფლების მიერ მართული „ექსპერტებისა“ და ქვეყნის არაფორმალური მმართველის, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. საბოლოოდ, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა და ხელი აიღო ამ იდეის საბოლოოდ ხორცშესხმაზე. ფორმალურად გამოყენებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში „გაჭედილი“ იყო ეს კანონი, როგორც „კონსტიტუციის საწინააღმდეგო“. ხელისუფლების უკან დახევის ერთ-ერთი მიზეზი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის შეცვლაც იყო (მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო) და ეროვნული ბანკის საბჭოს არაფორმალური მმართველისათვის უფრო მისაღები ადამიანებით დაკომპლექტებაც.

მანიპულაციები ხანდაზმულობის ვადით

თიბისი ბანკის საქმე რომ პოლიტიკური და კერძო ინტერესებით იყო მოტივირებული, ამაზე შესაძლო დარღვევების „გახსენების“ („აღმოჩენის“) ისტორია და ძალოვანი სტრუქტურების, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული რეპრესიული ნაბიჯების ხასიათიც მოწმობს.

პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ფულის გათეთრების იმ მუხლით (194-ე მუხლის მე-3 ნაწილი) აღძრა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ეს იმიტომ დასჭირდათ, რომ ამგვარი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა 30 წელიწადია. სხვა შემთხვევაში პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან – თუ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან ექვსი წელი გავიდა. თიბისი ბანკის მთავარ აქციონერებს და ამავე დროს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მოადგილეს თერთმეტი წლის წინანდელ ქმედებებს ედავებიან. სხვა მუხლით, გარდა ფულის გათეთრების ზემოაღნიშნული მუხლისა (თუნდაც ყოფილიყო თაღლითობა, კრედიტის უკანონოდ მიღება, გადასახადის დამალვა, ფულის გათეთრება ნაკლებად მძიმე ფორმით ან სხვა მსგავსი, ნაკლებად მძიმე დანაშაული), თუკი გასულია ხანდაზმულობის ვადა, პირის დასჯა შეუძლებელია.

ფულის გათეთრების მუხლით საქმის აღძვრა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვაჩვენა (შსს მინისტრის მუქარის სავარაუდო წერილი და სხვა), დასჭირდათ ბანკის ყველაზე მსხვილი აქციონერების (რომლებიც 20 პროცენტის მფლობელები არიან), საერთაშორისო რეპუტაციის შესალახავად, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ეს მოვლენები არ არის დაკავშირებული მხოლოდ თიბისი ბანკთან და მათზე ტოტალური შეტევის მიზანი აგრეთვე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტიდან

რომან გოცირიძე საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის წევრია.

მათი ჩამოცილება და სხვა პირებით ჩანაცვლებაც იყო.

სისხლის სამართლის დანაშაული თუ ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ნორმების დარღვევა?!

თუ კარგად დავაკვირდებით იმ მუხლს, რომლითაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, არაპროფესიონალებისთვისაც კი ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ფულის გათეთრებასთან საერთოდ არა გვაქვს საქმე. ამას ობიექტური სასამართლო ადვილად დაადგენს, თუმცა ქვეყნის სასამართლო სისტემის დღევანდელი სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაფერი პირიქით შეიძლება მოხდეს. იყო თუ არა სხვა, ნაკლები სიმძიმის ეკონომიკური ხასიათის დანაშაული, ესეც ვერ გაირკვევა ობიექტურად სასამართლოში, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყნის არაფორმალური მმართველი მიიღებს შიდა თუ საერთაშორისო ზეწოლის, მათ შორის ანაკლიის პროექტის პერსპექტივიდან და მასში სავარაუდო პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

თიბისი ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები გაასაჩივრა სასამართლოში, საბოლოო ჯამში, რათა შეჩერებულიყო ლონდონის ბირჟაზე ბანკის აქციების ფასის მკვეთრი ვარდნა და ბანკის ადმინისტრატორების იმიჯისათვის გარდაუვალი ზიანის მიყენება, ასევე ქვეყნის საფინანსო სექტორში არასტაბილური ვითარების წარმოქმნის რისკები, დაეთანხმა ეროვნული ბანკის მოთხოვნებს: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში განახორციელა ცვლილებები იმდაგვარად, რომ დამფუძნებელი აქციონერები, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე არ იქნებიან წარმოდგენილნი მის შემადგენლობაში, ბანკმა შეწყვიტა სასამართლო დავა ეროვნული ბანკის წინააღმდეგ და გადაიხადა ეროვნული ბანკის მიერ ჯარიმის სახით დაკისრებული ერთი მილიონი ლარი.

ეროვნული ბანკის მიერ თიბისი ბანკისადმი დაწესებული გარდა ზემომოყვანილი სანქციებისა, ცნობილი გახდა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბანკს აეკრძალა სესხების გაცემა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისთვის, ასევე მათთან დაკავშირებული პირებისთვის, აგრეთვე მოეთხოვა სამეთვალყურეო საბჭოში მინორიტარი აქციონერების შერჩეული ორი ახალი წევრის დამატება.

რას ეფუძნებოდა ეროვნული ბანკის აღნიშნული ქმედებები? როგორც ისინი განმარტავენ, ადგილი ჰქონდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიერ ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, რომლებიც 2007-2008 წლებში განხორციელებულ ტრანზაქციებს უკავშირდება. შემოწმება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის 7 აგვისტოს შეტყობინების საფუძველზე დაიწყო, რომლის მიზანი „სისტემაში რისკების შემცირება“ გახლდათ. თუმცა ათზე მეტი წლის წინანდელი ტრანზაქციის დაკავშირება ამჟამინდელ რისკებთან ერთობ საეჭვოდ ჟღერს.

მიუხედავად ამისა, ეროვნულმა ბანკმა გამოვლენილ დარღვევებს მისცა არა ფულის გათეთრების კვალიფიკაცია, არამედ ეროვნული ბანკის მარეგულირებელი წესების დარღვევად შეაფასა. იგულისხმება ინტერესთა კონფლიქტის და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების განხორციელების დებულების მოთხოვნათა დარღვევა. როგორც ჩანს, საუბარია იმ ნორმებზე, რომელთა თანახმად ბანკს ეკრძალება სესხის მიცემა მისი რომელიმე ადმინისტრატორისათვის ან მასთან დაკავშირებული პირისათვის, თუ ასეთი პირისათვის მიცემული სესხების საერთო თანხა აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის იმ დროისათვის დადგენილ გარკვეულ პროცენტს. ასეთ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს აქვს უფლება, მიიღოს შესაბამისი ზომები – სანქციების, ფულადი ჯარიმებისა და ადმინისტრატორების განთავისუფლების სახით.

– სწორად მოიქცა თუ არა ეროვნული ბანკი, როცა ზემოჩამოთვლილ სანქციებს მიმართა? ალბათ კი. მაგრამ რატომ თერთმეტი წლის შემდეგ?

– იყო თუ არა სანქციები ადეკვატური? ალბათ არა. ზედმეტად მკაცრია.

– იყო თუ არა ეროვნული ბანკი თავისუფალი თავის ქმედებებში? ერთმნიშვნელოვნად – არა. იგი ასრულებდა პროკურატურის (არაფორმალური მმართველის) დავალებას.

– რატომ „გაახსენდა“ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს (რომელიც პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად გადაიქცა) ეს ამბავი ერთი ათეული წლის შემდეგ? ასეთი იყო შეკვეთა.

რაც შეეხება პროკურატურას, იგი არის ივანიშვილის დავალების შემსრულებელი. ეტყვიან – გაწელავს საქმეს, ეტყვიან – დახურავს (კვალიფიკაციას შეუცვლის). თუ რა გზას დაადგება, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

რომ არა ხანდაზმულობის ვადა, შეიძლება თუ არა, განხორციელებული ტრანზაქცია ნაკლებად მძიმე ხასიათის ეკონომიკური დანაშაულის შემცველი ყოფილიყო? ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ იმ დროისათვის ბანკის 80 პროცენტის მფლობელმა აქციონერებმა სესხი არ დააბრუნეს. ეს ფული ბანკის კაპიტალის ზრდას მოხმარდა. ამ ოპერაციის შესახებ საქმის კურსში ალბათ იყვნენ დანარჩენი აქციონერებიც, რადგან ეს ტრანზაქცია არაერთხელ ყოფილა ავტორიტეტული აუდიტორული კომპანიების შესწავლის საგანი. რაც მთავარია, აქციონერთაგან დაზარალებულად არავინ მიიჩნევს თავს.

ამ მეტად სკანდალური და რეზონანსული ამბით ბევრი რამ გამოვიდა სააშკარაოზე. მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ ბიზნესი თუ არ დგას ხელისუფლების (ამ შემთხვევაში ერთი ოლიგარქის) მორჩილ სამსახურში, ის არის დაუცველი. როცა ასეთი მრავალმხრივი იმუნიტეტის მქონე ბიზნესჯგუფს ამ მდგომარეობაში აგდებენ, რა მოუვა სუსტს?!

უკანონობამ და შერჩევითმა სამართალმა უკან იცის ხოლმე შემობრუნება. თოფმა შეიძლება გაისროლოს! სხვა მიმართულებით. არ გვინდა ეს არავის. გვეყო! F

რა დაგვანახვა თიბისის საქმემ

ბოლო რამდენიმე კვირაა, საქართველოში ბევრს საუბრობენ თიბისი ბანკისა და მისი დამფუძნებლების გარშემო განვითარებულ სკანდალზე. სიტყვა „სკანდალი“ ტყუილად არ მიხმარია. ეს მოვლენები სერიოზულ უკანონობასა და ხელისუფლებაში მყოფთა დანაშაულზე მიგვითითებს.

ვიცი, ეს მძიმე სიტყვებია. შევეცდები ავხსნა, თუ რატომ ვფიქრობ ასე. თუმცა მანამდე რამდენიმე დაშვების გაკეთებას ვერ ავცდები. დაშვებები დაგვჭირდება, რადგან ამ ამბის ობიექტური გამოძიება არ ჩატარებულა და, დიდი ალბათობით, არც ჩატარდება. ამავე დროს ჩვენი, როგორც დამკვირვებლის, წყაროები მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები და გამოქვეყნებული დოკუმენტებია. მათი მტკიცებულებითი ღირებულება კი უფრო თითოეული ჩვენგანის რწმენის საკითხია, ვიდრე სასამართლოში ნაჩვენები, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული რამ.

ჩემი რწმენით და იმაზე დაყრდნობით, რაც ვნახე და მოვისმინე, შემდეგი რამ მოხდა:

რაღაც მომენტში მამუკა ხაზარაძესა და ბიძინა ივანიშვილს ურთიერთობა მკვეთრად გაუფუჭდათ. დიდი ალბათობით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ივანიშვილის ოდესღაც ფავორიტი და მოულოდნელად „ფავორიდან“ გადავარდნილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილისა და მამუკა ხაზარაძის სიახლოვე იყო. კვირიკაშვილის გადადგომიდან მალევე თიბისი ბანკზე ჰაკერული შეტევა განხორციელდა. ამ შეტევის წარმომავლობა სამთავრობო სტრუქტურებიდან (შენობიდან, სადაც ერთ დროს კავშირგაბმულობის სამინისტრო იმყოფებოდა) ჩანს. ამ შეტევის გამოძიება, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს, რაც ეჭვს მის წარმომავლობაზე კიდევ უფრო ამყარებს. მოგვიანებით ამას დაემატა ივანიშვილის აღქმა, რომ ხაზარაძემ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ოპოზიციის დახმარება დაიწყო. არჩევნების მეორე ტურამდე რაღაც დროს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მამუკა ხაზარაძე ალიანსშია „TV პირველის“ დამფუძნებელთან, ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელთან. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგით შეშინებულმა ივანიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიას საშუალებით (ან თვითონ გახარიამ) ხაზარაძეს „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერის საჯაროდ დაფიქსირება და „TV პირველის“ „იმედიზაცია“ მოსთხოვა. ხაზარაძეზე მრავალფრონტიანი შეტევის გასაძლიერებლად პროკურატურასა და ეროვნულ ბანკს დაევალათ „რამე ეპოვნათ“ თიბისისა და „TV პირველის“ დამფუძნებლებზე და მათ შორის კავშირზე. პროკურატურა და ეროვნული ბანკი მორჩილად შეუდგა ამ დავალების შესრულებას და 11 წლის წინანდელი ბანკის რეკაპიტალიზაციის ტრანზაქციას მიაგნო. მოუქნელად ჩატარებული ეს საკმაოდ უვნებელი გარიგება პროკურატურამ, არც მეტი, არც ნაკლები, ფულის გათეთრებად მოიხსენია. ამ ბრალდების აბსურდულობა აშკარაა, რადგან თანხების წყარო ამ გარიგებისთვის თვით თიბისი ბანკია, რაც გამორიცხავს ფულის „სიშავეს“ და, შესაბამისად, მისი გათეთრების ქმედებასა თუ მცდელობას. ნებსით თუ უნებლიეთ, „ქართული ოცნების“ ბრძოლა მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ სერიოზულ ზიანს აყენებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს. ამ პროექტისათვის ფინანსირების მოძიების პროცესის ზუსტი დეტალები უცნობია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მოსაზიდი თანხა უპრეცედენტოდ დიდია ($500 მილიონს აღემატება) და პროექტის წარმატების წინაპირობა ტვირთგადაზიდვების რეგიონალური ბიზნესის დრამატული ცვლილებაა. ასეთი პროექტისათვის საქართველოს პირობებში ფულის მოძიება მხოლოდ მთავრობისაგან ასპროცენტიანი მხარდაჭერის პირობებშია შესაძლებელი. ამის ნაცვლად ჩვენ და, რაც მთავარია, პოტენციური დამფინანსებლები, ვხე-

დავთ მთავრობის მტრობას პროექტის ლოკომოტივის, მამუკა ხაზარაძის მიმართ. და თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან აქა-იქ ამ პროექტისადმი ნელთბილი მხარდაჭერის სიტყვებიც ისმის, ჭკვიანი ინვესტორები ქმედებებს გაცილებით მეტ წონას ანიჭებენ, ვიდრე სიტყვებს.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც მე ზემოთ აღვწერე. თუმცა ჯერჯერობით არაფერი მომხდარა ისეთი, რაც ამ სცენარისადმი ჩემს რწმენას შეარყევდა.

ამ ამბების ჩემი შეფასება ასეთია:

1. „ქართული ოცნების“ კორპორაციული კულტურა ძალიან ჰგავს სამეფო კარისას

„მეფეს“, ბიძინა ივანიშვილს, განუზომელი გავლენა აქვს მის „ქვეშევრდომებზე“. ეს „ქვეშევრდომები“ ერთმანეთთან მუდმივ კონკურენციაში არიან „მეფის“ კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ამ კონკურენციაში წარმატების კრიტერიუმები ბუნდოვანია და ცვლადი. ყველაზე საიმედო სტრატეგია „მეფისადმი“ სრული მორჩილების ხშირი და თანამიმდევრული დემონსტრირებაა.

„ქვეშევრდომთა“ მიერ გამოვლენილი ოდნავი დამოუკიდებლობის ნიშნებიც კი მკაცრად ისჯება და ამ სასჯელისგან ვერც შედარებითი კომპეტენცია ან პოლიტიკური რეიტინგი დაგიცავს. „მეფის“ რისხვა, როგორც წესი, ირაციონალური და მოულოდნელია. შერისხული კი ოდნავ კი არ დაქვეითდება, ის პირდაპირ მიწას ენარცხება და პირწმინდად კარგავს გავლენებსა და ძალას. ეს სრული დაკნინება ეხება ყველას, ვინც მასთან ახლობლობდა და პარტნიორობდა და ვისაც ის ლობირებდა. ასე მოუვიდა კვირიკაშვილს, რომლის სიმბოლურ ნანგრევებშიც მამუკა ხაზარაძეც მოჰყვა.

2. ივანიშვილს მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავს მსხვილი ქართული ბიზნესი

ბატონი ბიძინა სიამოვნებით ასრულებს გამრიგებლის როლს მსხვილ ქართველ ბიზნესმენებს შორის. როგორც ამ ბიზნესმენებს, ისე თვით ივანიშვილს არაერთხელ მოუყოლიათ მის სასახლეში სხვადასხვა საქმიანი საკითხის განხილვის შესახებ. მაგალითად, როგორც ხაზარაძის მონაყოლიდან ჩანს, თვით თიბისიმაც „ბანკ რესპუბლიკის“ შესყიდვის ფაქტობრივი უფლება ასეთივე შეხვედრაზე მიიღო (იმ მცირე დამატებითი პირობით, რომ პაკეტში „პროგრესბანკიც“ უნდა შეეძინა). ამ ეპიზოდში ჩანს, რომ ეროვნული ბანკი მხოლოდ ფორმალურადაა საბანკო სექტორის მარეგულირებელი და ამ როლსაც ივანიშვილი ითავსებს.

მსხვილი ბიზნესის დამორჩილებას ივანიშვილის შემთხვევაში არასტანდარტული მიზანი აქვს. მე არ მგონია, ის ამას ფინანსური მოგებისათვის აკეთებდეს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, არ გამოეპაროს მოვლენების ისეთი შესაძლო განვითარება, როცა ბიზნესმენები ოპოზიციურ პარტიებს დააფინანსებენ ან თვითონ გადაწყვეტენ პოლიტიკაში წასვლას. მეტიც, ის ალბათ დაცულობასა და ხელშეუხებლობას ჰპირდება მსხვილ ბიზნესს ისე, რომ ვერც კი ხვდება, რომ ეს მოდელი ნამდვილი ეკონომიკური თავისუფლებისაგან ძალიან შორსაა. ჯერ ერთი, რა ქნას საშუალო, წვრილმა ბიზნესმა, რომელსაც ივანიშვილთან აუდიენციაზე არავინ შეუშვებს. მეორეც, ივანიშვილთან ეს იძულებითი სიახლოვე „დიდი ბიჭებისთვისაც“ საშიშია – სანამ ბიძინა გწყალობს, თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ვინ იცის, როდის და რატომ შეიძლება ეს მოწყალება რისხვად გადაიქცეს. ეს ურთიერთობა მთვლემარე ლომთან გალიაში ყოფნას ჰგავს – მის გაღვიძებამდე.

3. მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტები ხალხის ნაცვლად ივანიშვილს ემსახურება

ამის შესახებ ადრეც ბევრი თქმულა და დაწერილა. ივანიშვილის მიერ „სახელმწიფოს მიტაცებაზე“ უკვე საერთაშორისო არასამთავრობოებიც ალაპარაკდნენ.

თიბისის ეპიზოდმა აჩვენა:

- **საეჭვოდ სწრაფი და ჰარმონიული კოორდინაცია სებ-ის, პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო სააგენტოებს შორის მაშინ, როცა ეს ბატონ ივანიშვილს სჭირდება;**

- **კიდევ ერთხელ და ფაქტობრივად დადასტურებული შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიას სრული ჩართულობა საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხარეს;**

- **„ქართული ოცნების“ მიერ ტროლებისა და ჰაკერების ფართოდ, ხშირად უნიჭოდ და ხანდახან თავხედურად გამოყენება და ამ მიზნით მათთვის სახელმწიფო შენობების დათმობა.**

მთავარი კი, რაც თიბისის ეპიზოდმა გააკეთა, არის ის, რომ „სამზარეულოში შეგვახედა“ და დაგვანახვა, რომ დღევანდელ საქართველოში ცუდი გარემოა ბიზნესის კეთებისთვის. მართვის ასეთი მოდელით სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე ვერც ვიოცნებებთ, სიღარიბიდან ვერ ამოვალთ და სამართლიან საზოგადოებას ვერ შევქმნით.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „სკანდალი“ მსუბუქი სიტყვაა. F

კაპიტალიზმის გადააზრება

მილიარდერები წელს ერთგვარ კუდიანებად არიან ქცეულნი: ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ სისტემა მათ წინააღმდეგ მუშაობს. ქვემოთ ჩვენეულ ხედვას გთავაზობთ, თუ როგორ შეიძლება, ყველაზე დიდი ეკონომიკური ძრავა, რაც კი რამ ამქვეყნად მოგონილა, უფრო ავთენტიკურ, უფრო ხელმისაწვდომ და უფრო ანგარიშვალდებულ ორგანიზმად იქცეს.

ავტორი: რენდალ ლეინი

ნიუ-იორკის არამოკრძალებული Peninsula Hotel-ის მოკრძალებულ ოთახში თითქმის მთელი გასული 20 წლის განმავლობაში უმდიდრესად აღიარებული კაცი ეგზისტენციალურ კითხვაზე ჩაფიქრებულა – კითხვაზე, რომელიც, მოულოდნელად, დამბეგრავი პოლიტიკის მომხრე მემარცხენეთა წრეებში მოდაში შემოვიდა: საერთოდ უნდა არსებობდეს თავად? „საინტერესოა, – ამბობს ბილ გეიტსი, – რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად, ხალხმა დაიწყო კითხვის დასმა – საჭიროა კი, მილიარდერები გვყავდეს?“.

გეიტსი ამ თეზის გაშლას საკმაოდ არაემოციურად განაგრძობს: „ასეთი რამ მართლაც რომ განგეხორციელებინა, ვშიშობ, მოგების ოდენობა გაცილებით მცირე იქნებოდა, ვიდრე დანაკარგის. ახლა ეს მიკერძოებულად ჟღერს, ჰოდა, ნეიტრალური მსაჯული გვჭირდება... საჭიროა ვიღაც ისეთი, ვინც არ არის მდიდარი და იტყვის, რომ, რიგ შემთხვევებში, მისცე ხალხს საშუალება, იყვნენ მდიდრები, ნორმალურია“.

ნება მომეცით, ჩემი აზრი გამოვთქვა: ბოლო წლის მანძილზე პირისპირ დიალოგები მქონდა ოცდახუთ მილიარდერთან მაინც, მათ შორის, პირადად შევხვდი მსოფლიოს სამ უმდიდრეს ადამიანს – ჯეფ ბეზოსს, ბილ გეიტსსა და უორენ ბაფეტს, და ამ საუბრების დროს კაპიტალიზმის სხვადასხვა ასპექტს შევხებივართ. ეს სისტემა საგანგაშო სტადიაში შედის: 1960-იანები ან, სულაც, 1930-იანები უნდა გავიხსენოთ, თუ გვინდა, რომ ვიპოვოთ პერიოდი, როცა თავისუფალი ბაზრის უზენაესობა ამხელა კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარა.

გასულ ზაფხულს Gallup-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ამერიკელთა მხოლოდ 56% ამბობს, რომ კაპიტალიზმს დადებითად აღიქვამს, 37% კი ამას სოციალიზმზე ამბობს. იმავე პერიოდის Fox News-ის გამოკითხვის მიხედვით, ზრდასრულთა 36% იწონებს აშშ-ის კურსის ცვლილებას „კაპიტალიზმიდან მეტი სოციალიზმისკენ“, ეს კი საგრძნობლად გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელია 2012-თან შედარებით, როცა ამავე აზრზე მხოლოდ 20% იყო.

ახალი ათასწლეულის წარმომადგენლებსა და ე.წ. თაობა Z-ზე თუ მიდგება საქმე, უმრავლესობის აზრს თავისუფალი ბაზრის სკეპტიციზმი შეგვიძლია, ვუწოდოთ. Gallup-ის კვლევაში, 18-დან 29-წლამდელთა 51%-ს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა სოციალიზმის მიმართ (თუმცა აქ მეტწილად რბილი, სკანდინავიურ/ბერნი სანდერსისეული ვერსია იგულისხმება, ვიდრე საბჭოთა/ბერლინის კედლის მძიმე ამბები), მაშინ როცა კაპიტალიზმზე დადებითი აზრი 45%-მა გამოხატა. ამ შედეგების ექოს ჰგავს ახალგაზრდა ზრდასრულებთან ჩატარებული Harvard-ის გამოკითხვა, სადაც 51%-მა განაცხადა, რომ კაპიტალიზმს მხარს არ უჭერდა და მხოლოდ 19%-მა თქვა, რომ „საკუთარი თავის იდენტიფიცირებას კაპიტალისტთან“ ახდენდა. ეს სენტიმენტები კი იმ ეკონომიკაში იფურჩქნება, რომელიც, ყოველგვარი ტრადიციული საზომით, ბუმის მომსწრეა, სრული დასაქმებითა და 3%-იანი ზრდით.

ჯერჯერობით, 2019 მხოლოდ თუ განამტკიცებს ამ შეხედულებებს... ტექნოლოგიური კომპანიები სანდოობას პანტაპუნტით კარგავენ, ჰოვარდ შულცმა თავი კარიკატურად იქცია, ხოლო „დაბეგრეთ ძალიან მდიდრების“ ტიპის არაერთგზის გაკეთებული შეთავაზება გასაოცრად მაღალ მხარდაჭერას იღებს. „უკვე წლებია, ხარშვის პროცესი მიდის, რომელმაც ბოლო რამდენიმე თვეში ტემპი საგრძნობლად აკრიფა და ახლა, ბოლო რამდენიმე კვირაში, კვლავ დაიწყო თუხთუხი“, – ამბობს AOL-ის დამფუძნებელი სტივ ქეისი, რომელიც დღეს საინვესტიციო ფირმა Revolution-ს თაოსნობს. „ვფიქრობ, უნდა ვაღიაროთ, რომ გზაჯვარედინზე ვდგავართ, მასობრივი სოციალური უთანხმოების პირისპირ“, – დასძენს ჰეჯ-ფონდის ტიტანი პოლ ტიუდორ ჯონსი.

ფოტო: SHUTTERSTOCK

ეს ადამიანები კი მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ მილიარდერებისა, რომელთაც არ მოერიდათ ამ განცხადებების ოფიციალურად გაკეთება. თითქმის ყველა, ვისაც ველაპარაკე, აღიარებს, რომ ცვლილებებია საჭირო, ზოგი – ეტაპობრივი, ზოგიც – სისტემური; ზოგი ჩურჩულით ლაპარაკობს, უფრო მეტი კი ხმამაღლა აცხადებს „რეფორმისა“ თუ „გადატვირთვის“ საჭიროებას. ყველაზე პოეტური წინადადება ალბათ მაინც როკვარსკვლავ ბონოს ჰქონდა: გადაადგილება.

მსგავსი ტერმინი თუ სტივ ჯობსს ან უოლტ დისნეის – კაპიტალიზმის ორ, მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებულ, წმინდანს – გააცოცხლებს, დაე, ასეც იყოს. ანტრეპრენიორული კაპიტალიზმი, ობიექტურად, საუკეთესო სისტემად რჩება, რაც კი სამყაროში გამოუგონიათ – სისტემად, რომელსაც შეუძლია, შექმნას და გაანაწილოს კეთილდღეობა, ხოლო თუ მილიარდზე მეტ ადამიანს შეხედავ ჩინეთში, ინდოეთში ან კიდევ სადმე სხვაგან, რომლებმაც ბოლო ოც წელიწადში უკიდურეს გაჭირვებას დააღწიეს თავი და გამდიდრდნენ, კვლავ ადვილად შეძლებ, ამ სისტემას ოდა უმღერო. იგივე გრძელდება ამერიკაშიც. უმდიდრეს ამერიკელთა რეიტინგის – Forbes 400-ის – წევრთა 67% თვითნაბადია, 11% კი იმიგრანტი. „ამერიკა მუშაობს და დღეს იმაზე უკეთ მუშაობს, ვიდრე ოდესმე“, – ამბობს ბაფეტი.

მაგრამ რადგანაც არაერთი ამერიკელი ამავენაირად არ ფიქრობს, დამდგარა დრო, გადავიაზროთ სისტემა, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი. აიღეთ ამერიკული ოცნების გენიალურ გამოვლინებათა ტვინები და კაპიტალიზმის AAA-ვერსიაც არ დააყოვნებს აღმოცენებას, უფრო ავთენტიკური, ხელმისაწვდომი და ანგარიშვალდებული ვერსია... და, ვერსია, რომელიც გაურკვევლობისა თუ არასტაბილურობის ეპოქაში, შესაძლოა, სრულიად გამძლე გამოდგეს. რისკები ასეთი მაღალი არასდროს ყოფილა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალები ერთიანდებიან და კეთილდღეობის ისტორიულად ყველაზე უფრო მასშტაბურ ძრავას უქადიან საფრთხეს.

კაპიტალიზმის გადააზრება, როგორც ავთენტიკურისა

ფრანგი დიდგვაროვნის, ალექსის დე ტოკვილის მოგზაურობა 1830-იანების ამერიკაში დაემთხვა სოციალისტური თეორიების აღმოცენებას ევროპაში – მოძრაობისა, რომელსაც ის შორსმჭვრეტელურად და მკაცრად აკრიტიკებდა. ის დაბალანსებული კაპიტალიზმი, რომელსაც ტოკვილი შეესწრო, მისთვის აშკარად უპირატესი იყო მშობლიურ ალტერნატივებთან შედარებით, მაგალითად, მთავრობისთვის ძალაუფლების დათმობასა თუ „ერთი-ორი მდიდარი და ძალაუფლების მქონე ინდივიდის მიერ მართულ“ უფრო ფეოდალურ სისტემასთან შედარებით. „შეერთებული შტატების მკვიდრნი თითქმის ყოველთვის ახერხებენ საკუთარი სარგებლის კომბინირებას მათივე თანამოქალაქეების სარგებელთან “, – აღნიშნავდა ტოკვილი. მისმა ნააზრევმა ფრიდრიხ ჰაიეკს „გზა ბატონყმობისკენ“ შთააგონა და მოხვდა Forbes-ის სულ პირველ, რუსეთის რევოლუციის დროს დაბეჭდილ გამოცემაშიც, სადაც მისმა დამფუძნებელმა ბ.ჩ. ფორბსმა თავისი ცნობილი ფრაზა დაწერა: „ბიზნესი ბედნიერების შესაქმნელად აღმოცენდა, მილიონების დასახვავებლად კი არა“.

ტოკვილის კიდევ ერთი თაყვანისმცემელი მე-20 საუკუნეში მილტონ ფრიდმენი იყო; მას განსაკუთრებით მოსწონდა ფრანგი მოაზროვნის აქცენტი პოლიტიკურ თანასწორობაზე, როგორც კეთილდღეობის წარმმართავ ძალაზე. მაგრამ, როგორც ცნობილია, ფრიდმენს მიაჩნდა, რომ ბიზნესის ყველა მდგენელს – მომხმარებელს, დასაქმებულებს, თემს – შორის მხოლოდ ერთი იყო უზენაესი მნიშვნელობის: მეწილე. ის აცხადებდა, რომ ბიზნესის ერთადერთი სოციალური პასუხისმგებლობა მოგებათა მაქსიმიზება იყო. თუ მეწილეებს საკუთარი მოგებების დახარჯვა ალტრუისტურ მიზნებზე სურდათ, ხომ გადასარევი, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი გადასაწყვეტი იყო, თანაც, ამგვარი გადაწყვეტილებით, რაღაც ღირებული უნდა ეყიდათ... შესაძლოა, სოციალური სანქციები ან დანაშაულის შეგრძნებისაგან გათავისუფლება.

ქცევის ამ პრინციპმა LBO-ები (ე.წ. დაფინანსებადი გამოსყიდვები), კერძო სააქციო კაპიტალის გარიგებები და EBO-ები (გამოსყიდვები დაქირავებულთა მიერ) მოგვიტანა. და დღეს თავის ტკივილიც გაუჩინა მსოფლიოს არაერთ ყველაზე წარმატებულ კაპიტალისტს. „როგორ შევცდი მილტონ ფრიდმენთან დაკავშირებით... უმეტესობა ჩვენგანი შეცდა“, – ამბობს ჯონსი, რომელმაც $5 მილიარდის ქონება დააგროვა ბაზრის შესაძლებლობების ექსპლუატირებით, მათ შორის, ე.წ. მოკლევადიანი ვაჭრობით 1987 წლის ბაზრის კოლაფსისას. „ეს სხვა კორპორაციულ მეწილეებს დიდ ფასად დაუჯდათ, რამაც ბზარი გაუჩინა ნდობაში, რომელზეც კომპანიები და სამოქალაქო საზოგადოება არიან დამოკიდებულნი“.

> „ამერიკა მუშაობს და დღეს იმაზე უკეთ მუშაობს, ვიდრე ოდესმე“.
>
> **უორენ ბაფეტი**



ეპოქაში, როცა მომხმარებლები ავთენტიკურობას შეჰნატრიან, ტოკვილის ვერსია, რომელშიც მოგებები ბიზნესის თანამდევ ეფექტად უფროა აღქმული, ვიდრე მის ერთადერთ მისიად, კაპიტალიზმის ბუნებრივ შემაკავებელს გვთავაზობს – ანუ იმას, რაც უკვე ერთობ პოპულარულია, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ამერიკელებში. Deloitte-ის 2018 წლის მასობრივი გამოკითხვის თანახმად, ახალი ათასწლეულის წარმომადგენელთა აზრით, ბიზნესის პრიორიტეტებზე თუ მიდგება საქმე, სამ ყველაზე დაბალ პოზიციას მოგებები, ეფექტიანობა და გაყიდვები იკავებენ, სამ ყველაზე მაღალ პოზიციაზე კი სამუშაო ადგილების შექმნა, საზოგადოების გაუმჯობესება და ინოვაცია გადიან.

ავთენტიკურობით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკელებს, Wall Street-ისა და დიდი ბიზნესისადმი ანტიპათიის პარალელურად, კვლავ მოსწონთ ანტრეპრენიორები (87%-ს, Gallup-ის თანახმად) და პატარა ბიზნესი (96%-ს). და აიხსნება ისიც, თუ რატომაა, რომ მიზნით მართულ ისეთ კომპანიებს, როგორიც Patagonia და Warby Parker-ი არიან, თავზე შარავანდედი ადგათ – და არა აქვს მნიშვნელობა, რას ყიდიან ან რამდენად მდიდრდებიან მათი დამფუძნებლები.

„როცა კომპანიებს ვყიდულობთ, ერთ-ერთი კითხვა, რაზეც ზუსტი პასუხი მინდა, არის ის, თუ ვინ არიან კომპანიის დამფუძნებლები – იდეას ემსახურებიან თუ ფულს?“ – მითხრა ჯეფ ბეზოსმა რამდენიმე თვის წინ, მერე კი თავისი საფირმო ხრინწიანი სიცილით თავადვე გაამჟღავნა პასუხი – „რეალურად, ამის გამოცნობა ძალიან ადვილია: იდეის სამსახურში მყოფი ხალხი უკეთეს პროდუქტებსა და სერვისებს უშვებს“. ამასთან, მათ ერთი ისეთი ავთენტიკური თვისება ახლავთ, რაც ყველაზე მოგებიანია: ნდობა. ეს სიტყვა, ბეზოსის თქმით, „ისაა, რაც საშუალებას გაძლევს, ბიზნესი გააფართოო“.

ცხადია, ნდობა დანის პირზე სიარულს ჰგავს. იმ პირობებში, როცა Facebook-ი მომხმარებლის მონაცემებს უფრო ფარღალალა ფურცელივით ეპყრობა, ვიდრე კონტრაქტივით, კომპანიის – და ცუკერბერგის – რეპუტაცია სერიოზულ მარცხს განიცდის (მოვლენათა უკიდურესად არარეალისტური განვითარების შემთხვევაში, ცუკერბერგის წარმოდგენა ცხელში უფრო იოლია, ვიდრე თეთრ სახლში). და ამიტომაცაა, რომ Wall Street-ი კვლავ ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორითაც „დიდი თამბაქო“.

მაგრამ თვით ფინანსებშიც კი ავთენტიკურობის ფესვები სწრაფად იზრდება. ე.წ. პოზიტიური გავლენის მქონე ინვესტირება, კარგა ხანია, მხოლოდ კეთილის მქმნელთა ნიშად რომ მიიჩნეოდა, დღეს ზრდის სფეროდ ყალიბდება და 2018-ში დაახლოებით $35 მილიარდი იქნა გაღებული იმგვარი ბიზნესების დასაფინანსებლად, რომელთაც, მოგებათა მსხვერპლად შეწირვის გარეშე, საზოგადოებრივი სარგებლის შექმნა შეუძლიათ. „ჩვენ ინოვაციისა და ანტრეპრენიორობის მეშვეობით პრობლემების გადაჭრაზე ვლაპარაკობთ“, – ამბობს ნენსი პფანდი, რომელმაც DBL Partners-ი დააფუძნა და სამ ვენჩურულ ფონდში $625 მილიონი მოიზიდა. მისი ფლაგმანი, რომელსაც ინვესტიციები Tesla-სა და SolarCity-ში აქვს განხორციელებული, ამ ათწლეულში ეფექტიან ფონდთა პირველ ოთხეულში ხვდება. „თუ მხოლოდ სუპერმოკლევადიან მეწილეს ეძებ, ე.ი. ინოვაციას შენს სასარგებლოდ არ იყენებ... და მომავალს ღალატობ“.

რიცხვები სულ უფრო დიდი ხდება: ისეთ მილიარდერთა კონსორციუმის მიერ დაფინანსებულმა Breakthrough Energy Ventures-მა, როგორებიც გეიტსი, ბეზოსი, მაიკლ ბლუმბერგი, რიჩარდ ბრენსონი და ჯეკ მა არიან, $1 მილიარდის გაცემის პირობა დადო სტარტაპტებისთვის, რომლებიც ნახშირბადის პოლუციის აღმოსაფხვრელად რადიკალურ ნაბიჯებს გვპირდებიან. მსგავსი, პლატინუმით მოვარაყებული, ბობოლოთა ჯგუფი, მათ შორის, ბონო, ლორენ პაუელ ჯობსი და ჯეფ სკოლი, Rise Fund-ს

„ვფიქრობ, უნდა ვაღიაროთ, რომ გზაჯვარედინზე ვდგავართ, მასობრივი სოციალური უთანხმოების პირისპირ“.

პოლ ტიუდორ ჰონსი

აფინანსებს – კერძო სააქციო კაპიტალის გიგანტ TPG-ის განყოფილებას, რომელსაც $1.8 მილიარდი აქვს ჩადებული 25 ისეთ ინვესტიციაში, რომელთაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებაზე. „ხალხი სამართლიანად კითხულობს, მუშაობს თუ არა სისტემა, – ამბობს Rise Fund-ის აღმასრულებელი დირექტორი ბილ მაქგლეშენი. – მიგვაჩნია, რომ კაპიტალიზმი უკეთესი მსახურია, ვიდრე ბატონი“.

კაპიტალიზმის გადააზრება, როგორც ხელმისაწვდომისა

ისინი, ვისაც ჯერაც სამართლიანად სწამს, რომ ამერიკა შესაძლებლობების მიწაა, Fox News-ის სულ რამდენიმე კვირის წინანდელმა გამოკითხვამ, წესით, უნდა ჩააფიქროს: ამერიკელთა 42%-ს არ მიაჩნია, რომ „დღევანდელი ამერიკული კაპიტალიზმი“ მათ „სამართლიან შესაძლებლობებს“ სთავაზობს. კიდევ უფრო სევდიანი კი ისაა, რომ ქვეყანაში, რომელიც მუდამ ერთგულებდა თეზას, რომლის თანახმადაც, შრომისმოყვარეობით თავის გატანას შეძლებ (ან შენი შვილები მაინც შეძლებენ), 18%-ს მიაჩნია, რომ ამერიკული ოცნება მათი ოჯახებისთვის მიუწვდომელია.

ამ სენტიმენტს უხვი სტატისტიკური მონაცემი უმაგრებს ზურგს. აშშ-ში მუშახელის ზედა 1%, ერთობლივად, გაცილებით მეტ ფულს შოულობს, ვიდრე ქვედა 50%. „ბაზრის სისტემა, რაც უფრო სპეციალიზებული ხდება, სულ უფრო მეტ ფულს ისვრის ზემოთ, – განმარტავს ბაფეტი. – უფრო სპეციალიზებული ბაზრის ეკონომიკის ბუნებრივი ფუნქცია ჯილდოთა სულ უფრო დიდი წილის ზემოთ გადამისამართებაა. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხისთვის სათანადო ყურადღება არ მიგვიქცევია“.

მაგრამ სიტუაცია, რეალურად, გაცილებით უარესია, ვიდრე უკიდურესად დიდი განსვლაა შემოსავალში. ისტორიულად, ამერიკელები სუპერმდიდრებს გმირ, და არა ბოროტ, პერსონაჟებად აღიქვამდნენ. მარტივი მიზეზია: „ჩვენ ყველას გვეგონა, რომ შეგვეძლო, მათნაირები გავმხდარიყავით“, – ამბობს ჯონსი. ამ პოპულარულ სიბრაზეს ცეცხლს სოციო-ეკონომიკურ კიბეზე დაწინაურების მზარდი დეფიციტი უნთებს. წარმატების შესახებ არსებული ათასგვარი ლეგენდის მიუხედავად, თუ არასათანადო საფოსტო ინდექსის არეალში, არასათანადო მშობლების შვილად ხარ დაბადებული, გზა Forbes 400-ისკენ არასდროს ყოფილა ისეთი გრძელი თუ ვიწრო, როგორიც დღეს არის.

მაგალითისათვის ვენჩურული კაპიტალი ავიღოთ – ყველაზე მკაფიო საწყისი პუნქტი მილიარდდოლარიანი ქონებისკენ ბოლო 20 წლის მანძილზე. ამერიკელთა დიდ უმრავლესობას ამ ვენჩურული კაპიტალის კარის გაღების არავითარი საშუალება არა აქვს. დამფუძნებელ ქალებს ვენჩურ-კაპიტალის მხოლოდ 15% ერგებათ, 1% – შავკანიან ანტრეპრენიორებს და მეოთხედზე ნაკლები – ნებისმიერს, ვინც კალიფორნიაში, ნიუ-იორკსა და მასაჩუსეტსში არ ცხოვრობს. კი, დაფინანსების ამ მექანიზმზე გაცილებით უფრო გლობალურ, მრავალფეროვან ჯგუფებს აქვთ დღეს წვდომა, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია მმობლისთვის, რომლის შვილი ძალიან საშუალო საჯარო სკოლაში დადის ყველასაგან მივიწყებულ ქალაქსა თუ რეგიონში.

„სათამაშო პირობების გათანაბრება ეროვნულ პრიორიტეტად უნდა იქცეს“, – ამბობს ქეისი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, ავტობუსის ტურს, Rise of the Rest-ს, ატარებს – ქვეყნის გარშემო მოგზაურობს და მილიონობით დოლარს დებს 100-ზე მეტ კომპანიაში, რომლებიც არ მდებარეობენ ბოსტონში, ნიუ-იორკსა თუ სან-ფრანცისკოს ყურის ოლქში. ქეისისთვის ეს სამოქალაქო ვალიც არის და შესაძლებლობაც იმ თვალსაზრისით, რომ ბრწყინვალე გონების პატრონი ხალხი ამაოდ შვრება დაბალხარჯიან რეგიონებში და მაღალი ზრდის სასოწარკვეთილი იმედებით ცხოვრობს.

> „უკვე წლებია, [ანტიმილიარდერული სენტიმენტის] ხარშვის პროცესი მიდის, რომელმაც ბოლო რამდენიმე თვეში ტემპი საგრძნობლად აკრიფა და ახლა, ბოლო რამდენიმე კვირაში, კვლავ დაიწყო თუხთუხი“.
>
> სტივ ქეისი

პფანდი თურმე პირდაპირ ითვლის ლიდერ ქალებს, ვიდრე ფირმაში დააბანდებდეს კაპიტალს. მის ფონდებში არსებულ კომპანიათა თითქმის ორ მესამედში ფინანსური დირექტორის ან უფრო მაღალი თანამდებობა ქალს უკავია. ამასთან, თავისი პორტფოლიოს მეშვეობით, შესაძლებლობათა გაზრდას ცდილობს, იქნება ეს მოგების გაზიარების გეგმები, მინიმალური საარსებო გასამრჯელოს გაცემა თუ სერვისებს მოკლებულ რეგიონებში დასაქმების წახალისება.

მაგრამ ყველა ეს ძალისხმევა მარგინალურია, აკლია სათანადო ენთუზიაზმი, ამბიციურ ადამიანებს საგანმანათლებლო შესაძლებლობები და შემდეგ წინსვლის გზა შეუქმნას. „რესურსები გვექნება, – ამბობს ბაფეტი, – საკითხავი ისაა, შევძლებთ კი, პრაქტიკაში, ყველა შრომისუნარიანი და კვირაში 40-საათიანი შრომისთვის მოწადინებული ჩავრთოთ საქმეში ისე, რომ ნორმალური შემოსავალი ჰქონდეთ და ოჯახები არჩინონ?“

კაპიტალიზმის გადააზრება, როგორც ანგარიშვალდებულისა

ბილ გეიტსის ინტერვიუდან რამდენიმე საათში ერთი უცნაური რამ მოხდა. მილიარდერთა მომავლის განხილვის შემდეგ ის ცოლთან, მელინდასთან, ერთად, სტივენ ქოლბერტის შოუში წავიდა და გულის გამაწვრილებელი აპლოდისმენტიც დაიმსახურა. მსოფლიოს მეორე უმდიდრესი ადამიანის ახალ როლს შეგუებულმა, გონებამახვილურად შენიშნა: „ვცდილობთ, უფრო სწრაფად გავცეთ“ და აუდიტორიამაც არ დააყოვნა აღტაცებული შეძახილები. სუპერმდიდრებისთვის უფრო მაღალი გადასახადების დაწესებით დაწყებული, წარმატებულთა ვალდებულებითა და ქალების გაძლიერებით დამთავრებული, ცოლ-ქმრის ყველა მოწოდებას გამალებული ტაში ახლდა. შოუს დასასრულს ქოლბერტი პროვოკაციულად გაეხუმრა გეიტსებს, პოლიტიკურ კარიერაზე უნდა იფიქროთო.

შეადარეთ ეს ბრონქსის შეძახილებს, რომლებიც იმავე კვირის ბოლოსკენ ნიუ-იორკში ექოსავით გაისმა, როცა Amazon-მა განაცხადა, რომ ქვინსში თავის HQ2-ის გეგმებს შლიდა. მათემატიკური გამოწვევების მქონე პოლიტიკოსებმა, რომელთაც ეს ხელშეკრულება ჩაშალეს, სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლი მიიღეს პასუხად ლამის ყველასგან, თავიანთი ლოიალური მხარდამჭერების გარდა. მაგრამ ბეზოსიც არანაკლებ დაზიანდა. მისი ქონება $130 მილიარდს აჭარბებს (ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ მისი განქორწინება აღსრულდება) Amazon-ის ღირებულება კი $800 მილიარდს უდრის. რატომ უნდა მოახდინო უბადრუკი $3 მილიარდის ექსტრაგირება ნიუ-იორკისგან კორპორაციული კეთილდღეობისთვის? ჭეშმარიტი ფრიდმენისეული გაგებით, პასუხი შემდეგია: იმიტომ რომ, მას მეწილეები ჰყავს... და შეეძლო.

დაპირისპირებული რეაქციები ისეთივე მარადიულ ამერიკულ ჭეშმარიტებას უსვამს ხაზს, როგორიც Astor-ი და Cooper-ი და Rockefeller-ი არიან: ამერიკელები ელიან, რომ მისი მერიტოკრატიული უდიდებულესობა იმ საზოგადოების წინაშე დარჩება ანგარიშვალდებული, რომლის დახმარებითაც ის შეიქმნა.

ტრადიციულად, ეს ფილანთროპიას ნიშნავს – უკიდურესი წარმატების (სამყაროში დღეს 137 დეკამილიარდერია) შემადგენელ კომპონენტს, რომელიც, მართალია, ლამის არჩევითიც აღარაა, მაგრამ ცინიზმს მაინც იწვევს. გეიტსის თქმით, „ეს გარკვეულ რეზონანსს პოულობს იერიშში, რომ „აი, საერთოდ რატომ უნდა გეთქმოდეს სიტყვა დღის წესრიგის შედგენაში?“"

გეიტსისთვის, რომელსაც, ჩვენივე სიცოცხლეში, დიდი ალბათობით, ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედის სახელი მიენიჭება, ანგარიშვალდებულება როლის ჩამოყალიბებით იწყება: „ახალი იდეების აკრეფა“ ან „ექსცენტრიკული თეორიები“, როგორც თავად ამბობს, მერე კი იმის დამტკიცება, რომ ეს კონცეფციები მუშაობს (ან არა), ისეთ რისკებზე წასვლა, რომელთაც გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან დაფინანსებული ვერავითარი მთავრობა – ან კი კორპორაციაზე დამოკიდებული

მეწილე – ვერ მოუძებნიდა გამართლებას.

მაგრამ გეიტსი იმასაც აცნობიერებს, რომ ამ ეპოქაში მოტივებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ. „თუ ავდგებით და მათემატიკის კლასს გავაუმჯობესებთ, – ამბობს გეიტსი, – ხალხი ადგება და გეტყვის, მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით კატეგორიზება არ მოგიხდენიათო“. ამიტომ გეიტსი ცდილობს, საჯაროდ ანგარიშვალდებული იყოს გამჭვირვალობის მეშვეობით, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც მისი ფონდის საჯარო წერილია, თავად და მელინდა რომ წერენ ყოველ წელს. სწორედ ეს მიზეზი უდევს საფუძვლად Giving Pledge-საც, რომელშიც მსოფლიოს 189 უმდიდრესმა ადამიანმა ყველას დასანახად პირობა დადო, რომ, სულ მცირე, ქონების ნახევარს გაიღებენ, უმეტესი მათგანი კი გაცილებით ბევრის გაღებას დაგვპირდა.

მსგავსადვე, Giving Pledge-ის ხელმომწერმა, Salesforce-ის დამფუძნებელმა მარკ ბენიოფმა ანომიმურობიდან გამჭვირვალობისკენ იცვალა გეზი და თავისი სახელი დააწერა ორ საავადმყოფოს – ნაწილობრივ იმიტომ, რომ როლურ მოდელად იქცეს ტექნოლოგიის სფეროს ამომავალი მილიარდერებისთვის და, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ,,გზავნილი ყოფილიყო, რომ ჩვენ ხელშესახები ფორმებით ვუცხადებთ თანადგომას თემს“. და იმავეს აკეთებს თავის კომპანიაშიც – ამ „1, 1, 1“ მოდელის პიონერში, რომელმაც კომპანიის სააქციო კაპიტალის 1% ტრასტში ჩადო, პლუს პირობა დადო, რომ მოგებათა 1%-სა და თავისი 35,000 თანამშრომლის დროის 1%-ს მოხალისეობრივ საქმიანობას მოახმარდა. ამ კომბინაციამ, გრანტების სახით, სამოქალაქო მიზნებისთვის $280 მილიონი და 3.8 მილიონი საათი გააჩინა.

ამგვარი მოხალისეობრივი ხელგაშლილობის იმედად ყოფნის ნაცვლად, ჯონსი, რომელმაც ფილანთროპიული კბილი ნიუ-იორკში ინოვაციური Robin Hood Foundation-ის დაფუძნებით მოიცვალა, ბოლო რამდენიმე წელია, იმაზეა ფოკუსირებული, რომ კორპორაციული ამერიკა პირდაპირ ანგარიშვალდებული ამყოფოს უკეთესი კაპიტალიზმისთვის. ჯონსმა Just Capital-ი დააფუძნა, რომელსაც 80,000-ზე მეტი ამერიკელი ჰყავს გამოკითხული, რათა ზუსტად შეფასებულ-გაზომილი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, თუ რა სჭირდება კარგ კორპორაციულ მოქალაქეს. როგორც ირკვევა, ამერიკის უფრო ასაკოვანი მუშახელი დიდად არ განსხვავდება ყველაზე ახალგაზრდებისაგან და მათაც სურთ, რომ კომპანიებმა თანამშრომლებს კარგად გადაუხადონ, ხარისხიანი, გამძლე პროდუქტები გამოუშვან და გარემოსა და თემზე იზრუნონ.

Just Capital-ი ყველა მსხვილ საჯარო კომპანიას 36 კრიტერიუმით აფასებს, საუკეთესოდან ყველაზე ცუდისკენ, და წამყვან კომპანიებს Good Housekeep-ისებრ ბეჭედს ასვამს, რათა უკეთესი კორპორაციული მოქალაქეობა წაახალისოს (ერთ საიდუმლოს გავამხელ: Just Capital-ის საბჭოს წევრი ვარ, Forbes-ი კი ყოველ შემოდგომაზე Just 100-ის წლიურ რეიტინგს აქვეყნებს). „ვერ შეძლებ იმის მართვას, რისი გაზომვაც არ შეგიძლია“, – ამბობს ჯონსი, რომლის დახმარებითაც, 2018-ის ივნისში, Just-მა ბირჟაზე ბრუნვადი $200-მილიონიანი ფონდი ჩაუშვა, რომელიც, თავის მხრივ, ჯერჯერობით S&P 500-ს ჯაბნის.

გაზომვაა ის, რაც მაქგლეშენს ამოძრავებს Rise Fund-ში, რომელსაც უჭირს სოციალურ სიკეთეებში დაბანდებული მილიარდები გაამართლოს იმ პირობებში, როცა არავის შეუძლია, განსაზღვროს, რა არის „სიკეთე“. ამავე მიზნით, Rise-მა გამოზარდა, შემდეგ კი, ამას წინათ, დამოუკიდებელ ფირმად აქცია Y Analytics-ი, რომელიც ამ პოზიტიური გავლენის გაზომვას უძღვნის თავს, ხოლო ეს გავლენა საკვანძო ნაბიჯია, კაპიტალიზმი პრობლემების გადაჭრაზე კიდევ უფრო მეტად ორიენტირებული რომ გახდეს.

მსგავს წამლებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ. „თუ ვერ ვიპოვით ბაზარზე დაფუძნებულ გამოსავალს, არათანასწორობის ექსპონენციური ზრდა რომ მოვაგვაროთ, მივიღებთ პოპულისტურ კანონმდებლობას, რომელიც ყოველი ლურსმნისთვის ახალ ჩაქუჩს შექმნის“, – ამბობს ჯონსი. და ის მართალია. ალექსანდრია ოკასიო-კორტეზის ერთობ პოპულარიზებული საშემოსავლო გადასახადის 70%-იანი ტარიფი მოწმობს, რამდენად არასწორად ესმით ის, თუ როგორ იქმნება ამ ქვეყანაში ქონება: მესაკუთრეობით და არა მოგებებით. ელიზაბეტ უორენის სიმდიდრის დაბეგვრას შემფასებელთა ლეგიონი დასჭირდებოდა. „ამ ყველაფერს ერთი პრობლემა ახლავს, – ამბობს ვენჩურ-კაპიტალისტი ვინოდ ხოსლა, – საერთაშორისო მობილობას აქვს ადგილი“.

პრაქტიკულად, ყველა მილიარდერი, ვისაც ველაპარაკე, აღიარებს, რომ მილიარდერებისთვის უფრო მაღალი გადასახადების დაწესება გარდაუვალია. ზოგს, სწორად გამოყენების შემთხვევაში, ეს გადასახადები სასარგებლოდაც კი ესახება. გეიტსის, ბაფეტის, ხოსლასა და სხვების თანახმად, სუპერმდიდრებისგან გადასახადების ამოღების სწორი გზა ტრანზაქციის წერტილზე გადის. ეს ან მემკვიდრეობის გადასახადი უნდა იყოს, ოღონდ იმ ორაზროვნების გარეშე, დღეს რომ ამ გადასახადს უსარგებლოს ხდის, ან კაპიტალური მოგებების უფრო მაღალი გადასახადი უნდა დაწესდეს მხოლოდ უკიდურესად მდიდრებისთვის, ზრდის ჩახშობა რომ ავირიდოთ თავიდან.

და უკეთესი – საგადასახადო კოდექსის ისე დახვეწა შეიძლება, რომ ზრდა უფრო წახალისდეს და უფრო თანასწორად გავრცელდეს. Facebook-ისა და Spotify-ს შონ პარკერის ინჟინერიით ჩაშვებული ე.წ. შესაძლებლობის ზონები უკვე ამოქმედებულია და არაჩვეულებრივ საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს 50-ივე შტატის შეჭირვებულ რეგიონებს. კორპორაციული საგადასახადო ტარიფების კორექტირება შექმნილი სამუშაო ადგილების საფუძველზე (მეტი სამუშაო ადგილი, ნაკლები გადასახადები) კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი იდეაა.

თავისუფალი ბაზრის მარადიული სილამაზე განვითარების უნარში მდგომარეობს. მოდი, პროგნოზის გაკეთება ამქვეყნად ყველაზე სათაყვანებელ კაპიტალისტს, უორენ ბაფეტს მივანდოთ – კაცს, რომელსაც ამ ქვეყნის ისტორიის მესამედზე მეტი უცხოვრია და რომელმაც თავისი პირველი აქციები 1942 წელს იყიდა, ანუ იმ დროს, როცა სრულებითაც არ იყო წარმოუდგენელი, აშშ-ს მეორე მსოფლიო ომი რომ წაეგო: „ჯერჯერობით ყველაზე იღბლიანი ადამიანი, რომელიც ამქვეყნად დაიბადება, იქნება დღევანდელ შეერთებულ შტატებში დაბადებული ბავშვი“. დადეთ ბაფეტის, და კაპიტალიზმის, წინააღმდეგ ფსონი, ოღონდ ამ რისკზე პასუხისმგებლობა თავად გეკისრებათ.

ტრამპის საიდუმლო ქონება

პრეზიდენტის უმსხვილესი ჰოლდინგი $900-მილიონიანი წილია იმ ორ შენობაში, რომლებიც მის სახელს არ ატარებს. მათ ზოგიერთ მობინადრესაც კი არაფერი მოეხსენება ამ ხელშეკრულების შესახებ, თუმცა თავად სწორედ მის ჩაშლას ცდილობდა გამალებით.

დენ ალექსანდერი და ჩეიზ პიტერსონ-უიტორნი

ფოტო: REUTERS

მაუა მანჰეტენის ქუჩებში მოსიარულეს გაგიჭირდება, შეერთებული შტატების პრეზიდენტს ასცდე. Trump Tower-ი, თავისი მკვეთრი ასოებითა და საბრძოლველად შეიარაღებული დაცვით, პირქუშად გადაჰყურებს მეხუთე ავენიუს. რამდენიმე კვარტალის იქით Trump Parc-ი და Trump Parc East-ი აღმართულან. იქვეა Trump International Hotel & Tower-იცა და Trump Plaza-ც. მათ შორის ტრამპის კიდევ ერთი უძრავი ქონება დამალულა: 1290 Avenue of the Americas-ი – ახოვანი ცათამბჯენი, რომელსაც პრეზიდენტის სახელი არ აწერია, მაგრამ ნებისმიერ სხვა დანარჩენზე ღირებული გახლავთ.

ეს შემთხვევითობა არ გეგონოთ. წლებია, დონალდ ტრამპი აგრესიულ რეკლამას უწევს საკუთარ სახელს და, რაღაც მომენტში, Forbes-ს ისიც კი უთხრა, მხოლოდ ეს სახელი, როგორც დამოუკიდებელი ბრენდი, $5 მილიარდი ღირსო. მაგრამ ის, რაც ერთ დროს აქტივი იყო (თუმცა, $5-მილიარდიანი ნამდვილად არა), დღეს თავის ტკივილად იქცა, განსაკუთრებით ისეთ კოსმოპოლიტურ ადგილებში, როგორიც ნიუ-იორკია, სადაც პრეზიდენტმა თავისი ქონება დააგროვა.

ბრენდის დნობის პროცესი Trump Tower-ში დაიწყო, მისი 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიის პირველი ღონისძიების კვალდაკვალ, სადაც მექსიკელი იმიგრანტები გაკიცხა და „გამაუპატიურებლებად“ მოიხსენია. რამდენიმე კვირაში პარტნიორებმა, რომელთაც მისი სახელის მატრასებზე, პერანგებსა და ყელსაბამებზე დასატანად ფული გადაეხადათ, დისტანცირება დაიწყეს. უარყოფითი პოლიტიკური რეზონანსი ნელ-ნელა ტრამპის ბიზნესის სხვა ნაწილებსაც მოედო. მისი ბინების ღირებულება დაეცა, უფრო ნაკლები ჩრდილოაღმოსავლელი ჯავშნიდა დასასვენებლად მის მაიამის კურორტს და კომერციული მოიჯარეებიც გავიდნენ მისი შენობებიდან. თებერვალში ახალი ამბები იუწყებოდნენ, ტრამპის ბრენდის მქონე კიდევ ორი შენობა იცილებს პრეზიდენტის სახელსო, რომელიც უკვე წაეშალათ ტორონტოს, პანამისა და ნიუ-იორკის შენობებიდან. არ გამოიღო არავითარი ნაყოფი მისი ვაჟების, დონ უმცროსისა და ერიკის, ბოლოდროინდელმა ძალისხმევამაც, რომ ტრამპის მეტ-ნაკლები პოპულარობა ტრადიციულად რესპუბლიკელების ამომრჩეველ შტატებში გამოეყენებინათ უფრო იაფი სასტუმროების ქსელით.

რა სახის პორტფოლიოზეც არ უნდა მიდგეს საქმე, გარკვეული დივერსიფიკაცია, როგორც წესი, კარგია. ტრამპის შემთხვევაში, ეს ორი მნიშვნელოვანი შენობაა მისი სახელის გარეშე: 1290 Avenue of the Americas-ი ნიუ-იორკში და 555 Cali-

fornia Street-ი სან-ფრანცისკოში. Trump Organization-ი არც მათ ბრენდირებაზეა პასუხისმგებელი და არც ოპერირებაზე. მათი კონტროლიცა და მართვაც საჯარო ბაზარზე მბრუნავი უძრავი ქონების ფირმა Vornado-ს მიერ ხდება, რომელიც ორივე შენობაში 70%-იანი წილის მფლობელია, დანარჩენს კი ტრამპი ფლობს. პრეზიდენტთან თავის ამრიდებლური დამოკიდებულების გათვალისწინებით, მოიჯარეები ამ შენობებს არ ერიდებიან; მეტიც, ორმა მათგანმა თქვა, რომ არც იცოდნენ, ნაწილობრივ ტრამპს რომ უხდიდნენ ფულს, ვიდრე ეს Forbes-ისგან არ გაიგეს.

სხვა აქტივები, რომლებიც ტრამპის $3.1-მილიარდიან ქონებას შეადგენს, პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ, ჩვენი გათვლებით, $600 მილიონითაა შემცირებული, რისი მიზეზიც, დიდწილად, სავაჭრო უძრავი ქონების დაღმასვლასა და მზარდად ტოქსიკურ ბრენდში უნდა ვეძიოთ. ასეა თუ ისე, ოფისებით დატვირთული ორი, ტრამპის სახელისგან დაცლილი ცათამბჯენის ღირებულება გაზრდილია და $230 მილიონად არის შეფასებული, რაც ერთგვარ სიცოცხლეს სძენს Trump Organization-ის სხვა მხრივ წაგებიან ორ წელიწადს.

დღეის მდგომარეობით, 1290 Avenue of the Americas-ი და 555 California Street-ი ტრამპის პორტფოლიოში ორ ყველაზე ღირებულ უძრავ ქონებას წარმოადგენს. ყველა, ვინც კვლავ იტყვის, პრეზიდენტი არაა მილიარდერიო, ამ აქტივების მხედველობაში მიღება მოუწევს, რომლებშიც მისი წილი $900 მილიონად (ვალის გამოკლების შემდეგ) არის შეფასებული. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე მისი საკუთარი ყველა გოლფის მოედანი, ერთად აღებული; ხუთჯერ მეტი, ვიდრე მისი განთ-

555 California Street-ის მოიჯარეთა შორისაა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ინდოეთის ბანკი.

რას ფლობს ტრამპი

ბოლო 12 თვის მანძილზე პრეზიდენტის ქონება უცვლელად $3.1 მილიარდზეა გაჩერებული.

555 CALIFORNIA STREET
სან-ფრანცისკო
$452მლნ
▲ **$105მლნ**

1290 AVENUE OF THE AMERICAS
ნიუ-იორკი
$446მლნ
▲ **$55მლნ**

40 WALL STREET
ნიუ-იორკი
$338მლნ
▼ **$57მლნ**

TRUMP TOWER
ნიუ-იორკი
$218მლნ
▼ **$27მლნ**
მას მერე, რაც დონალდ ტრამპი პრეზიდენტი გახდა, Trump Tower-მა დაახლოებით $1 მილიონი გააკეთა ქირის სახით თავისი 2020 წლის კამპანიისა და რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტისაგან.

ათი გოლფის მოედანი აშშ-ის ექვს შტატში პლუს ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი)
$192მლნ ▶

6 EAST 57TH STREET (ყოფილი NIKETOWN)
ნიუ-იორკი
$191მლნ
▼ **$37მლნ**
Nike-მა შენობა შარშან დატოვა, მაგრამ ტრამპი დღემდე იღებს ქირის საფასურს. Nike-თან დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულების მეშვეობით, ხარჯის გარკვეულ ნაწილს ძვირფასეულობის გიგანტი Tiffany ფარავს, ხოლო ხელშეკრულებაში ჩახედული წყაროს თანახმად, Nike-ის ახალი მოიჯარეები კომპენსაციას იხდიან.

სასტუმრო მენეჯმენტი და ლიცენზირება
$170მლნ ▶

TRUMP PARK AVENUE
ნიუ-იორკი
$165მლნ
▲ **$4მლნ**

MAR-A-LAGO
პალმ-ბიჩი, ფლორიდა
$160მლნ ▶

ნაღდი ფული/ლიკვიდური აქტივები
$140M
▲ **$6მლნ**

TRUMP NATIONAL DORAL MIAMI
$123M
▼ **$26მლნ**

ერთი ირლანდიური და ორი შოტლანდიური გოლფ-კლუბი
$78მლნ
▲ **$28მლნ**

TRUMP INTERNATIONAL HOTEL ლას-ვეგასი
$68მლნ
▲ **$11მლნ**
2016 წლის არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ტრამპმა საჯარო გახადა ინფორმაცია ვალის შესახებ იმ უძრავი ქონებისთვის, რომელსაც 50/50-ზე მილიარდერ ფილ რაფინთან ერთად ფლობს. Trump Organization-ის წარმომადგენლის თქმით, ვალი მათ გასულ წელს დაფარეს.

TRUMP TOWER PENTHOUSE
ნიუ-იორკი
$57მლნ
▼ **$7მლნ**

TRUMP INTERNATIONAL HOTEL ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი
$53მლნ ▶

PETER DASILVA/THE NEW YORK TIMES/REDUX

დიდწილად ვესტიბიულის რემონტის წყალობით, 1290 Avenue of the Americas-ის ქირებმა ახალი სიმაღლეები დაიპყრო.

ქმული ბრენდირებისა და მენეჯმენტის ბიზნესი, ექვსჯერ მეტი, ვიდრე Mar-a-Lago და 17-ჯერ მეტი, ვიდრე მისი წილი მისივე ვაშინგტონის სასტუმროში, რომელიც პრეზიდენტის გულისგამკეთებელი უცხოელი დიდკაცებისა და ლობისტების ადგილად მიიჩნევა. პრეზიდენტის ბიზნესსა და მის უცხოურ ფათერაკებზე მიშვერილი გამადიდებელი შუშის მიუხედავად, სწორედ ეს ორი ანონიმური შენობაა ამერიკაში, ყველაზე მნიშვნელოვანი რომ გამოდგა... ჰოლდინგები, რომელთა ნაწილად ყოფნა, ბედიის ირონიით, ტრამპს თავიდან სულაც არ სურდა.

ამ წარმატებას ტრამპის ბიზნესგამჭრიახობას ნამდვილად ვერ მივაწერთ. 1990-იანების დასაწყისში „დონალდი" ვალში იხრჩობოდა და წვალობდა, $200-მილიონიანი იპოთეკა როგორმე რომ დაეფარა, რომელიც მანჰეტენის ზემო დასავლეთში, მის მფლობელობაში არსებულ 75-აკრიან ნაკვეთზე იყო მიბმული. ჯიბესქელმა ჰონკონგელმა ინვესტორებმა, მათ შორის, მილიარდერებმა ჰენრი ჩენგმა და ვინსენტ ლომ, მას ვალდებულებისგან განთავისუფლება შესთავაზეს. $89-მილიონიანი გარიგების შედეგად მათ ტრამპის ვალი იყიდეს – უძრავ ქონებაში 70%-იანი წილისა და სრული კონტროლის სანაცვლოდ. გადაწყვეტილების მიღების ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებულმა ტრამპმა მგზავრის სკამზე გადაინაცვლა, თანაც ისე, რომ 2044 წლამდე თავის 30%-იან წილს ხელს ვერ ახლებდა.

ტრამპი ამ ნაკვეთზე 16 ძვირფასი რეზიდენციული ცათამბჯენის აგებას გეგმავდა, მაგრამ 2005-ში, ბაზრის მოსა-

TRUMP PARC/TRUMP PARC EAST
ნიუ-იორკი
$45მლნ
▼ $2მლნ
იანვარში ტრამპმა 838 კვადრატული ფუტის ერთი საძინებელი $2.15 მილიონად გაყიდა Trump Parc East-ში... Forbes-ის მიერ უძრავი ქონების აღრიცხვათა ანალიზის თანახმად, ეს პირველი შემთხვევა იყო თითქმის ორ წელიწადში, პრეზიდენტმა რომ მანჰეტენის აპარტამენტი გაყიდა.

TRUMP WINERY
შარლოტსვილი, ვირჯინია
$34მლნ
▲ $4მლნ

ორი თვითმფრინავი, სამი შვეულმფრენი
$32მლნ
▲ $2მლნ

TRUMP PLAZA
NYC
$26მლნ
▼ $2მლნ

TRUMP WORLD TOWER
ნიუ-იორკი
$26მლნ
▲ $3მლნ

სამი სახლი პალმ-ბიჩში, ფლორიდა
$25მლნ
▲ $10მლნ

სევენ-სპრინგსის კერძო მამული / ბედფორდი, ნიუ-იორკი
$24მლნ ▶

გაუშენებელი მიწის ნაკვეთები კალიფორნიაში*
$18მლნ
▲ $5მლნ

სახლი სენტ-მარტინში
ვესტ-ინდიესი / **$15მლნ ▶**

TRUMP INTERNATIONAL HOTEL & TOWER, CENTRAL PARK WEST
ნიუ-იორკი
$14მლნ
▲ $3მლნ

სახლი ბევერლი-ჰილზში
$13მლნ
▲ $2მლნ

TRUMP INTERNATIONAL HOTEL & TOWER CHICAGO
$5მლნ
▼ $1მლნ

სამომხმარებლო პროდუქტების ლიცენზირება
$3მლნ
▼ $3მლნ

ორი სახლი სტერლინგში, ვირჯინია / $1.5მლნ ★
წლების მანძილზე ტრამპი უზუმრად ფლობდა ამ არაფრით გამორჩეულ სახლებს თავისი ვაშინგტონის გოლფის მოედნის მახლობლად, რომლებითაც, გავრცელებული ცნობებით, კლუბის წევრებს, სტუმრებსა და უსაფრთხო თავშესაფრის მაძიებელ პოლიტიკოსებს უზრუნველყოფს.

გაზრდილი ▲ შემცირებული ▼ უცვლელი ▶ ახლად დამატებული ★

ღირებულებები წარმოადგენს ტრამპის წილს ყოველ აქტივში სესხის გამოკლებით. *აქამდე შეტანილი იყო აშშ-ის გოლფის მოედნების ღირებულებაში.

2014-დან 2017 წლამდე (ეს ბოლო აღრიცხული წელია), Trump Tower-ის მოგებები ყოველწლიურად ეცემოდა.

ANTHONY BEHAR/SIPA/NEWSCOM; BRENDAN MCDERMID/REUTERS

ლოდნელი კოლაფსით შეშინებული ჰონკონგელი ინვესტორები ნაწილობრივ აშენებული პროექტის $1.76 მილიარდად გაყიდვას დათანხმდნენ. მონაგარის ჩადება ორ, თითქოსდა უფრო უსაფრთხო ინვესტიციაში განიზრახეს: 1290 Avenue of the Americas-ა და 555 California Street-ში. ტრამპმა ეს იდეა პირველივე დღიდან მოიძულა, როგორც ამას ჩენგისთვის მიწერილი სიტყვებიც მოწმობს: „გაცილებით მაღალ ფასად შეგიძლია, გაყიდო!"

პარტნიორები დათმობაზე არ წავიდნენ, ასე რომ, ტრამპს კონფლიქტის სასამართლოში გადატანა მოუხდა, სადაც პარტნიორობის დასრულებას ცდილობდა და ზარალის ასანაზღაურებლად $1 მილიარდზე მეტს ითხოვდა. მისი საქმის მთავარი მტკიცებულებები მისი პარტნიორებზე მეტი საზრიანობა და ერთი-ორი მეგობრის ლუღლუღი იყო, რომლებიც, ტრამპის თქმით, უდავოდ გაცილებით მეტს გადაიხდიდნენ ამ უძრავ ქონებაში. ტომ ბარაკმა, რომელიც მოგვიანებით ტრამპის საინაუგურაციო კომიტეტს ედგა სათავეში, პარტნიორებს ფაქსით არაფორმალური შეთავაზება გაუგზავნა, $2.9 მილიარდი გადაიხადეთო. რიჩარდ ლეფრაკი, რომელსაც პრეზიდენტის ერთობ დროებით ინფრასტრუქტურის საბჭოში მისცეს პოსტი, თითქოს $3 მილიარდის გადასახდელად იყო მზად.

მაგრამ ეს ყველაფერი ტრამპის კლასიკური ქოთქოთი იყო. დამოუკიდებელი შემფასებლების თანახმად, უძრავი ქონება $1.6 მილიარდი ღირდა, პარტნიორებს კი სადღაც $1.76-მდე შემოთავაზებები მოეძიათ.

მოსამართლემ ტრამპი დაახლოებით ისეთივე სერიოზულობით მიიღო, როგორითაც მისმა თანაინვესტორებმა და, საბოლოო ჯამში, სასამართლო დავას წერტილი დაესვა. გარიგება ძალაში შევიდა: ტრამპის ჰონკონგელმა პარტნიორებმა მიწის ნაკვეთი, ფაქტობრივად, ორ საოფისე ცათამბჯენში გადაცვალეს და ტრამპიც – გაწიწმატებული და აყვირებული – თან გაიყოლეს.

პრეზიდენტს გაუმართლა. გეგმა, რომელსაც ის „ტრაგიკულ შეცდომას" უწოდებდა და მის ჩასაშლელად იბრძოდა, საბოლოოდ მისი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გარიგება გამოდგა.

ადამიანი, რომელიც რეალურად არის, ამ შემთხვევაში, ტრამპის წარმატებაზე პასუხისმგებელი, ისეთივე მორცხვია პრესასთან, როგორი ხარბიც გახლავთ ტრამპი კამერის მიმართ. Vornado-ს მილიარდერი აღმასრულებელი დირექტორი, სტივენ როტი გვყავს მხედველობაში. 2007 წლის მაისში Vornado-მ ჰონკონგელი ინვესტორების 70%-იანი წილი გამოისყიდა, რითაც როტი მომავალი პრეზიდენტის ბიზნესპარტნიორად აქცია.

77 წლის როტს ტრამპთან ხანრგძლივი ურთიერთობა აკავშირებს. 1990-იანების დასაწყისში ეს ორი დეველოპერი დიდ წილებს ფლობდა უნივერმაღების ქსელ Alexander's-ში, რომელიც სავაჭრო ოპერაციებით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მნიშვნელოვან პუნქტებში ჰქონდა მაღაზიები. როტსაც და ტრამპსაც საკუთარი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ბიზნესთან დაკავშირებით. მაგრამ დაახლოებით იმავე პერიოდში, როცა მძიმე ვალებმა ტრამპი აიძულა, ზემო დასავლეთ მანჰეტენის ნაკვეთში არსებულ 70%-ზე ეთქვა უარი, ის იძულებული გახდა, Alexander's-ის წილებიც დაეთმო Citibank-ისთვის. საბოლოოდ, სამი წლის შემდეგ, ეს წილები როტმა იყიდა საბაზრო ფასზე 20%-ით იაფად.

დამარცხებული ტრამპი როტისადმი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალა. ეს უკანასკნელი სწორედ იმგვარი მილიარდერია, როგორადაც პრეზიდენტი წარმოაჩენს თავს: ბრწყინვალე, შეუპოვარი, თვითნაბადი. 2016-ის კამპანიის დროს ტრამპმა როტი თავის ეკონომიკურ მრჩეველთა პანელში მიიპატიჟა სამუშაოდ, ხოლო უკვე არჩეული პრეზიდენტის რან-

ფოტო: REUTERS

გში, ის, ლეფრაკთან ერთად, წარმავალ ინფრასტრუქტურის საბჭოში დაასაქმა და, შედეგად, როტიც კულისებში მყოფ იმ მრავალთაგან ერთ-ერთ მილიარდერად (ადელსონის, რაფინის, პერლმუტერისა და ჰემის გვერდით) აქცია, რომელთაც პრეზიდენტი ყურს უგდებს, მაგრამ არავითარი სამთავრობო პოსტი არა აქვთ.

მათი პარტნიორობა, ამასობაში, გამორჩეულად მეგობრული რჩება. „სტივს ხანდახან შეუძლია, უხეში იყოს, მეგობრებთანაც კი, დონალდიც რთული პიროვნებაა", – ამბობს ნიუ-იორკის განთქმული უძრავი ქონების დინასტიის უფროსი, დაგლას დერსტი. მათმა ურთიერთობამ „დაახლოებით ათ წელს გასტანა, არადა, ვფიქრობდი, ორ თვეს გაგრძელდება-მეთქი".

„ტრამპების ოჯახი როტისადმი უაღრესი მოწიწებითაა განწყობილი და მას უკიდურესად დიდ პატივს სცემს, – თქვა განცხადებაში Trump Organization-ის წარმომადგენელმა, ამანდა მილერმა. – ის არაჩვეულებრივი ხედვის პატრონია, არაჩვეულებრივი დეველოპერი და ოპერატორი. ვამაყობთ, რომ Vornado-ს პარტნიორები ვართ მსოფლიოში ორი ყველაზე ღირებული და საკულტო შენობის კონტექსტში".

ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ არავის უზრუნია მისი ქონების შენარჩუნებაზე ისე, როგორც ამას $1.1 მილიარდის პატრონი სტივენ როტი აკეთებს.

კონტროლის სადავეები, პირველივე დღიდან, როტს უპყრია. მას მერე, რაც Vornado-მ 1290 Avenue of the Americas-ი და 555 California Street-ი იყიდა, როტი მილიონობით დოლარს აბანდებს სარემონტო სამუშაოებში, გრძელვადიან პერსპექტივაში მეტი მოგება რომ ნახოს. 2012-სა და 2013-ში Vornado-მ $31 მილიონი ჩადო ნიუ-იორკის საოფისე ცათამბჯენის – მისი ვიტრინების, ლიფტებისა და ვესტიბიულის – განახლებაში. ამ ცვლილებებმა ახალი მოიჯარეები მოიზიდა... უფრო მაღალი ტარიფებით. 2015-ისთვის შენობის მოიჯარეები კვადრატულ ფუტში საშუალოდ $82-ს იხდიდნენ, რაც 18%-იანი ზრდა გახლდათ ოთხი წლის წინანდელთან შედარებით. ამ 2.1 მილიონ კვადრატულ ფუტზე გაჭიმულ ნაგებობას Vornado-სა და ტრამპის $32 მილიონისთვის დამატებითი თანხები მოჰქონდა ყოველწლიურად დამატებითი ქირის სახით. მოკლედ – მშვენიერი მოგება საინვესტიციო კაპიტალზე.

ეს ერთადერთი ღვთიური მანანა როდი იყო ამ უძრავი ქონებიდან. არაერთი ადამიანი პრეზიდენტის ნაღდი ფულის წყაროებზე სპეკულირებს. როგორც ირკვევა, მისი მსუყე ნაწილი სწორედ ამ ანონიმური შენობიდან მოდიოდა. „ყოველთვე უბრალოდ ველოდებით და... გასულ წელს ჩეკი გამომიგზავნეს, დაახლოებით $125 მილიონი, – უთხრა ტრამპმა Forbes-ს 2015-ში, რაც აქამდე არ გამოგვიქვეყნებია და ამ სტატიისთვის ამოვიხრიკეთ. – არც კი ვიცოდით, რისთვის იყო".

ბოლო ორი წელია, 1290 Avenue of the Americas-ის ქირები განაგრძობს ზრდას იმის ფონზეც კი, რომ შუა მანჰეტენის ბაზარი ზოგადად შესუსტებულია. Forbes-ის შეფასებით, ტრამპის 30%-იანი წილი დღეს $100 მილიონით მეტია, ვიდრე მისი პრეზიდენტად არჩევის დროს იყო.

მისი პარტნიორი ახლა სან-ფრანცისკოს უძრავ ქონებაზეა კონცენტრირებული, რომელიც კალიფორნია-სტრიტის 555-ში 52-სართულიან ცათამბჯენსა და მეზობლად განთავსებულ ორ უფრო ტანმორჩილ შენობას აერთიანებს. 2015-ში როტმა საფონდო ანალიტიკოსებს უთხრა, რომ Vornado ამ ერთ-ერთი უფრო პატარა ზომის შენობის შეკეთებით იყო დაკავებული მონტგომერი-სტრიტის 315-ში. როტის ფირმამ ეს პროექტი 2017-ში დაასრულა, ქირამ კი თითქმის 50%-ით ზევით ისკუპა. მომდევნო ნაბიჯი მეზობლად, მონტგომერის 345-ში მდებარე შენობის გადაკეთებაა. Vornado სამუშაოების შუაშიც არ იყო გასული, რომ უკვე 15-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, იქაურობას საერთო სამუშაო სივრცეების კომპანია Regus-ს მიაქირავებს. წმინდა საოპერაციო შემოსავალი ამ სამი შენობისგან შემდგარ კომპლექსში 19%-ითაა გაზრდილი ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში. შესაბამისად, ამ უკანასკნელის წილიც აქტივში, გათვლების თანახმად, $130 მილიონითაა გაბერილი.

თავის ჩვეულ სტილში, როტმა კომენტარზე უარი გვითხრა. თუმცა აშკარაა, რომ მთელმა ამ წარმატებამ ის ერთგვარ სადღესასწაულო განწყობაზე დააყენა. გასულ ნოემბერს მან დიდ წვეულებას უმასპინძლა სან-ფრანცისკოს უძრავ ქონებაში, რემონტი რომ ამაყად ეჩვენებინა სტუმრებისთვის. დამსწრეთა თანახმად, ადგილობრივმა რესტორნებმა აპეტაიზერები უზრუნველყვეს, ღვინო კი გულუხვად ისხმებოდა. 100-ზე მეტი ადამიანი მივიდა, მათ შორის, უძრავი ქონების ბროკერები, ანალიტიკოსები და ჯერი სეინფილდი, რომელიც ერთი საათის განმავლობაში სცენაზე ხუმრობებს აცხობდა. „ბოლო რეცესიამდელი კორპორაციული ღონისძიების განწყობა ჰქონდა, – ამბობს Wall Street-ის ანალიტიკოსი ჯონ კიმი, წვეულების ერთ-ერთი სტუმარი. – ყველაფერი პირველი კლასის იყო".

ასე იყო თუ ისე, ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტი ჰქონდა საზეიმო, წვეულებას არ დასწრებია. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის 30%-იანი წილი მას მთელი ამ წარმატების ყველაზე მსხვილ ინდივიდუალურ ბენეფიციარად აქცევს. და ეს, იმის მიუხედავად, რომ თავად პრაქტიკულად არაფრისთვის გარჯილა.

მწვანე ენერგიის მომავალი

საზოგადოება ირჩევს მწვანე ენერგიას. მსოფლიო ტრენდის ცვლილებამ, საზოგადოებაში ეკოაზროვნების ჩამოყალიბებამ და კიდევ სხვა მრავალმა ფაქტორმა საქართველოში განახლებადი ენერგიების რეგულაციების ფორმირება გამოიწვია. განახლებადი ენერგიების გამოყენებით საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტროენერგიის გამომუშავება და ჭარბად გამომუშავების შემთხვევაში გამანაწილებელი კომპანიისათვის მისი მიყიდვის შესაძლებლობა მოსახლეობისთვის მიმზიდველი ინიციატივა აღმოჩნდა და განვითარებამაც არ დააყოვნა: 2019 წლიდან ნეტო-აღრიცხვაში - განახლებადი ენერგიის საკუთარი წყაროს რეგულაციებში - საინტერესო ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებებზე Forbes Georgia სემეკის წევრს, გიორგი ფანგანს ესაუბრა.

ავტორი: ელენე ჩომახიძე
ფოტო: ნიკა ფანიაშვილი

გიორგი, დავიწყოთ იმ უახლესი ცვლილებებით, რომლებიც ნეტო-აღრიცხვაში განხორციელდა. გაუმჯობესდა თუ არა ამ რეფორმით ე.წ. ნულთან ახლოს მოხმარების რეგულირება საქართველოში?

უნდა აღინიშნოს, რომ განახლებადი ენერგიების (მზე, ქარი, წყალი) საკუთარი წყაროს განვითარებისათვის განხორციელებული რეფორმა მთლიანად მომხმარებელსა და მწვანე ენერგიის უსაფრთხო ათვისებაზეა ორიენტირებული. ჩვენ ყოველთვის ვუსმენთ სექტორის პულსაციას და ვპასუხობთ იმ გამოწვევებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის განვითარებისათვის. ჩვენი პრიორიტეტია, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც სემეკი განახორციელებს, სრულად შეესაბამებოდეს რეალურ დროში არსებულ მოთხოვნებს.

განახლებადი ენერგიების საკუთარი წყაროს, იმავე ნეტო-აღრიცხვის რეგულაციებში განხორციელებული ცვლილების წინაპირობას წარმოადგენდა ჩვენ მიერ ბაზრის შესწავლა და მომხმარებელთა სამართლიანი მოთხოვნების გათვალისწინება. ახალი მიდგომები მომხმარებელთა ჯგუფებს ხელს შეუწყობს, დაზოგონ ელექტროენერგიის გადასახადი და უფასოდ მოიხმარონ მათ მფლობელობაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია.

ამ ტრენდის გაუმჯობესებისთვის თქვენი აზრით, საჭიროა მასტიმულირებელი ღონისძიებები?

ისეთ ინოვაციურ პროექტებს, როგორიც განახლებადი ენერგიების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენებაა, გარკვეულწილად წამახალისებელი მექანიზმები სჭირდება. ცვლილებების განხორციელებამდე, თუ ერთი მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა მხოლოდ ერთ მომხმარებელს შეეძლო, ახლა უკვე შესაძლებელია, რომ ერთი სადგურით რამდენიმე მომხმარებელმა ისარგებლოს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, უბანს, დასახლებას, სოფელს, განახლებად ენერგიებზე მომუშავე ერთი მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით შეუძლია გამოიმუშაოს ელექტროენერგია, მოიხმაროს საჭირო ოდენობა, ხოლო ჭარბი რაოდენობა მიაწოდოს შესაბამის ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელს. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური შესაძლოა არ წარმოადგენდეს ამ მომხმარებლ(ებ)ის საკუთრებას და იყოს მის/მათ დროებით მფლობელობაში, ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის, ლიზინგის ან სხვა ფორმით.

ამასთანავე, ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელისათვის მიწოდებული, ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერგიის გამოყენება მომხმარებლებს ნებისმიერ პერიოდში შეეძლებათ. ახალი რეგულაცია სადგურების მფლობელებს საშუალებას აძლევს, მთლიანად აითვისონ ზაფხულის პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერგიის ქვითარზე დაგროვილი კრედიტები.

კიდევ ერთი ცვლილების შესაბამისად, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისას განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებლებს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ქსელზე მიერთების საფასური გაუნახევრდებათ.

რა იყო ძირითადი მიზეზები, რამაც ნეტო-აღრიცხვაში ცვლილებები განაპირობა? ეს მსოფლიო ტენდენციები იყო თუ მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები?

მოგეხსენებათ, წამყვანი ქვეყნების ტენდენციებია, რომ ნაკლები ზიანი მიადგეს გარემოს და ნებისმიერი პროექტი, მათ შორის ენერგეტიკის სექტორში, გარემოსთან იყოს ჰარმონიზებული. რა თქმა უნდა, ამ ტენდენციებს იზიარებს საქართველოც.

სემეკმა „ნეტო-აღრიცხვის“ სისტემა – განახლებადი ენერგიების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენების შესაძლებლობა – საქართველოში 2016 წელს დანერგა. მართალია, რეგულაციებს კარგი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ განვითარების ტრენდი არ იყო ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი. დღეისათვის 80-მდე ობიექტია ნეტო-აღრიცხვის სისტემაში

დავით შვანგირაძე – Green Energy-ს დამფუძნებელი

„ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა, ძალიან დიდ ბიძგს აძლევს ახალი მომხმარებლების გაჩენას. კერძო სექტორის წარმომადგენლები ყველა ძალიან გაგვახარა ამ ცვლილებებმა, ისევე როგორც ჩვენი მომხმარებლები. ენერგეტიკის სფეროში ყველაზე სწორი ინვესტიცია ახლა განახლებად ენერგიებში ინვესტირებაა. სამწუხაროდ, დღემდე საზოგადოების დამოკიდებულება და ცნობიერება განახლებადი ენერგიების მიმართ დაბალია, ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, აქ ფინანსურ სარგებელზე არიან ორიენტირებული და თან მოკლევადიან პერიოდში. ყოველთვის, როდესაც რაღაცის განვითარებაზეა საუბარი, ხელისუფლების მხრიდან მაგალითის ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანია. ამის გარეშე კერძო კომპანიებს ძალიან გაგვიჭირდება საზოგადოებაში ნდობის ფაქტორის გაჩენა. აქვე გამოვყოფდი დეველოპერული სექტორის როლსაც – მათ, ფაქტობრივად, შეუძლიათ, მზის პანელების დამონტაჟების ხარჯები კვადრატული მეტრის ფასში გაითვალისწინონ“.

ჩართული, ანუ 80 მომხმარებელი სარგებლობს განახლებადი ენერგიების საკუთარი წყაროთი, რომელიც ამავდროულად მიერთებულია ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის ქსელთან და საჭიროების შემთხვევაში ამ ქსელში გროვდება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერგია ან პირიქით, მცირე გამომუშავებისას, მომხმარებელი კომპანიის ქსელიდან მოიხმარს ელექტროენერგიას.

მოკლედ რომ ავხსნათ, რა არის ნეტო-აღრიცხვა, იგივე განახლებადი ენერგიების საკუთარი წყარო – ეს არის განახლებად ენერგიებზე (მზე, ქარი, წყალი) მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური, რომელიც მიერთებულია ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების ადგილას და რომლის დადგმული სიმძლავრე არ აღემატება 100 კილოვატს.

ანუ განახლებადი ენერგიის მოთხოვნა მცირედით გაუმჯობესდა?

სიღრმისეული მოკვლევისას, თუ რატომ არ გახდა ეს სისტემა უფრო მეტად პოპულარული, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიზეზი. ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ 2016 წელს დანერგილი რეგულაციებით მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა მხოლოდ ერთ მომხმარებელს შეეძლო. მაგალითისთვის განვიხილოთ თბილისი, სადაც მოსახლეობაც ბევრია და შესაბამისია ელექტროენერგიის მოხმარებაც. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს კორპუსებში, სადაც სახურავი საერთო საკუთრებაა და შეუძლებელი იყო, ერთ მომხმარებელს სახურავის არცთუ მცირე ნაწილი გამოეყენებინა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის (მაგალითად, მზის პანელები) განსათავსებლად. ამასთანავე, მომხმარებელი კორპუსის გარე ტერიტორიაზე ვერ განათავსებდა სადგურს, რადგანაც კანონი ამბობს, რომ თითოეულ საცალო მომხმარებელს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ ელექტროენერგიის მოხმარების ადგილას.

ის სიახლეები, რომლებიც განვახორციელეთ და რომელთა საფუძველზეც რამდენიმე მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ერთი მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით, იყო ერთადერთი რეალური გზა, რითაც ჩვენ წავახალისებდით მომხმარებელს, კორპუსებში მზის პანელები დაეყენებინათ. როგორც უკვე აღინიშნა, ცვლილება მხოლოდ კორპუსებს არ შეეხება, არამედ დღეს უკვე ერთი მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შეუძლიათ თუნდაც ე.წ. კომპაქტურ დასახლებებსაც. ხშირად ისმის კითხვა; არის თუ არა საკმარისი მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე (100 კვტ) რამდენიმე ოჯახის ელექტროენერგიის მოხმარების დასაკმაყოფილებლად? რა თქმა უნდა, არის. არსებული გათვლების შესაბამისად, ერთი ოჯახის საშუალო მოხმარების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 3-4 კვტ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური.

მეორე და მომხმარებლების მხრიდან საკმაოდ პოზიტიურად შეფასებული ცვლილება გახლავთ საანგარიშო პერიოდის გაზრდა და ზამთრიდან მაისამდე გადაწევა. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?

ჩვენი მხრიდან თავიდანვე იყო გაცხადებული, რომ პროექტი არ იქნებოდა ბიზნესი და ელექტროენერგიით ვაჭრობის ხელშეწყობის საშუალება. პროექტს აბსოლუტურად სხვა მიზნები აქვს. მაგალითად, ევროპაში მას ეძახიან ნულთან ახლო მოხმარებას. განახლებადი ენერგიის საკუთარი წყაროს მთავარი მიზანია, მომხმარებელმა საკუთარი ენერგომოთხოვნა დაიკმაყოფილოს. თუ მომხმარებელი იკმაყოფილებს საკუთარ ენერგომოთხოვნებს და აქვს ჭარბი ელექტროენერგია, ამ დროს არის შესაძლებელი ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდება, გაყიდვა და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ ეს მესიჯები მომხმარებლებმა სწორად გაიგეს. განახლებადი ენერგიის საკუთარი წყაროს მფლობელებს სურდათ, რომ ზამთარში გაზრდილი ელექტროენერგიის მოხმარება სწორედ ზაფხულში დაგროვილი ელექტროენერგიით დაებალანსებინათ. ამ მოთხოვნების საპასუხოდ, ჩვენ მიერ განხორციელდა ცვლილებები რეგულაციებში. საანგარიშო პერიოდი ახლა უკვე მოიცავს მაისიდან მაისამდე პერიოდს და მომხმარებლებს მიეცათ

შესაძლებლობა, რომ სრულად აითვისონ ზაფხულში დაგროვილი კრედიტები.

აქვე გკითხავთ: როგორ წარმოგიდგენიათ განახლებადი ენერგიის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაცია საქართველოში? პირობითად, არის თუ არა კერძო სექტორისა და ხელისუფლების ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა იმისთვის, რომ უკეთეს შედეგებზე გავიდეთ?

ახლა განვითარების საინტერესო ეტაპზე ვართ. 2019 წელს, ფაქტობრივად, ენერგეტიკაში პატარა რევოლუციაა მოსალოდნელი, რადგანაც ერთდროულად ძალაში შედის სამი უმნიშვნელოვანესი კანონი. ეს არის ახალი კანონი ენერგეტიკის შესახებ, რომელიც ჩაანაცვლებს მოქმედ კანონს. გარდა ამისა, ორი ძალიან საინტერესო კანონი უნდა ამოქმედდეს და ესენია კანონები ენერგოეფექტიანობის შესახებ და განახლებადი ენერგიების შესახებ. ეს უკანასკნელი ორი კანონი მიმართულია იმისკენ, რომ ხელი შეეწყოს ქვეყანაში ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერგიების განვითარებას. ამასთანავე, განახლებადი ენერგიების მიმართ პოზიტიურ ცვლილებებს ხელს შეუწყობს იმ ვალდებულებების განხორციელებაც, რაც ევროდირექტივებით არის გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, ცვლილებები ენერგოეფექტიანობის მიმართულებით მშენებლობის სექტორზეც გავრცელდება. აგრეთვე წახალისდება ის სადგურები, რომელთაც ე.წ. მწვანე სერტიფიკატები ექნებათ. ასეთი სადგურების მშენებლობისთვის სახელმწიფო გარკვეულ წამახალისებელ მეთოდებს აამოქმედებს, რაც დადებითი მესიჯი იქნება ინვესტორებისთვის განახლებადი ენერგიების გამოყენებისა და ენერგოეფექტიანობის ხელშეწყობის კუთხით.

გიორგი, რადგან მშენებლობის სექტორის ჩართულობაზე დაიწყეთ საუბარი, აქვე გკითხავთ, იგეგმება თუ არა განახლებადი ენერგიების განვითარების სტრატეგიაში ან კანონმდებლობაში მშენებლობის კომპონენტის გათვალისწინება?

როგორც გითხარით, ჩვენ მიერ განხორციელებული ბოლო რეფორმის ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ის გახლავთ, რომ არ არის აუცილებელი, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური იყოს მომხმარებლის საკუთრებაში. ახალი რეგულაციების მიხედვით დეველოპერს თავად შეუძლია, დაამონტაჟოს მზის პანელები და იჯარით ან ლიზინგით გადასცეს მობინადრეებს. დეველოპერების მიერ დაპროექტების ეტაპზე განახლებადი ენერგიის ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ბაზის შექმნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომავალში მწვანე ენერგიის გამოყენების ეფექტიანობას. საჭიროა, ამ კუთხით დეველოპერებშიც განვითარდეს სოციალური პასუხისმგებლობა.

სად რჩება სივრცე განვითარებისთვის? საინტერესოა სემეკის სამომავლო გეგმები განახლებადი ენერგიის თვალსაზრისით.

რაც შეეხება განახლებადი ენერგიების საკუთარ წყაროს, ჩვენი მიზანია, შესაძლებელი გავხადოთ ელექტროენერგიის გამომუშავება და მოხმარება ერთმანეთისგან განცალკევებულ ადგილებში. მაგალითად, „ა“ წერტილში ვაწარმოოთ ელექტროენერგია, ხოლო მისი მოხმარება შესაძლებელი იყოს „ბ“ წერტილში, რომელიც გარკვეული მანძილით არის „ა“ წერტილისგან დაშორებული. ეს არის ერთ-ერთი საინტერესო და სწორი ნაბიჯი, რომელიც მომავალში უნდა გადავდგათ. ასევე, ვფიქრობთ, რომ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის დადგმულ სიმძლავრესთან დაკავშირებით შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები. ველოდებით ბაზრის განვითარებას და ჩვენი რეაგირებაც იქნება რეალურ დროში გამოწვევების შესაბამისი. S

თორნიკე დარჯანია – „ჰელიოს ენერჯის“ თანადამფუძნებელი

ფაქტობრივად, ეს იყო სტიმული, რომ განახლებადი ენერგია განვითარებულიყო ქვეყანაში. ნეტო-აღრიცხვის ამოქმედება დიდი წვალების შედეგად მოხდა. ერთ ადამიანს, რომელიც თბილისის ზღვასთან ცხოვრობდა, სადგური ჰქონდა, მაგრამ ქსელზე არ აერთებდნენ. სწორედ ამ ადამიანისა და სემეკის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია ის, რომ ნეტო-აღრიცხვა ამოქმედდა. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ პირვანდელი რეგულაციები საკმარისი არ აღმოჩნდა, არსებობდა მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორები, ისევე როგორც ტექნიკური, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებდა. მეტიც, ეს რეგულაციები დღესაც კი საჭიროებს გაუმჯობესებას, მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებისა. ჩვენ სემეკთან აქტიური კომუნიკაცია გვქონდა და უნდა ითქვას, რომ მისი წევრები ძალიან პროგრესულები არიან და მონდომებული იყვნენ, ეს ცვლილებები განეხორციელებინათ. არადა. ენერგეტიკა ისეთი სფერო არ არის, რომელშიც ცვლილებებს მარტივად განახორციელებ. სამომავლოდ ცვლილებები უნდა განხორციელდეს ენერგიის გამომუშავებისა და მომხარების წერტილებს შორის დისტანციის გაზრდის შესაძლებლობის კუთხით. ამ ინიციატივას მხარს უჭერს სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავაც. ვემხრობი ინიციატივას მწვანე ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებითაც, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულია და მასტიმულირებელი ეფექტი აქვს. მაგალითად, სომხეთში 14 ევროცენტია ჩაშვებულ კილოვატ/საათზე ანუ სახელმწიფო თავიდან გარკვეულწილად ასუბსიდირებს ამ სეგმენტს, ეხმარება უკუგებაში და შემდეგ ნელ-ნელა ჩვეულ რეჟიმში გრძელდება მუშაობა. პირველ რიგში პოლიტიკურ დონეზე უნდა მოხდეს იმის აღიარება, რომ მხოლოდ ჰესები არ არის ელექტროენერგიის მიღების წყარო. ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება უფრო და უფრო იზრდება, ამიტომ უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ამ მოთხოვნებს დავეწევით“.

თავიდან დაწყება

მერიგრეის სექსტონმა თავისი ფორთოხლის წვენის კომპანია გაყიდა და შემდეგ უყურა, თუ როგორ დაიწყეს მისი გაფუჭება. სამაშველო ოპერაცია გახდა საჭირო.

ავტორი: ჭლოი სორვინო

ფოტო: MARTINA'S PHOTOGRAPHY

ფლორიდაში, ფორტ-პირსში მდებარე Tropicana-ს ქარხნიდან, რომელიც თითო ჯერზე ფორთოხლით დატვირთულ ათობით ტრეილერს შთანთქავს და ჰაერს ფორთოხლის ქერქის ზეთის მწარე სურნელით ავსებს, მერიგრეის სექსტონი ფეხით მიდის ქალაქის მეორე ბოლოში, ბევრად უფრო მცირე ზომის საწარმოში, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენს. საღამოს 7 საათზე საწარმოს მოადგება 23 ტონა ფორთოხლით დატვირთული პირველი ტრეილერი არსებული ექვსიდან. მუშები შეამოწმებენ თითოეულ ფორთოხალს უხინჯობაზე, ვიდრე ბრჭყალების მსგავსი მანქანა მათ დაწურვას შეუდგება და დილის სამი საათისთვის 114,000 ლიტრი ფორთოხლის წვენი ბოთლებში დაიწყებს გადანაცვლებას.

თუ Tropicana-ს წვენი შეიძლება მთელი წელი დარჩეს მილიონი გალონის ტევადობის რეზერვუარებში, სადაც მას აზოტის საბანი ფარავს, სექსტონის პროდუქცია დახლებზე იმავე დილით გაიგზავნება „თქვენს სხეულს ისე გაუმანსპინძლდით, როგორც გსურთ, მან გასიამოვნოთ, – ამბობს 60 წლის მზემოკიდებული, სპორტული აღნაგობის ჩვენი რესპონდენტი. – ჩვენ წვენების დამზადება მაშინ დავიწყეთ, როცა ეს მოდური ჯერ არ იყო“. ეს მოხდა 1989 წელს, როდესაც სექსტონმა გადაწყვიტა, სუპერმარკეტების თაროებზე დაწყობილ, მუყაოს პაკეტებში ჩამოსხმულ და კონსერვანტებით გაჯერებულ წვენებს შებმოდა. 20,000 დოლარით, რაც რადიოლოგის რეგისტრატორის ნამუშევრიდან შემორჩა, ხეებში ჩაკარგულ პატარა ქოხში მან ორი 1,000-გალონიანი

უჟანგავი ფოლადის რეზერვუარი და წვენსაწური დაამონტაჟა და საყასბოს მაცივარ-ტრეილერი იქირავა, რათა პირველი პალეტის მიწოდება თვითონ განეხორციელებინა. ასე დაიბადა Natalie's Orchid Island Juice Co. ნატალი - სექსტონის პირველი ბავშვის სახელია, რომელიც ცხრა თვით ადრე დაიბადა.

„წინათ, ახალგაზრდობაში, სიღარიბის საშინელი შიში მქონდა" , - ამბობს მარტოხელა, დამლაგებლად მომუშავე დედის გაზრდილი სექსტონი, რომელმაც 14 წლის ასაკში კინოთეატრში დაიწყო მუშაობა, მოგვიანებით კი მიმტანად მსახურობდა, რათა ოჯახის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი გაესტუმრებინა. „ვიცოდი, რა იყო სიღატაკე, - ამბობს ის, - და ეს მმატებდა ძალას".

Natalie's ამჟამად 25 არომატს ყიდის - მანდარინით დაწყებული, მატჩას (მწვანე ჩაი) ლიმონათით დამთავრებული - 42 ქვეყანაში და აშშ-ის 5,000 სუპერმარკეტში და ისეთი ქსელებისთვის, როგორიც არის Pret A Manger, სპეციალური შეფუთვის წვენებს ამზადებს. გაყიდვებმა ბოლო წელიწადს 7 მლნ გალონსა და 60 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

რა არის ამ პატარას საბაზრო ღირებულება? დავუშვათ, რომ Natalie's EBIT მარჟა (მოგება პროცენტისა და საშემოსავლო გადასახადის გამოკლებამდე) არ არის შორს 13% -სგან, რომელიც პეპსის აქვს North American soda-სა და Tropicana-ს ბიზნესიდან.

ასევე დავუშვათ, რომ მყიდველმა EBIT-ის იგივე პროცენტი გადაიხადა, რასაც პეპსის შემთხვევაში იხდის. მაშინ გამოდის, რომ ეს ორი ფოლადის რეზერვუარი, რომლებიც კვლავ გამოიყენება, სტანდარტული გათვლებით, 140 მილიონი დოლარით გაიზარდა.

სექსტონმა, სწრაფად მოუბარმა მორწმუნე ქრისტიანმა, სპეციფიკური აქცენტითა და ვერცხლისფრად შეღებილი ფრჩხილებით, ამ მდგომარეობას ყოველგვარი გარე ინვესტიციისა ან რაიმე ვალის აღების გარეშე მიაღწია, სულ ახლახან აღებულ 3-მილიონიან იპოთეკურ სესხს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. „ეს არის ორგანული ზრდა, - ამბობს სექსტონი, რომელსაც კოპლებიანი ბლეიზერი აცვია ლეოპარდის ნახატიანი ჩანართებით, - მაგრამ მართლაც რთულია, დაუპირისპირდე მას, ვისთვისაც 20 ან 40 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდებებია ხელმისაწვდომი".

სექსტონი მხოლოდ ფლორიდის ფორთოხალს იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაძვირდა მას შემდეგ, რაც ბაქტერიულმა დაავადებამ ბევრი ნარგავი გაანადგურა. იგი წელიწადში 10 მილიონ დოლარს ხარჯავს ფორთოხლის იმგვარად დასაწყობებისათვის, რომ ახალი წვენის დაწურვა ზაფხულშიც შეძლოს, რაც კიდევ ერთი ინდუსტრიული იშვიათობაა. ასეთი ხარჯების ფონზე, ის მაინც ახერხებს, უარით გაისტუმროს ისეთი წაგებიანი კონტრაქტები, როგორიც იყო წლების წინ მიღებული შეთავაზება, წვენები „დისნეის ვერლდში გაეყიდა".

ეს რა, არ არის სასაქონლო ბიზნესი? არც მთლად. არსებობს ცდომილება, თუ რამდენად განიცდის გადამუშავებას ნატურალური ნედლეული. Tropicana არ ამატებს წვენში ტრადიციულ კონსერვანტს - ნატრიუმის ბენზოატს, მაგრამ ამის ნაცვლად ახდენს წვენის დეაერაციას, პასტერიზებას დაახლოებით 200 გრადუსის ტემპერატურაზე 30 წამის განმავლობაში და შემდეგ აღადგენს არომატს ფორთოხლის ქერქის გამოყენებით, რასაც ადასტურებს პატენტები და ბრალდებები, რომლებიც 2011 წლის სარჩელით ფედერალურ სასამართლოში იყო წარდგენილი. Natalie's-ი ახდენს პასტერიზებას FDA-ს მიერ დადგენილ მინიმუმზე - 165 გრადუსზე 3 წამის განმავლობაში და არ ახდენს ხელოვნურ არომატიზებას.

„დიდმა კომპანიებმა, როგორიცაა Nabisco, Kraft-ი და General Mills-ი ახლახან დაიწყეს თავიანთი პროდუქციის, როგორც სუფთა და მინიმალურად გადამუშავებულის წარმოჩენა", - ამბობს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, 51 წლის ფრანკ ტრანჩილა, რომელიც Natalie's-ში 2011 წელს მოვიდა სალათის მომწოდებელი Taylor Farms-დან. - სწორედ ამას აკეთებს მერიგრეისი კომპანიის შექმნის დღიდან".

სექსტონს არ ეშინია, უარით გაისტუმროს სპეციალური შეფუთვის მსურველი მომხმარებელი, რომელიც თანახმაა, კონსერვანტები გამოიყენოს. მან შეწყვიტა ხილის ნაყინის ხაზის გამოცდა, ვინაიდან საყინულეში კრისტალიზაციის თავიდან ასაცილებლად რეზინის დანამატი გახდა საჭირო. ის გამოუსწორებელი პერფექციონისტია.

„თუ ჩვენ ამ კომპანიაში გავგიჟდით, მაშინ უბრალოდ დალიეთ წვენი, - იხსენებს იგი Kool-Aid-ის პოპულარულ კლიშეს. - ჩვენ საკმარისად ვბრუნავთ მომხმარებელზე იმისათვის, რომ ასე

საქმის ბოლომდე მიყოლა



ქმედება, რომელიც ქრება

Snapchat-ის დამფუძნებელი, იმჟამად 23 წლის **ევან შპიგელი**, ჩვენი რუბრიკის 30 30-წლამდელის ხუთი წლის წინანდელი (2014 წლის 20 იანვარი) გარეკანიდან შემოგვგვინის. Forbes-ი იტყობინებოდა, რომ მან და Snapchat-ის თანადამფუძნებელმა ბობი მერფიმ სულ ახლახან უარით გაისტუმრეს Facebook-ი, რომელმაც მათ $ 3 მილიარდი შესთავაზა თვითგაქრობადი ფოტოსურათის უფასო აპლიკაციის სანაცვლოდ. შპიგელმა მყისიერ ფულს მისი პროდუქტის შესაძლებლობებისა და საკუთარი პატივმოყვარეობის ექსპლუატაცია არჩია — ორივეს დეტალურად აღვწერთ ჩვენს მონათხრობში — იმისათვის, რათა შეექმნა სერვისი, რომელმაც გარკვეული დროის განმავლობაში Facebook-ს გვარიანად ადინა ოფლი. 2014 წლის დასაწყისისათვის Snapchat-ს იმდენივე ყოველდღიური ატვირთვა ჰქონდა, რამდენიც Facebook-სა და Instagram-ს ერთად, ხოლო 2016 წლისთვის — 150 მილიონზე მეტი ყოველდღიური მომხმარებელი. თუმცა სწორედ ამ წელს Instagram-მა Snapchat-ის ძირითადი ფუნქციების კოპირება დაიწყო, რამაც სტაბილურად გააძლიერა მისი Facebook-ზე მიბმული სარეკლამო ბიზნესი, მაშინ როდესაც Snap-ს (Snapchat-ის ამჟამინდელი სახელი) შემოსავლების მისაღებად ბრძოლა უწევდა. მისი აქციების ღირებულება თითქმის 80%-ით დაეცა 2017 წლის IPO-ს (აქციების პირველადი საჯარო გაყიდვა) შემდეგ, და ამას სრულიად არაიძულებითმა შეცდომებმაც შეუწყო ხელი: Snapchat-ის 2018 წლის შპიგელისეული რედიზაინი ჩავარდა, ხოლო მილიარდერის დისტანციური მართვის სტილმა, გავრცელებული ინფორმაციით, 2019 წლის დამდეგს აღმასრულებელი რგოლის მიერ კომპანიის მასობრივ დატოვებას შეუწყო ხელი. ამ ბოლო ოქტომბერს Snap-მა გააფრთხილა ინვესტორები, რომ მისი მომხმარებელთა ბაზა, რომელიც მცირდება (186 მილიონამდე პიკური 191 მილიონიდან) კვლავ გააგრძელებს — აუუფ! — შემცირებას.

გავგიჟდეთ“.

ეს მძიმე გაკვეთილი იყო. 2001 წელს მან Natalie's-ი კომპანია North Castle Partners-ს მიჰყიდა – კერძო სააქციო ფირმას, რომელიც Equinox-სა და Jenny Craig-ში განხორციელებული ინვესტიციებითაა ცნობილი. „მათ მითხრეს, რომ მე დიდი საქმე გავაკეთე, მაგრამ არ შემეძლო ამ საქმის მომდევნო დონეზე აყვანა, ხოლო მათ შეეძლოთ“, – განმარტავს სექსტონი და თავს აქნევს. – სულ ამირიეს თავგზა“.

North Castle-მა ასევე შეიძინა ჩვენის მწარმოებელი ოთხი სხვა კომპანია, მათ შორის Saratoga Beverage Group-ი და Naked Juice-ი. სექსტონს ეგონა, რომ მის მთავარ აღმასრულებლებს (რომელთაგან სამი მისი ძმა იყო) კომპანიაში დატოვებდნენ, მაგრამ ახალმა მფლობელმა კომპანიები ერთად შეკრა და ახალი ბოსი მოიყვანა Tropicana-დან.

როგორ წავიდა საქმე? არცთუ კარგად. North Castle-მა 2003 წელს Natalie's-ი ზარალით გაყიდა, თუმცა ეს ზარალი ნამატით აინაზღაურა, როდესაც Naked Juice-ი მიჰყიდა პეპსის. North Castle-ის დამფუძნებელი ჩიპ ბეირდი ამგვარად განმარტავს: „ინტერფეისის სინერგია რთული მისაღწევი აღმოჩნდა და 2001 წლის დასაწყისში ეკონომიკური რეცესიაც დაიწყო. ინსტიტუციური მოთხოვნა ქვემოთ წავიდა. ჩვენც სწრაფად მივხვდით, რომ სტრატეგია არ მუშაობდა და უკან დავიხიეთ”.

შემდეგმა მფლობელმა, ხილის ფირმა Fort Pierce-მა, 2003 წელს სექსტონი დააბრუნა როგორც კონსულტანტი, ხოლო ორი წლის შემდეგ ხელსაყრელ ფასად შესთავაზა სააქციო კაპიტალის 50% (სექსტონი ამბობს, რომ მას არა აქვს უფლება, გარიგების შესახებ ისაუბროს). „ეს იყო ორმო. მე უბრალოდ მივეხმარე მათ ამოსვლაში, – ამბობს სექსტონი. – როდესაც საქმეში ხართ, იმდენია შესაცვლელი, იმდენია გამოსასწორებელი, თქვენ არ ზიხართ და არ ფიქრობთ ამაზე. თქვენ უბრალოდ განუწყვეტლივ მოქმედებთ“.

დანარჩენი აქციები მან და მისმა ოჯახმა 2006 წელს იყიდა.

გაყიდვები, რომლებიც პირველი შეძენისას 20 მილიონ დოლარს აღწევდა, სექსტონის ხელმძღვანელობაში დაბრუნების მომენტისათვის 20%-ით დაეცა. ისარგებლეს რა Natalie's-ის სისუსტით, მაღაზიის თაროები Blueprint-ის (2012 წელს შეიძინა საკვების გიგანტმა Hain Celestial-მა) და Pom Wonderful-ის (მილიარდერი სტიუარტ და ლინდა რეზნიკების პროტეჟე) მსგავსმა ახალბედებმა დაიკავეს. ჩვენების „უხუცესი“ Bolthouse Farms-ი $1-მილიარდიანი კრედიტების ხარჯზე საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვის გზით საინვესტიციო კომპანია Madison Dearborn Partners-მა შეიძინა.

სექსტონმა ეტიკეტის დიზაინი შეცვალა, 5 მილიონი ახალ აღჭურვილობაში დახარჯა და საწყობის გასამართად 3 მილიონ დოლარად 11

როგორ ვითამაშოთ სწორად? ჯონ ბაკინემი

რაც შეეხება საოჯახო კვების კომპანიებს, ცოტას თუ შეუძლია გაეჯიბროს **J.M. Smucker-ს** გრძელვადიანი წარმატების თვალსაზრისით. 122 წლის კომპანიამ ოჰაიოს შტატიდან თავისი საქმიანობა სიდრისა და ვაშლის კარაქის წარმოებით დაიწყო ვაშლებისაგან, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, თვით ჯონი ეპლსიდის მიერ იყო მოყვანილი. უფრო ცნობილი თავისი ხილის სპრედით, Smucker-ი ასევე აწარმოებს არაქისის კარაქს, ნამცხვარს, წვენებსა და მრავალ სხვა სასურსათო პროდუქტს. Smucker-ი იღებს შემოსავლების 15%-ს პროდუქტის საზღვარგარეთ გაყიდვებიდან, ხოლო სახლის ცხოველების საკვები (30%), ყავა (28%) და სამომხმარებლო საქონელი (27%) ადგილობრივად იყიდება. აქციათა ფასები 2018 წლის ბოლოს დაეცა და, მე ვფიქრობ, ეს მათი შეძენის შესანიშნავი შესაძლებლობაა. Smucker-ი აგრძელებს პოპულარული, ჯანსაღი საკვების ასორტიმენტის გაფართოებას, ისევე როგორც სახლის ცხოველების საკვებისა. აქციების ფასისა და მოგების კოეფიციენტი P/E შეადგენს 12-ს, ხოლო 3-, 5- და 10-წლიანი შესაბამისი საშუალო მნიშვნელობები 18-ზე მაღალია. დივიდენდის სარგებელი შეადგენს 3.5% -ს.

ჯონ ბაკინემი არის The Prudent Speculator-ის რედაქტორი.

სექსტონი და ერთადერთი მემკვიდრე, მისი ქალიშვილი ნატალი.

აკრის ფართობი შეიძინა. ის და სხვა მენეჯერები წვენის ქარხანას დღეში რამდენიმეჯერ დაივლიან, რათა გააკონტროლონ 145 თანამშრომელი, რომლებიც სავარაუდოდ გრძნობენ პროდუქტის მფლობელობის გარკვეულ დონეს; ჩამოსხმის ხაზის ოპერატორები ხედავენ თავიანთ ინიციალებს, წვენის ყოველ პაკეტზე დაბეჭდილს.

„შეგიძლიათ მოიძიოთ ინვესტორები, რომლებიც 20 მილიონ დოლარს ჩადებენ მარკეტინგში, მაგრამ ყველაზე რთული წარმოებაა. ეს არის ის, რაც გაჩერებს“, - ამბობს სექსტონი. ნატალი სექსტონი, კომპანიის სეხნია, რომელიც ამჟამად 30 წლისაა და რომელიც მას 2012 წელს შეუერთდა, გასული წლიდან ახალ ხაზს ავითარებს - wellness სტილის სასმელებს. პირველი სამი არომატი, რომელიც მარტის თვეში გამოვა, ისეთ ინგრედიენტებს შემოგვთავაზებს, როგორიცაა კურკუმა, ანწლი და პასიფლორა.

„სასმელების კატეგორია გადაჯერებულია მიწოდებით და კონკურენციაც ძალზე იზრდება, - ამბობს ნატალი, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგის სფეროში. - ბევრი ბრენდი აწარმოებს წვენებს, რომლებიც, მათი განცხადებით, არის სუფთა ან ჯანმრთელი, მაგრამ თუ ინგრედიენტებით დაინტერესდებით, ისინი არც სუფთაა და არც ჯანმრთელი. ჩვენ ვაპირებთ, გავაგრძელოთ მუშაობა, როგორც დაკონსერვებული წვენების ნატურალურმა ალტერნატივამ“.

ახლაც კი, როდესაც ჩანაცვლების გეგმა მზად არის და ერთადერთი მემკვიდრეც ემზადება კომპანიაში თავისი პირველი ხაზის გასაშვებად, სექსტონი ამბობს, რომ პენსიაზე არასოდეს გავა. „უნდა დარჩე მობილიზებული და ის, ვინც ხარ“, - ამბობს ის და ყოველი შემთხვევისათვის, თუ ჯერაც არ გახდა ნათელი, დასძენს: „კომპანია არ იყიდება“. *

საბოლოო მოსაზრება

„პირველი ამქვეყნიურ მადლთაგან: დამოუკიდებლობა“. **— ედუარდ გიბონი**

ფოტო: BRAD BARR

მარჭის წინასწარმეტყველი

დამზადებულია სახლში

ნიდი კაპური იმედგაცრუებული იყო იმით, რომ შეკვეთით დამზადებული კარგი ამერიკული ავეჯი ვერსად იპოვა. 31 წლის კაპურმა, სილამაზის ინტერნეტსალონ Birchbox-ის ბიზნესის განვითარების ყოფილმა ხელმძღვანელმა, $ 500,000-ის დაფინანსება მოიპოვა და 2017 წელს დაარსა Maiden Home-ი, ელექტრონული კომერციის პლატფორმა, რომელიც ორიგინალური ავეჯის დიზაინს ქმნის და ხელს უწყობს ასობით ხელოსანს ჩრდილოეთ კაროლინაში. ბოლო წელს შემოსავლებმა 2 მილიონ დოლარს მიაღწია.

როგორი იყო პირველი დღეები?

ოთხ დღეში მე მოვახერხე პლატფორმაზე 24-მდე ავეჯის კომპანიის გატანა;
მათგან სამთან ჩვენ ვთანამშრომლობდით. ჩვენ ვმუშაობთ ოჯახურ საკუთრებაში არსებულ საწარმოებთან, რომელთაც არასოდეს უსარგებლიათ ელექტრონული კომერციით, ამიტომ ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ მათ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეეძლოთ. თავდაპირველად დეკორატორებთან სიტყვიერი შეთანხმება ჩვენი ბიზნესის ნახევარს უზრუნველყოფდა. სულ ახლახან სოციალური მედიის გამოყენება დავიწყეთ რეკლამისა და შუამავლებისათვის.

რა არის ყველაზე ძნელი მცირე მწარმოებლებთან მუშაობისას?

როდესაც მოთხოვნა თვეში 20%-ით იზრდება, ჩვენს მიწოდების ჯაჭვს პრობლემები ექმნება. ყველაფერი დაჭრილია შეკვეთის შესაბამისად და თუ რომელიმე რგოლი ამოვარდა, გადაწყობას შეიძლება ერთი კვირა დასჭირდეს. ჩვენი პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერებს უკეთესი სისტემის შექმნა მოუწიათ. მას შემდეგ ერთმა პარტნიორმა ორჯერ გაზარდა საწარმოს ზომა; სხვა 2019 წელს მუშახელის რიცხვის გაორმაგებას აპირებს.

ხომ არ შეაყოვნა Maiden Home-ის ზრდა პარტნიორების აშშ-ში არჩევამ?

ჩვენ შეგვეძლო, დავკავშირებოდით ქარხნებს ჩინეთში და სწრაფად გავზრდილიყავით, მაგრამ ადგილობრივი ხელოსნები ვარჩიეთ. ასეთი არჩევანი იმიტომ გავაკეთეთ, რომ მაღალი დონის ოჯახური რელიკვიის დამზადება უფრო მნიშვნელოვანად მიგვაჩნია.

მარჭის წინასწარმეტყველის ავტორი ბანა ჯლიმი

გამოიწერეთ ახლავე

ყველაზე გავლენიანი ქართული ბიზნესგამოცემა

Forbes GEORGIA

6 თვე – 35 ლარი, 12 თვე – 69 ლარი

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ TBC ბანკის
ნებისმიერ ფილიალში: ს.ს. Media Partners
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: GE09TB722 563 608 01 00001
ს.კ. 404408690

ან

ან TBC Pay Box-დან
(სერვისი: სხვადასხვა - პრესა - ფორბსი)

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ.: +995 (32) 223 77 07

საქართველოს 100 FORBES უმსხვილესი კომპანია

ანალიტიკა: GRANT THORNTON
რედაქტორები: შოთა ტყეშელაშვილი, შოთა დიღმელაშვილი, მაია მირიჯანაშვილი

17.5 მილიარდი ლარი - ეს არის ფინანსური სექტორის მიღმა საქართველოს 100 უმსხვილესი ბიზნესის მიერ 2017 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი. მათ საკუთრებაში არსებული აქტივების ღირებულება 18.2 მილიარდ ლარს შეადგენს. მთლიანობაში ამ კომპანიებმა წმინდა მოგების სახით 1.2 მილიარდი ლარის გენერირება შეძლეს. გამოდის, 100 კომპანიის შემოსავალი 2017 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 46%-ის ტოლი იყო. ანუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაახლოებით ნახევარი სწორედ მათზე მოდის.

უმსხვილესი კომპანიების ასეულში მოხვდნენ ვაჭრობის, ენერგეტიკის, სამშენებლო, ტურიზმის, კვების, სამთო-მოპოვების, მრეწველობის, აზარტული თამაშების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში ჩართული კომპანიები.

გთავაზობთ რეიტინგს, რომელიც საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია **Grant Thornton**-თან პარტნიორობით მომზადდა.

1. შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

აქტივები: 1,178,857,000
შემოსავალი: 1,455,470,000
მოგება/ზარალი: 12,282,000

„სოკარის“ სიდიდეს განაპირობებს ის, რომ კომპანია ერთდროულად რამდენიმე ბაზარზე წარმოადგენს უმსხვილეს მოთამაშეებს, ესენია – ბუნებრივი აირის მიწოდებისა და საწვავით ვაჭრობის სექტორები.

2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

აქტივები: 758,638,000
შემოსავალი: 680,311,000
მოგება/ზარალი: 64,831,000

„ენერგო პროს” აქტივების სიდიდეს ელექტროენერგიის განაწილების ქსელი და მის საკუთრებაში არსებული 15 ჰიდროელექტროსადგური განაპირობებს. „ენერგო პრო” თბილისის გარდა მთელ საქართველოს აწვდის ელექტროენერგიას. კომპანიაში 6000-მდე ადამიანი მუშაობს.

3. შპს „მაგთიკომი“

აქტივები: 905,271,510
შემოსავალი: 445,681,740
მოგება/ზარალი: 91,898,730

„მაგთი“ საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშეა. მის მობილურ ქსელს 1,976,667 აბონენტი ჰყავს, ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კი „მაგთის“ მომსახურებით 377,924 აბონენტი სარგებლობს.

4. სს „თელასი“

აქტივები: 318,884,000
შემოსავალი: 420,338,000
მოგება/ზარალი: 22,187,000

საქმიანობა: ელექტროენერგიის შესყიდვა და გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; აბონენტთა ტექნიკური მომსახურება; ასაქმებს 2057 ადამიანს.

მეთოდოლოგია:

რეიტინგი მომზადებულია საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია Grant Thornton-თან პარტნიორობით.

„გრანთ თორნთონი” მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი აუდიტორული ფირმების ქსელია, რომელიც საჯარო და კერძო სექტორს აუდიტორულ, საბუღალტრო, იურიდიულ და ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურებებს უწევს. ამჟამად კომპანია საერთაშორისო დონეზე 140 ქვეყანაშია წარმოდგენილი და 53,000-მდე ადამიანს ასაქმებს. კომპანია Grant Thornton-ი საქართველოში 2005 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა ქსელში შემავალი კომპანიები საქართველოში 1999 წლიდან სხვადასხვა პროექტზე მუშაობდნენ.

რანჟირების მეთოდი:

კომპანიების რეიტინგი ეყრდნობა სამ ძირითად ფინანსურ მაჩვენებელს: მთლიან აქტივებს, შემოსავლებს და წმინდა მოგებას. რეიტინგში არ მონაწილეობენ კომპანიები, რომლებშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტ წილს ფლობს, აგრეთვე ბანკები, საფინანსო და სადაზღვევო კომპანიები. თითოეული ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი მიჩნეულია ცალკე კრიტერიუმად, რომლებსაც სხვადასხვა წონა აქვთ მინიჭებული. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით კომპანიებს ენიჭება ქულა – სიაში კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით ბოლო ადგილზე მყოფ კომპანიას ენიჭება 1 ქულა, ხოლო პირველ ადგილზე მყოფს ყველაზე მეტი, ანუ იმდენი ქულა, რამდენი კომპანიაც არის სიაში. კომპანიის მიერ თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულები გამრავლებულია შესაბამისი კრიტერიუმის წონაზე და ამგვარად მიღებული ქულები დაჯამებულია.

კომპანიის მიერ მიღებული ჯამური ქულა გაყოფილია მაქსიმალურ შესაძლო მისაღებ ქულაზე და ეს მონაცემი გამრავლებულია 10,000-ზე (მაგალითად, თუ კომპანიამ მიიღო მაქსიმალურად შესაძლებელი ქულების 96.65% მას დაეწერება 9,665 „სარეიტინგო“ ქულა).

საბოლოოდ რეიტინგი დგება ყველაზე მეტი „სარეიტინგო“ ქულის მიხედვით. ერთი და იმავე ჯამური „სარეიტინგო“ ქულის მიღების შემთხვევაში უფრო მაღალ რეიტინგს იღებს კომპანია, რომელსაც უფრო მეტი მთლიანი აქტივები აქვს.

რეიტინგის არაერთ წევრს ეკუთვნის შვილობილი ორგანიზაციები. თითოეულის შემთხვევაში შეფასებისთვის გამოყენებულია ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგება, რომელშიც ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსებია გაერთიანებული.

ცალკეულ შემთხვევებში კომპანიებს საკუთარი ანგარიშგება აშშ დოლარებში აქვთ წარმოდგენილი, რომელთა კონვერტაციაც 2.67 კურსით მოხდა.

რეიტინგში წარმოდგენილია 100 ყველაზე მაღალი ქულის მქონე კომპანია. მონაცემები აღებულია პორტალ www.reportal.ge-ზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებებიდან. რეიტინგში მოხვდნენ ის კომპანიები, რომლებსაც ანგარიშგებები აღნიშნულ პორტალზე გამოქვეყნებული ჰქონდათ 2019 წლის 1 მარტამდე.

წარმოდგენილი რეიტინგი ეფუძნება კომპანიების მიერ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს. მონაცემები აღებულია იმგვარად, როგორც წარდგენილია კომპანიის მიერ მის ანგარიშგებაში, მიუხედავად იმისა, როგორი დასკვნა აქვთ გაცემული აუდიტორებს და დაეთანხმნენ თუ არა აუდიტორები წარდგენილ მონაცემებს.

ეს რეიტინგები არის სრულად საექსპერტო და ჟურნალისტური შეფასება და არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ოფიციალური ინფორმაციის სახით.

მოცემული რეიტინგების გამოყენება სხვა მედიასაშუალებების მიერ დასაშვებია „რერაიტის“ პირობებით და 2 ლინკით: Forbes.ge და თვითონ რეიტინგის ლინკი. წყაროს მითითების გარეშე Copy-Paste – აკრძალულია.

5. შპს „პსპ ფარმა ჯგუფი"

აქტივები: 290,986,000
შემოსავალი: 477,265,000
მოგება/ზარალი: 33,097,000

საქმიანობა: მედიკამენტებისა და კოსმეტიკის საცალო და საბითუმო რეალიზაცია. აერთიანებს 202 აფთიაქს, ფარმაცევტულ საწარმო GMP-ისა და მრავალპროფილიან კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსს".

6. სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი"

აქტივები: 875,113,000
შემოსავალი: 262,688,000
მოგება/ზარალი: 13,654,000

საქმიანობა: (JCI) საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების პაციენტზე მორგებული სამედიცინო მომსახურების დანერგვა. დღეისათვის საქართველოს 6 რეგიონში 78 კლინიკით არის წარმოდგენილი.

7. შპს „ავერსი-ფარმა"

აქტივები: 368,632,000
შემოსავალი: 366,150,000
მოგება/ზარალი: 22,629,000

საქმიანობა: მედიკამენტებისა და კოსმეტიკის საცალო და საბითუმო რეალიზაცია. აერთიანებს 241 აფთიაქს. სააფთიაქო ქსელთან ერთად, ფლობს კლინიკების ქსელსაც. ასაქმებს 3,175 ადამიანს.

8. სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია"

აქტივები: 265,760,000
შემოსავალი: 414,482,000
მოგება/ზარალი: 40,090,000

საქმიანობა: საწვავისა და ავტოგაზის რეალიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფლობს 164 ავტოგასამართ სადგურს და სამ სახმელეთო ნავთობტერმინალს. ასაქმებს 2,087 ადამიანს.

9. „ჯიპისი"

აქტივები: 246,000,000
შემოსავალი: 450,315,000
მოგება/ზარალი: 37,319,000

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წევრი. საქმიანობა: მედიკამენტებისა და კოსმეტიკის საცალო და საბითუმო რეალიზაცია. აერთიანებს თბილისში 159 და რეგიონებში მდებარე 96 აფთიაქს. ასაქმებს 1500 ადამიანზე მეტს.

10. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"

აქტივები: 501,299,000
შემოსავალი: 356,455,000
მოგება/ზარალი: -824,000

მართავს ცემენტის სამ ქარხანას, ასევე: 2 სტაციონარულ და 11 მობილურ ქარხანას. კომპანია ბეტონით ამარაგებს თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტს საქართველოში.

რეიტინგის ლიდერი

Forbes Georgia-ს უმსხვილესი კომპანიების პირველი სიის სათავეში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ქართული შვილობილი SOCAR Energy Georgia იმყოფება. 1.17 მილიარდი ლარის ღირებულების აქტივებით და 1.45 მილიარდი ლარის შემოსავლით, კომპანია რეიტინგის ასეულის 18-მილიარდიანი აქტივების 6.4%-ს და შემოსავლების 8.3%-ს ქმნის.

ავტორი: ელენე კვანჭილაშვილი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი



100 უმსხვილესი კომპანია

		აქტივები	შემოსავალი	მოგება/ზარალი
11	შპს „ჰეოსელი“ კავშირგაბმულობა	442,553,609	251,367,623	25,452,916
12	„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ენერგეტიკა	672,000,000	275,281,000	-20,020,000
13	„აიდიეს ბორჯომი საქართველო“ სასმელების წარმოება	389,886,750	289,476,060	-40,058,010
14	„მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია“ ტურიზმი, ტრანსპორტი, მშენებლობა	606,083,000	132,573,000	189,393,000
15	შპს „ტავ ურბან საქართველო“ საჰაერო და სატრანსპორტო მომსახურება	271,960,000	214,272,000	156,652,000
16	შპს „თეგეტა მოტორსი“ ავტომობილებითა და ავტონაწილებით ვაჭრობა, შემდგომი მომსახურება	187,830,000	347,347,000	26,956,000
17	სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ტრანსპორტი და საზღვაო გადაზიდვები	356,415,000	139,403,000	55,856,000
18	სს „ნიკორა“ საკვების წარმოება, ვაჭრობა	193,795,000	336,255,000	9,632,000
19	GWP წყალმომარაგება, ენერგეტიკა	540,832,000	107,766,000	34,778,000
20	„გალფი საქართველო“ ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა	168,168,000	354,421,000	10,799,000
21	შპს RMG Gold სამთო მოპოვება	305,356,000	199,621,000	-16,724,000
22	სს „სილქნეტი“ კავშირგაბმულობა	257,380,000	172,625,000	17,497,000
23	შპს „ტოიოტა კავკასია“ ავტომობილებითა და ავტონაწილებით ვაჭრობა	131,262,273	389,147,371	20,110,213
24	შპს „ანაგი“ დეველოპმენტი	183,341,000	204,982,000	29,385,000
25	შპს „ჰეოსთილი“ ფერომენადნობი მასალებისა და ფოლადის წარმოება	162,338,532	178,956,816	36,279,989
26	სს „m^2 უძრავი ქონება“ დეველოპმენტი	350,829,000	92,643,000	22,854,000
27	შპს „ელიზი ჯგუფი“ თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა	122,998,079	268,188,416	31,631,765
28	სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ სასმელების წარმოება	185,063,000	137,601,000	5,639,000
29	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ბუნებრივი აირის რეალიზაცია	129,681,036	285,930,339	-11,808,424
30	შპს „ფილიპ მორის საქართველო“ თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა	88,705,126	358,279,742	6,855,969

საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია

SOCAR ENERGY GEORGIA

ზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ი დღეს გლობალური კომპანიაა, რომელიც 50 ათას ადამიანს ასაქმებს. 1994 წლის შემდეგ, როცა საუკუნის კონტრაქტს ოფიციალურად მოეწერა ხელი და მსოფლიოს ლიდერმა ნავთობკომპანიებმა „სოკართან“ ერთად კონსორციუმი შექმნეს, კომპანიამ მნიშვნელოვანი დივერსიფიცირება განიცადა და 2006 წელს საქართველოს ბაზარზეც შემოვიდა.

კომპანიის მიერ საქართველოში შვილობილი კომპანიის - SOCAR Energy Georgia-ს დაარსებას წინ რუსეთ-საქართველოს ენერგოკრიზისი უძღოდა, როცა 2006 წლის იანვარში გაზსადენზე მომხდარი ორი აფეთქების შემდეგ, განსაკუთრებით ცივ ზამთარში რუსეთმა საქართველოს გაზის მიწოდება მთლიანად შეუწყვიტა და ქვეყანას მძიმე პერიოდში დახმარების ხელი სწორედ აზერბაიჯანმა გამოუწოდა.

ამდენად, SOCAR-ის საქართველოს ენერგოუსაფრთხოების, დივერსიფიკაციისა და ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი კომპანიაა. საქართველოს გარდა, SOCAR-ი დღეს წარმოდგენილია თურქეთის, რუმინეთის, შვეიცარიის, გერმანიისა და უკრაინის ბაზრებზე და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აქვს დამყარებული ძირითადად შვეიცარიასთან, სინგაპურსა და ნიგერიასთან.

SOCAR Energy Georgia-მ საქართველოს ბაზარზე თავის დამკვიდრება 2006 წლის სექტემბრიდან დაიწყო. აზერბაიჯანული ენერგოგიგანტის, SOCAR-ის შვილობილი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კერძო კომპანიაა. ის აერთიანებს საქართველოს უმსხვილეს ავტოგასამართი სადგურების და ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო ქსელებს (SOCAR Georgia Petroleum-სა და SOCAR Georgia Gas-ს). ჯგუფს ფლობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია, რომელსაც კომპანიის საწესდებო კაპიტალის 75.505% ეკუთვნის.

SOCAR Energy Georgia-სა და მის შვილობილ კომპანიებში, საერთო ჯამში, 4265 ადამიანი მუშაობს, რის შედეგადაც კომპანია საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია.

„საქართველოში წარმოდგენილები ვართ არა მარტო მთავარ მაგისტრალებსა და დიდ ქალაქებში, არამედ მაღალმთიან რაიონებშიც, მაგალითად,

100 უმსხვილესი კომპანია

		აქტივები	შემოსავალი	მოგება/ზარალი
31	შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ საზღვაო გადაზიდვები, ნავთობტერმინალი	495,065,761	82,884,749	-32,047,230
32	„კარფური“ ჰიპერმარკეტების ქსელი	88,135,000	370,975,000	-17,416,000
33	შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი მშენებლობა	133,575,329	29,843,076	10,396,879
34	შპს „ვიონი საქართველო“ კავშირგაბმულობა	200,361,000	105,551,000	-50,143,000
35	ჰუალინგის სპეციალური ეკონომიკური ზონა უძრავი ქონება, ვაჭრობა	716,454,251	58,852,956	-6,133,517
36	შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა	75,362,000	341,034,000	4,576,000
37	შპს Retail Group Georgia საცალო ვაჭრობა	108,616,000	140,694,000	3,006,000
38	შპს „ბი ემ სი გორგია“ სამშენებლო და სარემონტო მასალებით ვაჭრობა	107,802,157	129,863,474	9,503,291
39	შპს „ალტა“ კომპიუტერული და ვიდეო-აუდიო ტექნიკით ვაჭრობა	77,378,566	192,443,471	12,246,466
40	„ნატახტარი” – სააქციო საზოგადოება „ლომისი” სასმელების წარმოება	103,203,000	103,328,000	7,162,000
41	შპს „დიპლომატ ჯორჯია“ დისტრიბუცია	71,568,000	171,965,000	6,985,000
42	შპს შავი ზღვის ტერმინალი ტვირთების ექსპედირება, სასაწყობე ოპერირება	232,364,000	57,399,000	6,830,000
43	შპს „ფერი“ მშენებლობა	139,921,000	71,281,000	14,548,000
44	სს „ელიტ ელექტრონიქსი“ კომპიუტერული და ვიდეო-აუდიო ტექნიკით ვაჭრობა	56,381,000	184,740,000	9,786,000
45	ჯგუფი „მარგებელი“ სასმელების წარმოება, საკვები პროდუქტების წარმოება	158,793,000	62,885,000	5,114,000
46	ჯგუფი „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ალკოჰოლური სასმელების წარმოება	124,963,863	67,659,736	23,278,568

სტეფანწმინდასა და მესტიაში, - ამბობს SOCAR Georgia Petroleum-ის დირექტორი ლევან გიორგაძე. - ჩვენი განსაკუთრებული სიამაყის საგანს გორის ჩქაროსნულ მაგისტრალზე არსებული თანამედროვე მრავალფუნქციური ობიექტი და არაერთი არქიტექტურული ჯილდოს მფლობელი, ბათუმში მდებარე ავტოგასამართი სადგური წარმოადგენს. ბათუმის ავტოგასამართ სადგურს მომხმარებელი „მაკდონალდსის“ რესტორნით იცნობს. აღსანიშნავია, რომ ამ სტრატეგიას მომავალშიც გავაგრძელებთ“. ამ მიმართულებით კომპანიის უახლოესი გეგმები უკვე გარკვეულია - მორიგი დიდი კომპლექსი სულ მალე თერჯოლაში, ახალაშენებულ მაგისტრალზეც უნდა გაიხსნას.

კომპანია კიდევ ერთი პროექტით განსაკუთრებით ამაყობს - ეს საირმის საპილოტე პროექტია - ვირტუალური გაზსადენი. „ტექნოლოგია ითვალისწინებს მაღალმთიან, რთული რელიეფის მქონე რეგიონებში, სადაც გაზსადენი ქსელის მოწყობა პრაქტიკულად შეუძლებელია, ბუნებრივი გაზის მიწოდებას, - გვიხსნის ლევან გიორგაძე. - შედეგად, დასახლებულ პუნქტში გაზის ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური კონტეინერებით და არა გაზსადენით“. საპილოტე პროექტმა, გიორგაძის შეფასებით, გაამართლა და რეგიონში ტურისტული ბიზნესის განვითარების საქმეშიც შეიტანა წვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე მსგავს პროექტს მომავალშიც უნდა ველოდოთ.

კომპანიას საქართველოში ბიზნესის წარმოების გრძელვადიანი გეგმები აქვს. ამას, ლევან გიორგაძის თქმით, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. „საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკაა. ის გამოირჩევა მცირე ბიუროკრატიით, რაც ერთმნიშვნელოვნად უწყობს

ქვეყანაში 1,150 ბენზინგასამართი სადგურია. აქედან SOCAR GEORGIA PETROLEUM-ი 115-ს ფლობს.

ხელს ბიზნესის განვითარებას. მას აქვს რეგიონალური ჰაბის დიდი პოტენციალი და ასევე დიდი პოტენციალი, ეფექტიანად შეასრულოს როგორც ენერგომატარებლების, ისე სხვა ტიპის რესურსების კორიდორის ფუნქცია", - ასე აანალიზებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს SOCAR Georgia Petroleum-ის დირექტორი.

SOCAR Georgia Petroleum-ის მშობელი გლობალური კომპანია SOCAR-იც ზუსტად ამ აზრზეა, რადგან საქართველო ამ ქვეყნის პარტნიორია პრაქტიკულად ყველა მასშტაბურ სატრანზიტო პროექტში. 2018 წლის განმავლობაში საქართველოს მილსადენებით ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს - 9.03 მილიარდ კუბმეტრს მიაღწია. ზრდა პირველ რიგში 2018 წლის 12 ივნისს, ტრანსანატოლიური მილსადენის - TANAP-ის გახსნას უკავშირდება, რის შედეგადაც საქართველოს ზეგამავალი სამხრეთკავკასიური მილსადენის (SCP) ახალაშენებულმა ხაზმა დაიწყო ოპერირება. განახლებულ მილსადენს ყოველწლიურად 20 მილიარდი კუბმეტრის მოცულობის ბუნებრივი აირის გატარება შეუძლია. მისი სრული სიმძლავრით დატვირთვა უახლოეს წლებში მოხდება. TANAP-ის გაფართოების პროექტით, TAP-ით, ანუ ტრანსადრიატიკული მილსადენით, კასპიური ბუნებრივი აირი კი იტალიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს მიეწოდება.

პროგნოზის თანახმად, „შაჰ-დენიზის" საბადოს II ფაზის ათვისების შემდეგ 2019-2020 წლიდან, ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი „ოფიციური" და „დამატებითი" გაზის ჯამური მოცულობები მნიშვნელოვნად გაიზრდება - წლიურად 1.2 მილიარდი კუბმეტრი, ხოლო პერსპექტივაში - წლიურად 1.6 მილიარდ კუბმეტრამდე. შედეგად, არსებული მოწოდების ხელშეკრულების გათვალისწინებით, „სოციალური" სექტორის მთლიანი მოთხოვნა 2026 წლის ჩათვლით დაკმაყოფილებული იქნება.

2018 წელს SOCAR-ის მიერ მოწოდებული ბუნებრივი გაზის წილმა საქართველოს მთლიან მიწოდებაში - 61.9% შეადგინა.

ბუნებრივი აირის მიმართულებით, ლევან გიორგაძე აქცენტს უსაფრთხოებასა და მომხმარებლის მაქსიმალურ ინფორმირებაზე აკეთებს: „თავისუფალი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ჩართულობა, ზოგადად, აუცილებელია. ბუნებრივი აირის ინდუსტრიაში კი ეს

100 უმსხვილესი კომპანია

		აქტივები	შემოსავალი	მოგება/ზარალი
47	Azfen-ის საქართველოს ფილიალი მშენებლობა	61,683,532	128,544,171	42,721,619
48	„JTI კავკასუს" თამბაქოს იმპორტი, დისტრიბუცია	50,809,652	173,257,994	27,159,152
49	შპს „ჯი-ემ-პი" ფარმაცევტული წარმოება	87,916,855	94,258,685	12,559,815
50	შპს „გაზ თრეიდინგ" ენერგეტიკა, ბუნებრივი აირით ვაჭრობა	54,763,000	193,670,000	27,490
51	სს „ქართული ლუდის კომპანია" (ზედაზენი) სასმელების წარმოება	111,931,000	75,044,000	4,823,000
52	შპს „დუთი ფრი ჯორჯია" საცალო ვაჭრობა	68,544,156	100,123,288	38,522,495
53	შპს „დაბი გრუპ ჯორჯია" HoReCa	233,063,175	29,961,227	41,215,345
54	შპს „ჯი-თი გრუპი" ავტომობილებით ვაჭრობა და მომსახურება	77,499,797	92,226,716	10,970,474
55	შპს GDI დისტრიბუცია	32,977,000	375,465,000	11,794
56	შპს „ასჯორჯია" (დირსი) დეველოპმენტი	291,792,975	31,414,630	-24,997,817
57	შპს „მოდუსი" (სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი) ვაჭრობა	89,642,613	86,087,587	-11,083,126
58	„აჭარაბეთი" აგარტული თამბაქები	41,107,000	155,813,000	45,723,000
59	სს „თელიანი ველი" ალკოჰოლური სასმელების წარმოება	158,191,000	54,975,000	-14,246,000
60	„ჩირინა" ქათმის ხორცპროდუქტების წარმოება	166,696,000	48,642,000	-8,046,000
61	შპს „იუ-ჯი-თი ჯგუფი" კომპიუტერული და საკონსულტაციო მომსახურება	44,620,642	127,049,723	11,103,447
62	შპს კორპორაცია „სინოჰიდროს" ფილიალი საქართველოში გზებისა და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	62,530,119	92,563,002	10,365,775
63	შპს „შარმ ტრეიდინგი" ვაჭრობა	74,675,000	83,142,000	4,792,000
64	Radisson-ის სასტუმროები – ოპერატორი „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ ჯგუფი" HoReCa	111,589,000	54,574,000	6,565,000
65	McDonald's საქართველო რესტორნები	92,577,019	63,685,685	-1,628,258

100 უმსხვილესი კომპანია

		აქტივები	შემოსავალი	მოგება/ზარალი
66	შპს „ორი ნაბიჯი“ სუპერმარკეტების ქსელი	37,137,086	168,212,100	3,944,552
67	Hilton ბათუმი – შპს ტურინვესტი HoReCa	203,870,000	24,183,000	-43,119,000
68	„ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჰორჰია თამბაქოს იმპორტი, დისტრიბუცია	30,181,000	215,682,000	-4,929,000
69	შპს „ნოვა“ სამშენებლო მასალების წარმოება, იმპორტი, რეალიზაცია	55,764,000	86,340,000	10,049,000
70	შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“ (თბილისი მოლი)“ უძრავი ქონება	147,532,000	26,310,000	14,962,000
71	სს „მინა“ ტარის წარმოება	85,570,239	60,336,334	692,389
72	სადისტრიბუციო კომპანია GDG ვაჭრობა, დისტრიბუცია	49,196,678	99,495,315	1,974,557
73	PACE GEORGIA – კომპანია გართავს ფოთის პორტის ცალკეულ ტერმინალებს ტრანსპორტი	98,328,000	51,429,000	10,202,000
74	შპს „ბურჰი“ მშენებლობა	66,531,745	73,207,823	1,890,558
75	სს „ფუდმარტი“ სუპერმარკეტების ქსელი	42,585,772	122,754,138	-5,551,446
76	LC Waikiki ვაჭრობა	35,844,000	117,297,000	9,448,000
77	შპს „თ & რ დისტრიბუშენ“ ვაჭრობა, დისტრიბუცია	24,335,000	196,543,000	516,000
78	CBD Development („ისთ ფოინთი“) უძრავი ქონება, მშენებლობა	149,993,000	22,855,000	-6,905,000
79	შპს „ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანია“ ვაჭრობა, დისტრიბუცია	41,024,000	99,495,000	5,903,000
80	„ჭიათურმანგანუმ ჰორჰია ჰგუფი ფერომენადნობი მასალების წარმოება	54,678,674	68,889,355	19,493,838
81	სს „გუდვილი“ ჰიპერმარკეტების ქსელი	33,821,000	116,481,000	132,000
82	„გლობალფარმ ჰგუფი“ ფარმაცევტული წარმოება	69,813,000	55,410,000	3,478,000
83	შპს „ბევრილი ჰგუფი“ პურ-ფუნთუშეულის წარმოება	37,742,313	91,340,018	20,108,960
84	შპს „დეიდრიმ უნივერსალ საქართველო“ (ბრენდული სახელი „ბეთლაივი“) აზარტული თამაშები	11,006,636	277,719,962	4,137,720
85	„სანტე ჰი ემ თი პროდუქტები“ რძის პროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია	47,294,737	69,613,567	7,940,425

ჩართულობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ამასთან, გაზის დისტრიბუცია, ისე როგორც ყველა სხვა განვითარებულ ქვეყანაში, რეგულირებული ბიზნესია“, – ამბობს ლევან გიორგაძე.

SOCAR Georgia Petroleum-ის დირექტორი ხელისუფლებასთან კომუნიკაციის ხარისხით კმაყოფილია. ამბობს, რომ კერძო სექტორსა და მთავრობას შორის, ასოციაციების მეშვეობით, მჭიდრო და ხშირი კავშირია; ხშირ შემთხვევაში ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა, აზრი გამოთქვას საკანონმდებლო ინიციატივებზე, რაც, ლევან გიორგაძის შეფასებით, ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია.

SOCAR Energy Georgia ბუნებრივი აირის იმპორტისა და რეალიზაციის გარდა, საწვავის იმპორტსა და რეალიზაციასაც ეწევა. „საწვავის ინდუსტრიას რაც შეეხება, აქ ურთულესი კონკურენციაა“, – ამბობს ლევან გიორგაძე.

სულ ქვეყანაში 1,150 ბენზინგასამართი სადგურია. აქედან SOCAR Georgia Petroleum-ი 115-ს ფლობს. კომპანიას ბაზრის დაახლოებით 14% უჭირავს. „არაბრენდულ და პატარა ქსელებს ბაზრის 30-35% მიაქვთ. ჩვენ გარდა, ბაზრის ოთხი უმსხვილესი მოთამაშიდან სამი ვერტიკალურად სრულად ინტეგრირებულია და იმპორტის ძირითადი წილიც მათზე მოდის“, – განმარტავს ლევან გიორგაძე და აქვე კომპანიის მხრიდან ბაზარზე სათანადო კონკურენციის გაწევისთვის აუცილებელ ფაქტორებსაც გვიზიარებს: „რადგან საწყისი ყველგან ერთია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საწვავის ტრანსპორტირებას და შენახვას. ამდენად, მძლავრი ლაბორატორიების, ბენზინისა და დიზელისთვის ცალ-ცალკე გამოყოფილი ტრანსპორტის, რეზერვუარების წმენდისა და სხვა მსგავსი მიმართულებები ჩვენი პრიორიტეტია“.

SOCAR Energy Georgia-ს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, კომპანიამ 2017 წელს მთლიანი შემოსავლის სახით 1,455,470,000 ლარი მიიღო, ეს 2016 წელთან შედარებით 11.7%-ით მეტია. რაც შეეხება კომპანიის ჯამურ აქტივებს, ის 1,178,857,000 ლარს შეადგენს.

„საქართველო რეგიონის გამორჩეული, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა. აქ ინვესტორს გრძელვადიანი გეგმების დასახვის შესაძლებლობა აქვს. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის წარმატება, რომელსაც რეგიონის მასშტაბით მივაღწიეთ“, – ასეთია ლევან გიორგაძის პოზიცია.

SOCAR Georgia Petroleum-ის დირექტორი წარმა-

ტებებს შორის საქართველოს საგადასახადო სისტემასაც მოიაზრებს, რომელიც, მისივე შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ტექნოლოგიურად განვითარებულია: „ესტონური მოდელის დანერგვის შემდეგ, საქართველოში ინვესტირება უფრო მიმზიდველი და საინტერესოა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დღგ-ის ავტომატური უკან დაბრუნების სისტემაც, რომელიც საქართველოში უკვე დაინერგა“.

2006 წლიდან მოყოლებული დღემდე, SOCAR Energy Georgia-ს საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი აქვს 1.4 მილიარდი ლარი და დამატებით 1.1 მილიარდი დოლარი ინვესტიციის სახით აქვს დაბანდებული. ჰოლდინგი ზედიზედ ორი წლის განმავლობაში (2007 და 2008 წლებში) ნავთობინდუსტრიაში უმსხვილეს ინვესტორად, საქართველოს ბიუჯეტის უმსხვილეს გადამხდელად და ყველაზე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად სახელდებოდა.

შარშან კომპანიამ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს სისტემური სახე მისცა – შექმნა გრძელვადიანი CSR სტრატეგია, რომელიც 5 ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: გარემოს დაცვა, ახალგაზრდების მხარდაჭერა, უსაფრთხოება, ქალთა გაძლიერება, ხანდაზმულთა და შშმ პირების უფლებების რეალიზაცია.

კომპანიას ყველა ამ მიმართულებით აქვს გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევა, მაგრამ მთავარი – სოციალური პასუხისმგებლობა – ცხადია, საწვავის ხარისხს უკავშირდება. „ყოველთვის მზად ვართ დაუგეგმავი შემოწმებებისთვის, რადგან ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საწვავის ხარისხი ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობებისთვის“, – ამბობს ლევან გიორგაძე და აქვე ამატებს, რომ კომპანიამ საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატის მიღების რთული და ხანგრძლივი პროცესი დაიწყო: „საწვავის რეალიზაცია ჩვენი ძირითადი საქმიანობის სფერო, თუმცა, გულწრფელად, ძალიან ვგულშემატკივრობთ ახალი ტიპის ენერგიების გამოყენებას. ვხვდებით, რამდენად აუცილებელია ელექტრომობილებისა და ჰიბრიდების რაოდენობის ზრდა და სწორედ ამიტომ, ჩვენს სადგურებზე ელექტროდამტენებსაც შეხვდებით“.

კომპანიას აქვს იმის ამბიცია, რომ ბაზარზე უახლესი ტენდენციები პირველმა დანერგოს, ინდუსტრიის განვითარების ლიდერი გახდეს და ამით კიდევ უფრო მეტად განიმტკიცოს ის ღირებულება და პოზიცია, რაც მას გლობალურად და უშუალოდ

100 უმსხვილესი კომპანია

		აქტივები	შემოსავალი	მოგება/ზარალი
86	შპს „მარსი“ (www.crystalbet.com) აზარტული თამაშები	24,530,000	102,742,000	34,060,000
87	შპს „სპორტ ინვესტ“ ავტომობილებითა და ავტონაწილებით ვაჭრობა	76,475,064	50,470,160	-11,587,509
88	„შერატონ ბათუმი“ – სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის“ წარმომადგენლობა საქართველოში HoReCa	106,837,466	18,011,394	2,389,649
89	„კავკასიის ავტოიმპორტი“ ავტომობილებით ვაჭრობა	53,903,413	61,602,996	398,343
90	შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ ავტომობილებით ვაჭრობა	34,849,474	99,183,973	-14,604,192
91	შპს „მეგაკო“ (სადისტრიბუციო კომპანია) დისტრიბუცია	31,124,000	97,961,000	2,024,000
92	„იბერკომპანი ჰგუფი“ დეველოპმენტი	47,016,023	57,543,054	6,001,373
93	შპს „ჰიბე“ (საბითუმო სავაჭრო ქსელი) საბითუმო ვაჭრობა	19,760,000	124,526,000	-2,362,000
94	შპს „აჭარა +“ (სასტუმრო HOLIDAY INN თბილისი) HoReCa	64,061,000	26,646,000	13,572,000
95	შპს „ბარამბო“ კვების მრეწველობა	62,766,000	43,378,000	1,050,000
96	შპს Portal (ნავთობკომპანია) საწვავით ვაჭრობა	17,080,000	102,395,000	4,137,000
97	შპს „აგრიკომი“ კვების მრეწველობა	24,378,358	88,140,624	-1,213,428
98	შპს „ელიტა ბურჯი“ მშენებლობა	55,005,483	44,717,162	-1,842,436
99	შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ ვაჭრობა	30,142,000	67,640,000	5,518,000
100	შპს „აგარის შაქრის კომპანია“ კვების მრეწველობა	18,761,000	90,764,000	-571,000

საქართველოს ბაზარზე აქვს. „ბიზნესის წარმატება უმთავრესად ინვესტორების კაპიტალის ზრდით იზომება, თუმცა აუცილებლად ვითვალისწინებთ იმ პასუხისმგებლობას, რომლითაც ბიზნესი ეკიდება გარემოს და საზოგადოებას“, – ამბობს ლევან გიორგაძე.

SOCAR-ის ღირებულება საქართველოსთვის სრულიად ნათელია: ის ერთი ჩვეულებრივი კერძო კომპანია არ არის – მისი დახმარებით, საქართველომ იპოვა დივერსიფიკაციის გზა და ქვეყნის ენერგეტიკაზე რუსეთის გავლენა საგრძნობლად შეასუსტა. F

„თეგეტა მოტორსის“ წარმატების ისტორია

„თეგეტა“ ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენი წლისაც კაპიტალიზმია საქართველოში“

ავტორი: სალომე ჭიპაშვილი

„განთავისუფლდით არსებული რეალობისგან და იფიქრეთ მომავალზე“ - ეს წარმოსახვითი სავარჯიშოა, რომელსაც ბიზნესკონსულტანტები კლიენტთან პირველ ინტერვიუებში იყენებენ, წარმატებული ბიზნესის მფლობელები და მენეჯერები კი - ყოველდღიურ საქმიანობაში. გამძაფრებულ კონკურენციაში ხშირად ისე არიან ჩართულნი, რომ არ რჩებათ დრო იფიქრონ, სად იქნება მათი ბიზნესი მომავალში. ისინი ყოველდღიურად იზღუდებიან ინდუსტრიის მიმდინარე კონიუნქტურით, თამაშის წესებით და კონკურენტების ინოვაციური შეთავაზებებით. სწორედ ამ მიზეზებისა და დროის სიმცირის გამო, ერთ დროს წარმატებული ბიზნესები წარსულში რჩებიან და „მომავლის კომპანიების“ ადგილს სხვებს უთმობენ, არადა მომავალი მოძველებულ ინდუსტრიებში კი არა, მათ განახლებაშია. სწორედ ამ მიდგომის წარმატებით გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია - „თეგეტა მოტორსი“.

თანამედროვე ქართული ავტოინდუსტრიის ლიდერი კომპანია „თეგეტა მოტორსი“ ისტორიას 1995 წლიდან იწყებს. ეს არის წელი, როდესაც საქართველოში ეროვნული ვალუტა „ლარი“ შემოვიდა და საქართველოს ახალი ისტორია დაიწყო. კომპანიის გენერალური დირექტორი „ფორბსთან“ ინტერვიუში ხუმრობით ამბობს, რომ „თეგეტა“ ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენი წლისაც კაპიტალიზმია საქართველოში“. თავდაპირველად ეს იყო ერთი პატარა მაღაზია, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილს ყიდდა, ეს მაღაზია ახლაც არსებობს და ის „თეგეტას“ ერთ-ერთი ფილიალია. „წითელქუდას“ პატარა მაღაზია ახლა უკვე დიდი ჰოლდინგია, რომელიც ოპერირებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მომხმარებლისა და საკუთარი საქმის ერთგულება, ხარისხზე და სიახლეებზე ორიენტირებულობა, კეთილსინდისიერება და ეფექტიანობა, გუნდურობა და უწყვეტი სწრაფვა სრულყოფისკენ „თეგეტა მოტორსის“ მთავარი ფასეულობებია. ამ ფასეულობების გათვალისწინებით, კომპანია 24 წლის განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და ბაზრის უცვლელ ლიდერად ჩამოყალიბდა. „ერთი მხრივ რისკიანი და მეორე მხრივ განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯებით, ჩვენ ვქმნით წარმატების ისტორიას“. „თეგეტა“ არის ნამდვილი მეწარმე, ეს ნიშნავს, რომ არის შეუპოვარი, მომავალზე და განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნესი, შეიძლება ითქ-

ვას, ეს მის გენეტიკურ კოდშია. ჩვენთან თვითკმაყოფილების გრძნობა აკრძალულია, ყოველ წელს იმ ენერგიით და შემართებით ვიწყებთ, თითქოს ახლა ვიწყებდეთ ბიზნესის კეთებას", - აღნიშნავს „ფორბსთან" ინტერვიუში „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი ავთანდილ წერეთელი.

რატომ დაერქვა კომპანიას „თეგეტა"? - სახელი დამფუძნებელთა სახელების პირველი ინიციალებისგან შემდგარი სიტყვაა, სულ ესაა ამ სახელის პატარა საიდუმლო. „თეგეტა" არის ჭეშმარიტად ქართულ ფესვებზე აღმოცენებული ქართული ბრენდი.

ამჟამად „თეგეტა მოტორსი" ბაზარზე 25 ფილიალით არის წარმოდგენილი, რომელთა მეშვეობითაც კომპანია თავის მომხმარებლებს უნივერსალურ მომსახურებას სთავაზობს.

„თუ გვკითხავთ, როგორი უნდა იყოს „თეგეტას" ბრენდის აღქმა მომხმარებელში, ძალიან მარტივად, ეს მის ბიზნეს კულტურაში, ეს ... ...

„თეგეტა მოტორსმა“ გადაწყვიტა, 2019 წელს უფრო აქტიური იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. რამდენადაც კომპანიის საქმიანობის მასშტაბი მნიშვნელოვნად იზრდება, შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაც იზრდება.

„ჩვენ საკმაოდ დიდები ვართ იმისთვის, რათა ვაცნობიერებდეთ, რომ კომპანიის წარმატების განმსაზღვრელი მხოლოდ ჩვენ არ ვართ და რომ ეს მხოლოდ ჩვენი დამსახურება არ არის. პირველ რიგში ეს ჩვენი მომხმარებლების დამსახურებაა, ასევე საფინანსო ინსტიტუტების, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს განვითარებაში, სახელმწიფოსი, რომელიც ქმნის აუცილებელ გარემოს ბიზნესისთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის მთლიანობაში, რამაც ჯამში „თეგეტას“ წარმატება განაპირობა“, - აცხადებას „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი და „ფორბსთან“ სამომავლო გეგმებსაც აანონსებს: „ჩვენ გვაქვს სურვილი, ეს სიკეთე დავაბრუნოთ საზოგადოებაში ჩვენი აქტიურობით და სხვა კომპანიებსაც მივცეთ ბიძგი, რომ იყვნენ სოციალურად უფრო აქტიურნი. ამ კუთხით წელს წამოვიწყეთ, ვფიქრობ, საინტერესო პროექტი „თეგეტა შენთან ერთად“, რომელშიც გვაქვს ოთხი მიმართულება: „თეგეტა შენთან ერთად განათლებისთვის და დასაქმებისთვის“, „თეგეტა შენთან ერთად უსაფრთხოებისთვის“, „თეგეტა შენთან ერთად ეკოლოგიისთვის“ და „თეგეტა შენთან ერთად ქვეყნის განვითარებისთვის“. წელს ამ მიმართულებებით აქტიურ მუშაობას ვაპირებთ“.

„თეგეტა მოტორსი“ არის კომპანია, რომელმაც უსაფრთხოების კუთხით ISO სტანდარტი მიიღო. ჩვენთვის უსაფრთხოება ყველა მიმართულებით და, უპირველესად, ჩვენი მომხმარებლებისთვის, არის განსაკუთრებული განზომილება. მაღალ დონეზე გვესმის ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი მრავალრიცხოვანი მომხმარებლებისთვის მათი კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების გაწევასთან.

„კომპანია უკვე არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც არის წარმოდგენილი, კონკრეტულად - აზერბაიჯანში. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ჩვენი ნოუჰაუს ექსპორტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია რამდენიმე ქვეყანასთან. მიმდინარე ეტაპზე შესაძლო საპარტნიორო ურთიერთობები ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან მოიაზრება.

რამდენიმე ქვეყანასთან ვმუშაობთ აქტიურად და სულ მალე საზოგადოებასაც ვამცნობთ აღნიშნულზე. ბიზნესის განვითარების იმ პროცესს, რომელიც საქართველოში გავიარეთ, ახლა სხვა ქვეყნებში გავდივართ, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივ ყველაზე მთავარი არის ის, რომ ეს ყოველივე ქართული ბიზნესაქტივობის რეგიონში ქართული ბიზნესის გააქტიურებას უწყობს ხელს, რასაც მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამომავლო წინსვლისთვის“, - აღნიშნავს ავთანდილ წერეთელი.

„თეგეტა მოტორსის“ დახმარებით, ქართველ მომხმარებლებს ორ თვეში შესაძლებლობა ექნებათ, მსუბუქი ავტომობილების კიდევ ერთ ჭეშმარიტად ევროპულ ბრენდს ეზიარონ. ეს ნამდვილად სასიამოვნო სიურპრიზი იქნება ჩვენი ავტომოყვარულებისთვის.

„სულ მალე ბათუმშიც დავასრულებთ უპრეცედენტო მასშტაბის ფილიალის მშენებლობას, ჩვენ „აჭარის თეგეტას“ ვქმნით - ასე ვუწოდებთ მას, პროექტის მაშტაბურობიდან გამომდინარე. ახალი ფილიალი მაისის ბოლოს გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება კომპანიის მომსახურების სრული სპექტრი, ყველა ტიპის ტექნიკის შეკეთებით და გაყიდვით დაწყებული, „თეგეტა აკადემიის“ რეგიონალური ფილიალით დასრულებული. „თეგეტა მოტორსის“ ბათუმის ახალი ფილიალი 4 ჰექტარზეა განთავსებული და აჭარასთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს მოემსახურება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბათუმის ახალ ფილიალში ჯამში 120 ადგილობრივი თანამშრომელი დასაქმდება“, - აცხადებს „თეგეტას“ გენერალური დირექტორი.

„თეგეტა მოტორსი“ „ფორბს ჯორჯიას“ მიერ შედგენილი ყველაზე მსხვილი ქართული კომპანიების ოცეულში მოხვდა. მეტიც, დამსახურებული მე-16 ადგილი დაიკავა.

„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის რეიტინგები, მით უმეტეს ისეთი მაღალი რეპუტაციის მქონე გამოცემისგან, როგორიც „ფორბსია“. ეს აღიარება ჩვენი ბიზნესისთვის ნიშნავს მნიშვნელოვან მხარდაჭერას, იმ მიდგომებისა და თავდადებული შრომის დაფასებას, რომელიც ამ წლების განმავლობაში გავწიეთ, პირველ რიგში ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობაში. ჯანსაღი შეჯიბრი კომპანიებს შორის იწვევს ჩვენი მოტივაციის ზრდას, თუმცა არ იწვევს თვითკმაყოფილებას. ვიქნებით კიდევ მეტად აქტიური, რადგან თანამედროვე ბიზნესში განვითარება სხვაგვარად წარმოუდგენელია. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს გუნდთან ერთად ამას შევძლებთ“.

თამაშის გამსხვილება

Ajarabet-ის საკონტროლო პაკეტის შეძენით Paddy Power Betfair-მა საქართველოში €116-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, რითაც ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორი გახდა. Forbes Georgia პირველი მედიასაშუალებაა, რომელიც კომპანიის დირექტორს, პიტერ ჯექსონს ესაუბრა.

ავტორი: მარიამ ზურაბაშვილი

ორი კომპანიის შერწყმის შედეგად დაფუძნებული ირლანდიური კომპანია Paddy Power Betfair-ის სათავო ოფისი დუბლინში მდებარეობს. მსოფლიოში უმსხვილესი აზარტული თამაშების კომპანია ლონდონის საფონდო ბირჟაზე ირიცხება. გასულ წელს მისმა შემოსავალმა 2.183 მილიარდ ევროს მიაღწია. 2018 წელს კომპანიამ ახალი აღმასრულებელი დირექტორი დანიშნა - 43 წლის პიტერ ჯექსონი, რომელსაც მანამდე არაერთი მაღალი თანამდებობა ეკავა. იგი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციებს იკავებდა Travelex-ში, Worldpay UK-სა და Santander UK Group-ში. მისი დანიშვნის შემდეგ Paddy Power Betfair-მა აქტიურად დაიწყო გაფართოება და ამერიკული კომპანია FanDuel-ის 61%-იანი წილი შეიძინა. მის სახელს უკავშირდება კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ტრანზაქცია, როდესაც 2019 წლის დასაწყისში მათ Adjarabet-ის საკონტროლო პაკეტი დაახლოებით 116 მილიონ ევროდ შეიძინეს და საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორები გახდნენ.

პიტერი სიამოვნებით დათანხმდა შეთავაზებას, რომ ქართულ მედიასთან მისი პირველი ინტერვიუ Forbes Georgia-სთან შემდგარიყო. პიტერის ოფისში შესვლისას ვერ წარმოიდგენთ, რომ ის აზარტული თამაშების გიგანტის CEO-ს ეკუთვნის. მისი პატარა, სადა ოფისი Power Tower-ის პირველ სართულზე მდებარეობს. ასვლისთანავე თქვენს ყურადღებას კუთხეში მიბჯენილი ლურჯი ველოსიპედი მიიქცევს, რომლითაც ის სამსახურში დადის. პიტერის თქმით, ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ დილის საცობებს თავი აარიდოს, და მისი დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდიოს. Paddy Power Betfair-ის სათავო ოფისი თანამედროვე სტილისაა - გახსნილი სამუშაო სივრცე და სპორტული, ყოველდღიური დრესკოდი. გენერალური დირექტორის კაბინეტის მდებარეობაც ხაზს უსვამს კომპანიის სამუშაო კულტურას, რომ საჭიროების შემთხვევაში გენერალური დირექტორი ყველა თანამშრომლისთვის თანაბრად, ადვილად მისაწვდომია, რაც გადაწყვეტილებების მიღებას ამარტივებს. საქართველოს სილამაზით მონუსხული პიტერი თავისი მოგზაურობის შესახებ მომიყვა, რის შემდეგაც დავიწყეთ ინტერვიუს ჩაწერა Paddy Power Betfair-ის ინვესტიციაზე ქართულ Adjarabet-ში და პიტერის მოსაზრებაზე აზარტული თამაშების ინდუსტრიის შესახებ.**ცოტა ხნის**

წინ თქვენ „აჭარაბეთის“ 51%-იანი წილი შეიძინეთ და მომავალი სამი წლის განმავლობაში დარჩენილი 49%-ის შეძენას გეგმავთ. რა ცვლილებებს ელოდებით ამ სამ წელიწადში და რატომ არ გადაწყვიტეთ, რომ „აჭარაბეთის“ 100%-იანი მეწილეები თავიდანვე გამხდარიყავით?

ეს მიღებული პრაქტიკაა. გვინდა, კარგად გავეცნოთ საქართველოს ბაზარს და ჩვენს ადგილობრივ პარტნიორებთან გავამყაროთ ურთიერთობა. შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ დარჩენილი წილი არ შევისყიდოთ და ქართულ მხარეს დავუტოვოთ.

ესე იგი, საბოლოო გადაწყვეტილებას მას მერე მიიღებთ, რაც უკეთ გაეცნობით საქართველოში არსებულ გარემოს?

დიახ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევეწყობით „აჭარაბეთის“ გუნდს, მათთან მუშაობას და როგორ განვავითარებთ კომპანიას.

რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ინვესტირება და რა აზრის ხართ საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოზე?

ჩვენი სტრატეგიიდან გამომდინარე, ჩვენ ვეძებთ ქვეყნებს, სადაც აზარტული თამაშები დაშვებულია და მაღალ დონეზეა განვითარებული. ამით მოგვხიბლა საქართველომაც. თქვენს ქვეყანაში ჩვენ ყველაზე მსხვილი ინვესტორები ვართ, რაც ძალიან გვახარებს. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში საკმაოდ კარგი, დადებითი ბიზნესგარემო დაგვხვდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა გარკვეულ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა სავიზო მხარდაჭერა და ა.შ. რაზედაც მათ თავიანთი მზაობა დაგვიდასტურეს.

სასიამოვნოა ამის გაგება. როგორ მიგაჩნიათ, სხვა ქვეყნებთან შედარებით როგორია ქართული რეგულაციები აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით?

პირდაპირ პარალელს ვერ გავავლებ სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან, რადგან მნიშვნელოვანია ყველა იმ პირობის გათვალისწინება, რომლებიც ინვესტიციას თან ახლავს. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ იმ ფაქტით, რომ „აჭარაბეთს“ კარგი და მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებთან. ეს ნამდვილად დიდ როლს ითამაშებს ბიზნესის უკეთ განვითარებაში.

აპირებთ თუ არა გარკვეული ცვლილებების შეტანას Adjarabet-ის ყოველდღიურ საქმიანობაში და მის მენეჯმენტში?

მეც და ჩემს თანამშრომლებსაც ქართულად მხოლოდ „გამარჯობის“ თქმა შეგვიძლია, ამიტომ Adjarabet-ის საქმიანობაში არანაირი ცვლილების განხორციელებას არ ვგეგმავთ. მნიშვნელოვანია, რომ კომპანია იმან მართოს, ვინც უკეთ ერკვევა ადგილობრივ კულტურაში, აქვს ადგილობრივ ბაზარზე მუშაობის გამოცდილება და უნარი, სწრაფად ამოიცნოს და დააკმაყოფილოს ადგილობრივი მომხმარებლის მოთხოვნები. არჩილ კახიძე, რომელიც Adjarabet-ის ხელმძღვანელია, წარმოუდგენლად ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ კომპანია კიდევ უფრო წარმატებული გახადოს. ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ მას და მოხარულები ვართ მასთან მუშაობით. Paddy Power Betfair ყველანაირად შეუწყობს ხელს ჩვენს ქართველ პარტნიორებს, რომ ჰქონდეთ წვდომა ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებზე, რომ განავითარონ ბიზნესი და კიდევ უფრო წარმატებული გახადონ ის.

Paddy Power Betfair უმეტესწილად ცნობილია თავისი მოღვაწეობით ონლაინ სათამაშო ბიზნესში. Adjarabet-ი საქართველოში ონლაინბიზნესის გარდა ფლობს კაზინოებსაც. აპირებთ თუ არა გააგრძელოთ კაზინოების ოპერირება?

დიახ, მართალი ხართ. ჩვენ ონლაინბიზნესში საკმაოდ წარმატებულები ვართ. ამას გარდა, ვფლობთ 650 მაღაზიას გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში, სადაც მაღაზიები გვაქვს, ჩვენს კონკურენტებზე ბევრად უფრო წარმატებულები ვართ. რაც შეეხება კაზინოებს საქართველოში, ჩვენ გავაგრძელებთ კაზინოების მართვას, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი კონტრაქტის ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოში კარგი საგადასახადო სისტემაა, დაბალია ბიზნესის ოპერირების ხარჯიც. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია საქართველოდან გახვიდეთ სომხეთის ბაზარზეც, ხომ არ გიფიქრიათ რეგიონალური ოფისის საქართველოში გახსნაზე?

ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ოფისი გვაქვს და ათასობით ადამიანი გვყავს დასაქმებული. ოფისის ადგილს იმის მიხედვით ვარჩევთ, სადაც უფრო მეტად კვალიფიციური მუშახელია. მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ნანახმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თქვენ ბევრი შესაძლებლობა გაქვთ და ბევრი ნიჭიერი, განათლებული მუშახელი გყავთ. მეტიც, აუცილებლად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას, რომ „აჭარაბეთის" კვალიფიციური თანამშრომლების უნარები ჩვენს ბიზნესკომპანიებს მოვახმაროთ.

უმსხვილესმა საერთაშორისო კომპანიამ – GVC-მ, რომელიც მანის კუნძულებზეა რეგისტრირებული, ქართული Crystalbet-ი შეიძინა. მიიჩნევთ თუ არა მათ მთავარ კონკურენტად საქართველოში?

საქართველოში ბევრი წარმატებული ბიზნესია. Crystalbet-ი ნამდვილად ძლიერი მოთამაშეა. საერთაშორისო კომპანიები შემოდიან საქართველოს ბაზარზე და აფართოებენ თავიანთ კომპანიებს, ეს გარდაუვალი პროცესია. ამიტომ ჩვენი მთავარი სტრატეგიაა, რომ მომხმარებელი ყოველთვის ბედნიერი დავტოვოთ და შევქმნათ ისეთი პროდუქტი, რომელიც ზუსტად პასუხობს მის მოთხოვნას. მომხმარებელზე ორიენტირებულობა ერთადერთი საშუალებაა, რომ კონკურენციას გაუძლო და მეტი მოთამაშე მოიზიდო.

როცა Paddy Power Betfair-ის საქმიანობას ვეცნობოდი, ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რომ ძირითადად კომპანიების გაერთიანებით ფართოვდებით. რა არის ამის მიზეზი?

Paddy Power and Betfair 2016 წლის გაერთიანების შედეგად შეიქმნა, ამის შემდეგ ჩვენ არაერთი კომპანია შევიძინეთ, მათ შორის განვახორციელეთ ინვესტიცია Adjarabet-ში. რა თქმა უნდა, გვინდა, ჩვენი ბიზნესი ორგანულად გაიზარდოს, რაც ბევრ ქვეყანაში მოვახერხეთ, თუმცა კომპანიების შერწყმის გარეშე ვერასდროს ვერ მივაღწევდით იმავე პოზიციებს, რასაც ახლა მსოფლიო აზარტული თამაშების ინდუსტრიაში ვფლობთ. საქართველო ამის ნათელი მაგალითია, თქვენ ბევრი ძლიერი სათამაშო ბიზნესი გაქვთ, სადაც Paddy Power Betfair-ის შესვლით და დამოუკიდებელი ბრენდის განვითარებით ვერასდროს ვერ მივაღწევდით Adjarabet-ის დღევანდელ პოზიციებს.

როგორია თქვენი გაფართოების გეგმა და რა კრიტერიუმებით აფასებთ ქვეყნებს?

ჩვენ გვინდა, გავამყაროთ ჩვენი კომპანია ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში. ამის გარდა Paddy Power Betfair-ი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ოპერირებს და ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ კომპანია სწრაფად იზრდება არსებულ და ახალ ბაზრებზე. ამისთვის ჩვენ ვქმნით ახალ პროგრამებს, ახალ საგადასახადო საშუალებებს, ვაწესებთ სხვადასხვა ფასს და ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ბიზნესი სათანადოდ მოერგოს ადგილობრივ მოთხოვნებს ყველა ქვეყანაში. ამის გარდა ვკონცერტრირდებით ამერიკაზე და გვინდა, ყველა შესაძლებლობა წარმატებით გამოვიყენოთ. დაბოლოს, ჩვენი ამოცანა – ლიდერი პოზიციების დაკავებაა. ბიზნესის გაფართოებამდე ყოველთვის წინასწარ ვსაზღვრავთ, თუ რა სარგებელი მოაქვს ამ გაფართოებას ჩვენი კომპანიისთვის და თუ რამდენად კონკურენტუნარიანია გარემო.

დღეს მომხმარებლის ინფორმაციაზე წვდომა საგრძნობლად განაპირობებს ბიზნესის წარმატებას. ყოველდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვა და მისი კეთილსინდისიერად მოპოვება. აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ბლოკჩეინის ტექნოლოგიების გამოყენებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ Paddy Power Betfair-ს აქვს წვდომა ათასობით მომხმარებლის პირად ინფორმაციასთან, როგორიც არის: საბანკო მონაცემები და ა.შ., რას ფიქრობთ ბლოკჩეინის დანერგვაზე თქვენს ბიზნესში?

რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს წვდომა უამრავ პირად მონაცემთან, თუმცა ჩვენ ვაკმაყოფილებთ ყველა GDPR-ის მონაცემებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დატა სწორად და სათანადოდ იყოს დაცული. რა თქმა უნდა, ბლოკჩეინ-ტექნოლოგიები ბევრგან გამოიყენება. თუმცა ჯერ არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ბლოკჩეინს ისე სწრაფად და იმხელა ინფორმაციის რაოდენობასთან შეუფერხებლად

შეუძლია მუშაობა, როგორიც ჩვენს ბიზნესშია.

მსოფლიო ბანკის მიხედვით, ჩვენ მსოფლიოში უმსხვილესი ბიტკოინის მწარმოებელი ქვეყანა ვართ. საქართველო ბიზნესს გამარტივებულ რეგულაციებს და თავისუფალ ეკონომიკურ ზონას სთავაზობს ბიტკოინის განსავითარებლად. აპირებთ თუ არა, რომ ბიტკოინი თქვენს ბიზნესში გამოიყენოთ?

რა თქმა უნდა, ჩვენ მოქნილები უნდა ვიყოთ, რომ უზრუნველვყოთ ყველა გადახდის საშუალება, რაც ჩვენს მომხმარებელს ექნება. ჩვენს კონკურენტებს ჰქონდათ მცდელობა, რომ ბიტკოინები დაენერგათ ბიზნესში, თუმცა ამ ეტაპზე მოთხოვნა არ არის მაღალი და ჩვენ არ განვიხილავთ ამ შესაძლებლობას.

რას ფიქრობთ, რა გავლენა ექნება მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებს სათამაშო ინდუსტრიაზე?

ბევრი საინტერესო მიმართულებაა ამ მხრივ, მაგალითად, esports-ი. ზოგადად, ჩვენ ძალიან ინოვაციური ბიზნესი ვართ და არაერთი გამოგონება გვაქვს აზარტულ თამაშებში. მაგალითად, ჩვენ გამოვუშვით „cash out“. ვიმედოვნებ, რომ თუ რამე წარმატებული ინოვაციები იქნება, ჩვენ პირველები დავნერგავთ მათ.

როგორ ახალისებთ ანტრეპრენიორობას და კვლევა-განვითარებას კომპანიაში?

ჩვენი კომპანია კონცენტრირებულია მომხმარებელზე. ეს ხშირად იმ ამოცანების ამოხსნას ნიშნავს, რაც აქამდე შეუძლებელი გვეგონა. მაგრამ მომხმარებლის გამო გვიწევს ამ სირთულეების გადალახვა და მათ მიერ დაკვეთილი პროდუქციის შექმნა.

რა არის მთავარი აზარტული თამაშების ინდუსტრიაში იმისთვის, რომ მიაღწიოთ და შეინარჩუნოთ კონკურენტუნარიანობა? ეს მეტწილად ინტელექტუალური საკუთრების ფლობასა და დაცვასთანაა დაკავშირებული თუ ფსონების დასადებად საიტების სიმარტივეზეა დამოკი-

დებული?

ჩვენი გამოცდილებით, ყველა ბაზარზე მთავარია კარგი ხარისხის პროდუქციის ქონა. Paddy Power Betfair ბრენდისთვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი მარტივად გამოსაყენებელი და სწრაფი იყოს. ამ მიდგომას ქართული Adjarabet-იც იზიარებს.

ზოგადად არის ტენდენცია, რომ ადამიანები ჯანსაღი ცხოვრების წესზე გადავიდნენ. ნაკლები ალკოჰოლი დალიონ, არ მოწიონ და თავი დაანებონ მავნე ჩვევებს. აისახება თუ არა ეს ტენდენცია თქვენს აზარტული თამაშების ინდუსტრიაზე?

ჩვენ ვქმნით გასართობ საშუალებას მილიონობით ადამიანისთვის. ზოგი დამოკიდებულია თამაშებზე, ისევე როგორც ბევრი ადამიანი დამოკიდებულია ჭამაზე. ყველაფერში ზომიერების დაცვაა მთავარი.

გაქვთ თუ არა რამე დამცველი მექანიზმი, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები გამოავლინოთ?

დიახ, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ რიგ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც დამოკიდებული მოთამაშეების იდენტიფიცირებას ვახდენთ და მათ დახმარებას ვუწევთ. ვურეკავთ ტელეფონზე, ვწერთ წერილებს ელექტრონულ მისამართზე და ყველანაირად ვცდილობთ, ამ დამოკიდებულების დაძლევაში დავეხმაროთ.

რა არის აზარტული თამაშების მთავარი გამოწვევა?

ერთი მხრივ, ამერიკული ბაზარი ნელ-ნელა უფრო თავისუფალი ხდება აზარტული თამაშებისთვის. მისი ბაზრის სიდიდისგან გამომდინარე, ეს გაფართოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. მეორე მხრივ, ჯერ კარგად არ არის განვითარებული ონლაინფსონები, ბაზრის მხოლოდ 10% არის ათვისებული, რაც კომპანიებს დიდი განვითარების პოტენციალს აძლევს. ვიმედოვნებთ, რომ ყველა მომხმარებელს, ვისაც სურვილი ექნება დაცულ, ვირტუალურ რეალობაში დადოს ფსონები, ჩვენი კომპანია დაეხმარება.

ქართველებს ძალიან გვიყვარს პოლიტიკა. ბევრს მოეწონება ინიციატივა, რომ ფსონები დადოს ამა თუ იმ კანდიდატზე არჩევნების დროს და ამ გზით ფული მოიგოს. თქვენ უკვე შექმენით ასეთი პრეცედენტი ამერიკაში, როდესაც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველს ჰილარი კლინტონზე და დონალდ ტრამპზე შეეძლო ფსონების დადება. როგორ აფასებთ კანდიდატების მოგების ალბათობას?

ზუსტად იმავენაირად, როგორც ამას ფეხბურთის თამაშზე ან ცხენების დოღზე ვაკეთებთ. მომხმარებელი უნდა გადაიხაროს რომელიმე კანდიდატის მხარეს.

პიტერ, თქვენ 43 წლისთვის საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეთ. წამყვანი პოზიციები გეკავათ Lloyds Bank-ში, Halifax Bank of Scotland-ში, McKinsey & Company-ში და სამი უმსხვილესი კომპანიის გენერალური დირექტორი იყავით. როგორ მიაღწიეთ ასეთ სიმაღლეებს?

ბევრი მუშაობით და იღბლით. რაც უფრო მეტს შრომობ – უფრო იღბლიანი ხდები.

თქვენი აზრით, რა არის დღეს სამუშაო ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი უნარი?

ის, რომ იცოდე, თუ როგორ გამოიძინო თვითმფრინავში (იცინის). ალბათ მიზანდასახულობა და კომუნიკაციის უნარი. მნიშვნელოვანია, სწორად განსაზღვრო კომპანიის პრიორიტეტები და უზრუნველყო ადვილი კომუნიკაცია ყველა თანამშრომელს შორის, რომლებმაც ზუსტად გაიგეს, რა არის კომპანიის სამომავლო მიზანი და ისეთი ძლიერი გუნდი შექმნა, რომელიც ბიზნესს ამ მიზნამდე წარმატებულად მიიყვანს.

დაბოლოს, გვითხარით, როგორი იყო თქვენი მოგზაურობა საქართველოში?

საქართველო ულამაზესი ქვეყანაა. ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, დილით სარბენად გამოვედი და აღფრთოვანებული დავრჩი თბილისის სილამაზით. თქვენ შესანიშნავი მასპინძლობის კულტურა გაქვთ და, რა თქმა უნდა, სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატავად, თუ როგორ მომეწონა ქართული ღვინო და კერძები. დიდი სურვილი მაქვს, კიდევ გესტუმროთ. F

მამუკა ხაზარაძე ანაკლიის შესახებ

საუკუნის პროექტად მონათლული ანაკლიის პორტი დღეს მსოფლიოს უმსხვილესი ინვესტორების მოძიების პროცესშია. მანამ, სანამ უცხოელი პარტნიორები პროექტში ასობით მილიონი დოლარის ჩადების გადაწყვეტილებას მიიღებენ, ღიად რჩება სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები – საინვესტიციო ბანკები მათი ნაწილის შეცვლას ითხოვენ. ამავე დროს კი ტენდერის გამოცხადებიდან და პორტის მშენებელი კომპანიის დასახელებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, სახელმწიფო სტრუქტურების თავდასხმისა თუ კრიტიკის ობიექტი ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ხდება. ანაკლიის პორტის, 11 წლის წინანდელი საბანკო ტრანზაქციის ირგვლივ მიმდინარე გამოძიების, მიღებული და პასუხგაუცემელი წერილების შესახებ დეტალებს მამუკა ხაზარაძე ექსკლუზიურად Forbes Georgia-ს უყვება.

ავტორი: გიორგი ისაკაძე

ანაკლიის პროექტში თქვენ და სახელმწიფო პარტნიორები ხართ. ეს დღეს ღიმილის მომგვრელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც რეალურად პარტნიორებს შორის ხდება. რამდენად მიმდინარეობს ან მიმდინარეობდა ყველა საკითხის განხილვა სამუშაო რეჟიმში?

გულწრფელად გეტყვით, რომ წინა მთავრობის დროს ჩვენ ძალიან ბევრი სამუშაო შეხვედრა გვქონდა, მსგავსი პროექტები არ შეიძლება განხორციელდეს მუშა პროცესის მიმდინარეობის გარეშე. ანაკლიის პორტი ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტია. სამწუხაროდ, მსგავსი პროექტების დახვეწილი კანონმდებლობა ჯერ არ გვაქვს, მაგრამ ეს არის პირველი მცდელობა, რომ სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურამ ერთობლივად განახორციელოს ქვეყნისთვის სასიკეთო პროექტი. სამწუხაროა ის, რომ მე ამ პროექტთან დაკავშირებით მხოლოდ ერთხელ შევხვდი ინფრასტრუქტურის მინისტრს, როდესაც ის თანამდებობაზე დაინიშნა, მას შემდგომ კი ამ თემაზე ჩემი მონაწილეობით შეხვედრა არ გამართულა. მსგავსი შეხვედრა არ გამართულა არც პრემიერთან და არც ეკონომიკური გუნდის წევრებთან, რაც ძალიან სამწუხაროა. ჩემი აზრით, ამ პროცესში სახელმწიფო უნდა იყოს ძალიან მოწადინებული, მას შეიძლება პრეტენზიაც ჰქონდეს, მაგრამ ეს უნდა იყოს მუშა პროცესი პარტნიორებს შორის. მანამ სანამ მაღალი ტრიბუნიდან მოხდება რაიმეს გაჟღერება, მისი განხილვა სამუშაო პროცესში უნდა მოხდეს.

არის თუ არა ეს ყველაფერი დამოკიდებულების მაჩვენებელი? თქვენ თქვით, რომ პირობითად მეტი ჩართულობა იყო კვირიკაშვილის მთავრობასთან და ნაკლები – ბახტაძის კაბინეტის წევრებთან. ეს პროექტი რჩება, საჯარო მოხელეები იცვლებიან. დღევანდელი საჯარო მოხელეები კი ღიად საუბრობენ იმაზე, რომ პროექტის მონაწილე პირებიც შეიძლება შეიცვალონ. მე პირადად ვერ ვხედავ სამუშაო პროცესს, ეს ყველაფერი ზედაპირზეა ამოსული.

გეთანხმებით, მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა შეიცვალოს. უნდა გადავდოთ პიროვნული საკითხები და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ პროცესი უნდა დაბრუნდეს სამუშაო მდგომარეობაში. ჩვენს მოქალაქეებს არ აინტერესებთ მტყუან-მართალი, მათ აინტერესებთ სამუშაო ადგილები, მათ ინტერესშია, რომ ქვეყანას ჰქონდეს სერიოზული პორტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გახსნის იმ კარიბჭეს, რომელიც ჩვენ ისტორიულად ჩაკეტილი გვაქვს. ჩვენ ვერ ვემსახურებით შავ ზღვაზე მცურავი გემების 75%-ს, რადგან მთელი საპორტო ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოძველებულია. მოქალაქეებს რამდენიმე თვის შემდეგ აღარ დააინტერესებთ, ვის რა პოზიცია ჰქონდა, მათ აინტერესებთ საქმიანი მიდგომა. ჩვენი მიდგომა ყოველთვის იყო საქმიანი, ჩვენ მზად ვართ ობიექტური კრიტიკისთვის, მაგრამ სახალხოდ მოცემულ დაუმსახურებელ შენიშვნებს ვერ მოვითმენთ. ერთი მხრივ, მთავრობის ნარატივი არის ის, რომ ხაზარაძე არის ცალკე თემა და თურმე მე არანაირი კავშირი არ მაქვს ჩემს ბანკთან, რომელიც 27 წელი ვაშენე, მეორე მხრივ კი თურმე ანაკლიას ვაშენებ მარტო მე. ეს არასწორია, ანაკლიას მარტო მე არ ვაშენებ, ანაკლიას აშენებს კონსორციუმი, რომელშიც მე ერთ-ერთი მონაწილე ვარ. ამ კონსორციუმში ძალიან სერიოზული კომპანიები შედიან.

რა გზავნილები მოდის დღეს მათგან?

დღეს ჩვენი პარტნიორების დაკნინება და მათ მიერ გაკეთებული საქმეების ცალყბად მოხსენიება ხდება. ისინი ამ მესიჯებს იღებენ როგორც მთავრობის გზავნილს. ეს მათთვის არის დამოკიდებულების მანიშნებელი. მაგალითად, SSA MARINE 250 პორტს ამუშავებს მთელ მსოფლიოში, ჩვენთან კი დაყვანილია ისეთ დონეზე, რომ თითქოს გზავნის ხუთ ადამიანს, ქმნის რაღაც ადგილობრივ შპს-ს და ამ ფორმით თურმე ეს არ არის სახელმწიფოსთვის მისაღები. ძალიან რბილად რომ ვთქვა, ეს არ არის სწორი მიდგომა ინვესტორებისადმი.

კიდევ ერთი თემა, რაც ქალბატონმა ვიცე-პრემიერმა ახსენა, არის ის, რომ მათ არ აკმაყოფილებთ „კონტი ჯგუფის“ ჩართულობა პროექტში.

საქმე გვაქვს ინფორმაციის ნაკლებობასთან. „კონტი ჯგუფი“ არის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანია, რომელიც პროექტის აქციონერია. „კონტი ჯგუფის“ მფლობელი კურტ კონტი ჩემი ჯგუფელია, რომელთანაც მე წლების განმავლობაში ძალიან კარგი ურთიერთობა მაკავშირებს და ის თავად იყო საქართველოში ინვესტიციის განხორციელების ერთ-ერთი ინიციატორი. როდესაც აქციონერი ამავე დროს სამშენებლო კომპანიის მფლობელიც არის, საერთაშორისო წესები მოითხოვს, რომ ინტერესთა კონფლიქტის აცილების მიზნით, ამავე კომპანიამ არ ააშენოს პორტი. სწორედ ამიტომ ჩვენ საერთაშორისო ტენდერი გამოვაცხადეთ, რომელშიც მონაწილეობა ექვსმა საერთაშორისო სამშენებლო კომპანიამ მიიღო. ამჟამად დარჩენილია ორი კომპანია, მათგან ერთი თურქულია, მეორე კი ფრანგული. ჩვენ სერიოზული ბიზნესმენები ვართ და კონტი შეცდომას ვერ დაუშვებდა ამ ტენდერში მონაწილეობით. კონტი არის ისეთივე თანაბარი პარტნიორი და პროექტის მონაწილე, როგორიც თიბისი ჰოლდინგი. არსად წასულა არც კონტი, არსად წასულა არც SSA MARINE-ი. ასევე, რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ხელი მოვაწერეთ Hyundai-სთან ხელშეკრულებას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გემთმშენებელი კომპანია. ქართველები უნდა დავბრუნდეთ საზღვაო ბიზნესში და უნდა გვქონდეს ჩვენი გემთმშენებლობა, გემთშესაკეთებელი ინფრასტრუქტურა და ასე შემდეგ, Hyundai-ი კი ამისთვის იდეალური პარტნიორია.

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ აპრილის დასაწყისში, როდესაც პროექტის ძირითადი პარტნიორები ჩამოვლენ საქართველოში, ფაქტობრივად გადაწყდება ანაკლიის პროექტის ბედი?

სამწუხაროა, რომ ბედის გადაწყვეტა დაუკავშირდა სახელმწი-

ფოსთან ხელშეკრულების ერთ პუნქტს. ამ შემთხვევაში საზოგადოება შეცდომაში იქნა შეყვანილი. არსებული 8 პუნქტიდან 7-ზე ბანკებსა და სახელმწიფოს შორის ზეპირი შეთანხმება არსებობს. მე ერთხელ ვთქვი, რომ ჩვენ ხელი მოვაწერეთ კაბალურ ხელშეკრულებას. კერძოდ, კვირიკაშვილის მთავრობის დროს სახელმწიფოს დაქირავებული ჰყავდა ამერიკული იურიდიული კომპანია Decers-ი, ჩვენ მხარეს კი Baker Mckenzie წარმოადგენდა. ტენდერის გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ მოლაპარაკებები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. ბოლოს დადებულ ხელშეკრულებაში, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს ინტერესები გადამლაშებულიც იყო. ჩვენმა იურიდიულმა კომპანიამ გვითხრა, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა არ შეიძლებოდა, რადგან მსგავსი პირობებით ფულს ვერ მოვიზიდავდით.

მარტივად რომ ვთქვათ, კვირიკაშვილის მთავრობამ უფრო მეტად, თავისი იურიდიული მრჩევლის საშუალებით, გაითვალისწინა სახელმწიფოს ინტერესი იმ ხელშეკრულებაში, რომელსაც თქვენ ნაკლები ენთუზიაზმით მოაწერეთ ხელი.

ნაკლები ენთუზიაზმით არა, ჩვენ პრაქტიკულად დავდექით არჩევანის წინაშე. ჩვენ რომ მაშინ უარი გვეთქვა, პროექტი ჩავარდებოდა. პიროვნულად მე ავიღე ჩემს გუნდთან ერთად პასუხისმგებლობა იმ რისკზე, რაც კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე არსებობდა. როდესაც ბანკებმა დაასრულეს ე.წ. Due Diligence-ის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, მათ ჩაიხედეს დოკუმენტაციაში და სწორედ ამ 8 პუნქტის შეცვლა ითხოვეს. ისინი შეხვდნენ მთავრობას, 8-დან 7 პუნქტზე ვერბალური შეთანხმება მოხდა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არ არის კონსორციუმის მოთხოვნები. ეს არის მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, რომლებიც 400 მილიონ დოლარს გამოყოფენ.

საინვესტიციო ბანკების მისამართით გაკეთებული განცხადებები ასეთია: მენეჯმენტი არის არაკვალიფიციური, კონსორციუმს აკლია გამოცდილება, პრობლემურია სესხის გარანტიაში ჩადგომა და ა.შ. მეორე მხრივ, მე მახსოვს ლევან ახვლედიანის განცხადებაც, რომ „ინვესტორებმა შეცვალეს ტონი და უფრო სხვა, ლოიალური პირობებით წავიდნენ", ანუ ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფოს მხრიდან. იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება მომავალში, უმადური საქმეა, თუმცა, თუკი ვერ მოხდა შეთანხმება ერთ პუნქტზე, კონკრეტულად კი სახელმწიფოს მხრიდან გარანტიაზე, რომელიც წელიწადში $50 მილიონამდე თანხას მოიცავს, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ პროექტი ინვესტორებისთვის ვერ შედგება?

მკაფიოდ მინდა განვმარტო, რომ აქ არ არის საუბარი სახელმწიფო გარანტიაზე 400 მილიონი დოლარის საპირისპიროდ. აქ არის ლაპარაკი ტრაფიკის გარანტიაზე და მთელ პოლიტიკაზე, რომლის ბერკეტიც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს, ეს არის სატარიფო პოლიტიკა, ეს არის სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების ნაწილი, ეს არის რკინიგზის გამართული მუშაობის საკითხი, ეს არის გზისა და რკინიგზის დროული მშენებლობის საკითხი. ბანკებს აქვთ კითხვა: „როდესაც ჩვენ ამხელა ინვესტიციებს ვდებთ და რისკზე მივდივართ, ამ დროს აცხადებთ, რომ ფოთში აშენებთ ღრმაწყლოვან პორტს, გთხოვთ აგვიხსნათ, ეს მართლა ღმაწყლოვანი პორტია თუ ერთ-ერთი ტერმინალის რეკონსტრუქცია?" ამაზე პასუხი ჯერ არ მიგვიღია. თუ სახელმწიფო აშენებს ორ ღრმაწყლოვან პორტს, მაშინ ბანკი გვეკითხება, მე რაში გჭირდები? ანაკლიიდან ოთხ კილომეტრში კონფლიქტის ზონა გვაქვს, უბრალოდ უნდა წარმოიდგინოთ, 100-მეტრიანი მცოცავი ანექსია რომ მოხდეს, როგორი იქნება იმ ინვესტორების განწყობა, რომლებიც დღეს ანაკლიაში მონაწილეობენ და რისკს იღებენ...

> სახელმწიფოს ვერ მოუგებ, თან ისეთ ქვეყანაში, სადაც სამართალი მართლა საძებნელია.

30-წლიანი ბიზნესგამოცდილებით მითხარით, რა შანსი რჩება, რომ ინვესტორები გამოგყვნენ პროექტში?

კარგი კითხვაა. ენთუზიაზმი ჯერ არ განელებულა, მთელ ამ ფონს აქვს ერთი კარგი მხარე – მოხდა საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოება მიხვდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა ამავე დროს ჩვენი ინვესტორები არანაირ ნაბიჯს არ გადადგამენ მანამ, სანამ ოფიციალური პოზიცია არ დაფიქსირდება სახელმწიფოს მხრიდან გარანტიაზე. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოზე გასავლელი ტვირთი არის იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა. ეს არის დისკონტირებული ტვირთების რაოდენობა. გარანტიის თანხის მოძიება სახელმწიფოს ფონდების მეშვეობითაც შეუძლია. თუ გარანტიის გამოყენება საჭირო გახდება, მისი კონვერტირება ხდება სესხის სახით და კონსორციუმი იღებს ვალდებულებას, რომ გაისტუმრებს მას.

საქართველოს პორტებში, მიუხედავად იმისა, რომ ფოთის პორტი წელიწადში 100 დღე დაკეტილია, საკონტეინერო ტვირთების მოცულობა იზრდება 20%-ის ფარგლებში. 2020 წლისთვის ჩვენი პორტები პრაქტიკულად პიკამდე იქნება მისული. ანაკლია კი სწორედ ამ დროს შემოდის ბაზარზე. არსებულ პორტებს შორის ტვირთების გადანაწილება მოხდება. ერთ მაგალითს მოვიყვან: როდესაც ქუჩაზე ერთი ფეხსაცმლის მაღაზიაა, მისი ვაჭრობა დღეში შეიძლება, სიტყვაზე, 1000 ლარი იყოს. თუ იმავე ქუჩაზე 15 ფეხსაცმლის მაღაზიაა, იმ მაღაზიის ვაჭრობა 2000 ლარი იქნება. რადგან თუ ფეხსაცმლის ყიდვა გინდა, მხოლოდ იმ ქუჩაზე წახვალ.

ჩვენ ცოტა თვალები უნდა გავახილოთ, არ უნდა ჩავიკეტოთ პრიზმაში, სადაც ფოთი, ანაკლია და ბათუმი კონკურენტები არიან. მაშინ ასეთივე წარმატებით შეიძლება ითქვას, რომ 16 ბანკი არ უნდა იყოს საქართველოში.

წარმოვიდგინოთ ყველაზე ცუდი სცენარი: თუკი აპრილის დასაწყისში ვერ მოხდება შეთანხმება, ამ შემთხვევაში მაინტერესებს თქვენი განცხადების შეფასება: „მე არ გავალ ამ პროექტიდან ისე იოლად, როგორც ეს მოხდა თიბისი ბანკის ბორდის შემთხვევაში".

ჩვენ გარკვეული გადავადებები გქვონდა, მაგრამ ეს გადავადებები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ არანაირი ჯარიმა სახელმწიფოს მხრიდან ჩვენ არ მიგვიღია. როდესაც ჩვენ გვეპატიჟა რაღაც, სახელმწიფომაც მოგვთხოვა თავის მხრივ რაღაც ვალდებულებების გადავადება. ამის დოკუმენტურად ჩვენებაც შეგვიძლია. დამოკიდებულება, რომ მე ვარ სახელმწიფო მოხელე, შენ პატარა ხარ და მე შემიძლია შენზე ვისაუბრო და შენ არ შეგიძლია ჩემზე ისაუბრო, არაა სწორი.

ამ ნაწილში გაგიყვანეს, როგორც „პრივილეგირებული ინვესტორი"?

ალბათ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბიზნესში ჩემი 30-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ვერ ნახავთ ვერც ერთ კონტრაქტს, რომელიც ჩვენ პირდაპირი წესით მოგვეყიდა და რომელიც ჩვენ ან აუქციონზე, ან კონკურენციის პირობებში არ მოგვეპოვებინა. თუ რაღაცას უმტკიცებ სახელმწიფოს და გეთანხმება, მაშინ ამის დამადლება აღარ უნდა მოხდეს. ანაკლიის შემთხვევაში მათ არაერთ პირობას დავეთანხმეთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, არანაირი ჯარიმა ან წერილი არ მიგვიღია, რომ მიგვეღო – ამასაც ხმამაღლა ვიტყოდით.

როგორ მიმდინარეობს ამ ეტაპზე ანაკლიის კონსორციუმსა და მთავრობას შორის ურთიერთობა?

მე ვიცი, რა არის პარტნიორობა ბიზნესში. ესაა მხარისმხარ ერთად ყოფნა. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ეს ჩემი ემოციური განცხადებაა, თუმცა მსგავს პროექტებში ემოციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს უნდა იყოს ყოველდღიური სატელეფონო ურთიერთობა და ყოველდღიური მიმოწერა. სერიოზული პრობლემაა, როდესაც მინისტრი არ გამოდის კავშირზე და ნამყოფიც კი არ არის ადგილზე, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე დიდი საზღვაო სამუშაოები ჩატარდა. მე არ ვსაუბრობ ჩასაფრებული ადამიანის პოზიციიდან, 30 წელია, ბიზნესში ვარ და ეს ქვეყანა მიყვარს. მე არავის არ ვეჯიბრები იმაში, თუ ვის უფრო მაგრად უყვარს ქვეყანა, გული მწყდება, რომ რაღაცები ისე არ კეთდება, რომ ქვეყანა წინ წავიდეს.

როდის იყო სახელმწიფო ანაკლიის პროექტის ფარგლებში პარტნიორი?

წინა მთავრობის დროს ჩართულობა უფრო მეტი იყო, რადგან კონტრაქტს ვაფორმებდით. რა კონტრაქტამდეც მივედით, უკვე ავხსენი. იცით, ბოლოს რა გვითხრეს? ინგლისურად კარგად ჟღერს Take or leave it! ანუ აიღე ან წადი!

ანუ მათ კარგად მოახერხეს ვაჭრობა სახელმწიფოსთვის სასარგებლო პირობებზე?

მე ვთვლი, რომ მათ გადაამეტეს. პროექტი გახადეს არასაბანკო პროდუქტი, რომლის ცვლილებების პროცესში ვართ ახლა. ზეპირად მახსოვს ის დიალოგი, რომელიც მე Baker & Mckenzie-თან მქონდა. მათ პირდაპირ მითხრეს: ამ კონტრაქტზე ჩვენ რეკომენდაციას არ გაძლევთ, რადგან ამით თქვენ ფულს ვერ მოიზიდავთო.

მართალია, რომ თქვენ მიხვედით ხელისუფლებასთან და პარტნიორობა შესთავაზეთ?

დიახ, ჩვენ მივედით ხელისუფლებასთან. ტენდერში დარჩენილი იყო ორი მხარე, ეს იყო Power China და ჩვენი კონსორციუმი. გვსურდა სინერგიის შექმნა. რაც უფრო მეტი ქვეყნის დროშა იქნება ანაკლიაში, მით უფრო მეტი სტაბილურობა და მიმზიდველობა ექნება პროექტს. მთავრობას შევთავაზეთ, რომ კონსორციუმის ერთი მესამედი – ამერიკელების, ერთი მესამედი – ჩინელების, ერთი მესამედი კი ქართველების ყოფილიყო. ამ საკითხზე პასუხი ვერ მივიღეთ.

აშენდება თუ არა პორტი დარჩენილ პერიოდში? ანუ 2020 წელს მიიღებს თუ არა ანაკლია პირველ გემს?

სამშენებლო პროცესი არ გაგვიჩერებია. იურიდიულ ენაზე რომ ვთქვა, ჩვენ შევასრულეთ წინამოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო ენაზე ამას ჰქვია 70 მილიონი დოლარის ინვესტირება და პორტის მშენებლობისთვის მომზადება. დღეს ანაკლია პრაქტიკულად ყველაზე ღრმაწყლოვანი პორტია, თუმცა ბეტონის თვალსაზრისით არაფერი არ არის აშენებული. ფუნდამენტი რომ არ გაგვემზადებინა 8-მეტრიანი, რომელსაც, სამწუხაროდ, ტალახს უწოდებენ, ჩვენ პორტის მშენებლობას ვერ დავიწყებდით. ჩვენ ეს სამუშაოები ჩვენი რისკით გავწიეთ, პროექტის ფინანსური საკითხების მოგვარებამდე.

ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც მინდა შევეხო: სახელმწიფოს მოთხოვნა იყო, რომ ჩვენ უნდა აგვეშენებინა პორტი, რომელსაც ორი გემმისადგომი ექნება. გემმისადგომის სიგრძე რომ წარმოიდგინოთ, ის დაახლოებით ექვსი სტადიონის სიგრძისაა. გავაკეთეთ ერთი პროექტი, შემდეგ კი ამერიკულ კომპანიასთან ერთად დავიწყეთ პროექტის ოპტიმიზაციაზე მუშაობა. დავამატეთ ნაყარი ტვირთის ტერმინალი, რადგან უზბეკეთში რამდენიმე ახალი ქარხანა აშენდა, რომლებიც ქიმიურ სასუქებზე და მინერალებზე მუშაობს. ეს ტვირთი კი აუცილებლად საქართველოზე უნდა გამოვატაროთ, შესაბამისად, ცოტა გადავაკეთეთ პროექტი და შევქმენით მესამე გემმისადგომი. ბიზნესი ის ხომ არაა, რომ ორი წლის წინ

რაღაცას დაწერ და ყველაფერი ისე უნდა გააკეთო. ბიზნესი არის ის, რომ ბაზარზე ადაპტირება მოახდინო, ოპტიმიზაცია გააკეთო და ხელშეკრულების პირობებსაც მიჰყვე.

მისკომუნიკაციას აქვს ადგილი. ტრიბუნებიდან არ უნდა მიდიოდეს საუბარი. არ მინდა გავიმეორე ეს სიტყვა, მაგრამ ორკესტრი პოპულარულ სიტყვად იქცა. პოლიტიკოსების მხრიდან უაპელაციო შემოტევა ხდება, პრაქტიკულად, ბრალს გვდებენ. ან ბრალი წაგვიყენოს პროკურატურამ, ან საქმე უნდა დაიხუროს. ეს რა სამართალი და რა დამოკიდებულებაა? ან რა უდანაშაულობის პრეზუმფციაზეა საუბარი?! ამ დროს ჩვენ ამხელა პროექტს ვართ შეჭიდებული, დიალოგი მიდის ტრიბუნებიდან და კიდევ გვეუბნებიან, რომ იცით, რაა? რაღაც დააშავეთ და ვერ აკეთებთ ფინანსურ დახურვას. კიდევ ვამბობ, სამშენებელო პროცესი არ გაჩერებულა, კომპანია მთელი სიმძლავრით მუშაობს.

ყველას მინდა ვუთხრა, მოდი, ერთი წამით დავფიქრდეთ, რა რისკების წინაშე ვდგავართ. თუ ეს რიტორიკა გაგრძელდება, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ საერთაშორისო პარტნიორები. დღეს, როდესაც უცხოელ პარტნიორებს ვხვდები, მათგან პირველი კითხვაა – რა ხდება თქვენს თავს და რატომ ხდება ასე. რა და როგორ უნდა ავუხსნა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

თავად თუ გაქვთ ახსნა?

რა უნდა ავუხსნა ელემენტარულად? ვყვები იმას, რასაც თქვენ გიყვებით, დასამალი არაფერია. ეს რომ ყოფილიყო ერთ უწყებასთან კამათი, გასაგებია, მაგრამ ესაა სახელმწიფო. სახელმწიფოს ვერ მოუგებ, თან ისეთ ქვეყანაში, სადაც სამართალი მართლა საძებნელია. ვართ იმ სიტუაციაში, როცა ერთი მხრივ თავს ვიცავთ, მეორე მხრივ ვართ ახსნა-განმარტებებში, მესამე მხრივ ჩვენს ინვესტორებს ვაწყნარებთ, ვეუბნებით, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ცოტა ხანს კიდევ გაუძლონ შეურაცხყოფებს.

ვიღაცას უნდა მონათლოს, რომ ესაა მამუკა ხაზარაძის პროექტი. ეს არაა მამუკა ხაზარაძის პროექტი. ესაა თითოეული ჩვენგანის პროექტი. თუ ჩვენ ეს დრო დავკარგეთ, ეს პროექტი, პირდაპირ გეუბნებით, ან გადაიდება რამდენიმე წლით, ან საერთოდ არ განხორციელდება. მსგავსი მეგაპროექტების კეთებას აქვს „მომენტუმი" და „მომენტუმი" დგება ბევრი შემადგენელი ფაქტორისაგან. ესაა გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყნისა და კერძო ინვესტორების მზაობა, რისკების აღება. თუ სახელმწიფო ახალ ტენდერს გამოაცხადებს და 600 მილიონს საკუთარ თავზე აიღებს, ამ პროექტს დავკარგავთ. მე აქ არ ვლაპარაკობ იმ დანაკარგზე, რასაც მე და ჩემი ჯგუფი განვიცდით, რადგან ეს არაფერი იქნება იმ დანაკარგთან შედარებით, რასაც საქართველო ნახავს ამ პროექტის დაკარგვით.

ეთანხმებით თუ არა იმ ნარატივს, რომ ბანკის თემა ამოწურულია?

ბანკის თემა ამოწურულია, რადგან ბანკს პრობლემა არასდროს ჰქონია. ამოწურული არაა პრობლემა ჩვენთან, როგორც ბანკის დამფუძნებლებთან. ეს თემა ასე ვერ დამთავრდება. მე არაერთხელ მითქვამს – ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ყველა ფორმას გამოვიყენებ. ჩვენ უსამართლოდ, უკანონოდ გამოგვაძევეს იმ ორგანიზაციიდან, რომელიც ჩვენი ხელით შევქმენით. რაც უნდა იძახოს პოლიტიკოსმა, რომ მამუკა ხაზარაძე და თიბისი ცალ-ცალკეა, ეს ასე არაა... 200 მილიონი დაკარგეს ჩვენმა ინვესტორებმა ერთ თვეში, თუმცა დაახლოებით ორ კვირაში, როდესაც მე გადავდექი, ისევ იმ ნიშნულზე ავიდა. ეს თემა ასე არ დამთავრებულა, ჩვენ საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან. 11 წლის წინანდელი საქმე ამოატივტივეს სწორედ იმ დროს, როდესაც ამხელა პროექტია კარზე მომდგარი.

გამოძიებასთან თანამშრომლობის პროცესში ითხოვეთ თუ არა, რომ საქმის გასაჯაროება არ მომხდარიყო, რადგან თქვენ ხართ მსგავსი მოლაპარაკებების პროცესში?

ეს ოქმშიც ჩაწერილია. გიდასტურებთ, მე მოსამართლეს ვთხოვე განემარტა, ეს ჩვენი დაკითხვა იყო თუ არა კონფიდენციალური. იგივე ვთხოვე პროკურორსაც. ყველამ დაგვიდასტურა, რომ ეს იყო კონფიდენციალური. 19 იანვარს ვაწერდით ხელს ხელშეკრულებას ორ უზარმაზარ ბანკთან აქციონერობაზე. ხელი მოვაწერეთ და შემდეგ ეს ბანკები ცოტა ხნით ჩამოგვშორდნენ, შემდეგ ისევ უკან დაგვიბრუნდნენ.

ჩვენ მოვითხოვეთ ლონდონში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება იმ ტრანზაქციებზე. რატომ ვაკეთებთ ამას? იმიტომ რომ პრაქტიკულად პროკურატურამ ჰაერში გამოგვკიდა.

რამდენი წერილია ლონდონში თქვენი მხრიდან?

არ შეიძლება, რომ ეს დაუმთავრებელი თემა იყოს, ცოტა ცინიკურია, როდესაც მაღალი თანამდებობის პირი მეუბნება, რომ ანაკლია და ბანკი ვერ დაიცავს მოქალაქეს, კითხვას ვერ აარიდებინებს თავს. ძალიან გთხოვთ, ასე ნუ დაგველაპარაკებით. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც 10-11 წლის წინანდელი დუკუმენტაცია გადავეცით მათ, როცა კანონით შეგვეძლო, 6 წლის შემდგომი დოკუმენტაცია განადგურებული ყოფილიყო. ეს გავაკეთეთ იმიტომ, რომ დასამალი არაფერი გვაქვს. იმ პოლიტიკოსებთან, რომლებმაც უპასუხისმგებლო განცხადებები აკეთეს და უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიეს, კითხვა მაქვს – საიდან იციან მათ პროკურატურის ოქმებიდან ამონარიდები, როცა მე არ მაქვს მათზე წვდომა?

ანუ მათ პირობა დაგირღვიეს?

დიახ, მათ ვუთხარი და მითხრეს, რომ კონფიდენციალურობა დაცული იქნებოდა. სწორედ ამ საუბრის შემდეგ, 8-9 იანვარს მათ პრესკონფერენცია გამართეს, ჩვენ და ჩვენს ინვეტორებს რეპუტაციული ზიანი მოგვაყენეს. ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ ნებისმიერი რამ, რაც ჩვენ და ბანკს ეხება, განვაცხადოთ 24 საათის განმავლობაში ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ჩვენ განვაცხადეთ და მივიღეთ პირველი დარტყმა – 90 მილიონი დოლარის ზარალი. შემდეგ იყო მეორე პრესკონფერენცია და ეს ზარალი 200 მილიონამდე ავიდა .

წერილი გაგზავნილია ლონდონში, როგორ მოიქცევით, თუკი ის ვალიდური არ აღმოჩნდება?

ჯერ დაველოდოთ.

უშვებთ თუ არა, რომ ამ წერილის ავტორი შესაძლოა ვინმე სხვა ყოფილიყო?

წერილი ვისგანაც მივიღე, მე ის დავასახელე. ვინ დაწერა, ვინ დაბეჭდა და ვინ კარნახობდა, მე არ ვიცი. არანაირი ინტერესი არ მაქვს, რომ ვიღაცას ცილი დავწამო. არც პოლიტიკოსი ვარ, არც დაინტერესებული მხარე ვარ, რომ ვიღაცის თანამდებობა მინდოდეს და ინტრიგებში ვიყო ჩართული.

ამით გაეცით პასუხი კითხვას, სურს თუ არა მამუკა ხაზარაძეს პოლიტიკოსობა.

პარლამენტისა და სასამართლოს ტრიბუნიდან მოვყევი ის, რაც გადამხდა. სასამართლოზე რომ გავედი, ფიცი დავდე. იქ არის ორი ტიპის ფიცი, ღმერთის წინაშე დავდე ფიცი. ვიტყვი სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს – მე იქ ეს ვთქვი. პირველივე დაკითხვაზე ვთქვი, მუქარის წერილი მივიღე-მეთქი. მაგრამ რეაგირება არ იყო, შემდეგ ეს გავიმეორე პარლამენტში. მეორე დღეს კი დაგვიბარეს ასევე სასამართლოში და თქვეს, რომ აქ არაფერი საინტერესო არ არის და საქმე არ აღძრულა. ვიღაც მინისტრმა ეს მიიღო შეურაცხყოფად. მე ღირსების შელახვად ჩავთვალე ის, რაც ჩემს თავს ხდებოდა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მე ვიყავი ის ადამიანი, რომელმაც მოუგო სასამართლო ერთ-ერთ მედიას, რომელიც სამი წლის განმავლობაში საშინელებებს წერდა. საბოლოო ჯამში ჩვენ მოვიგეთ, მათ ბოდიში მოიხადეს და თანხა გადაიხადეს, რომელიც ჩვენ მივმართეთ ჟურნალისტიკის სტუდენტების სტიპენდიებისკენ და ამით მეტ-ნაკლებად ჩვენი ღირსების თემა დავასაბუთეთ.

თვლით, რომ სწორი იყო ამ დავაში შესვლა?

აუცილებლად. როდესაც ხარ ინტერესის ობიექტი, როდესაც გაქვს შენი პრინციპები და ვიღაც ცილს გწამებს, რაც არ უნდა დაუხვეწავი იყოს კანონმდებლობა, სასამართლო გზით უნდა დაასაბუთო სიმართლე და დაიცვა შენი თავი.

რატომ გაავლეთ ეს პარალელი?

არსებობს მუნდირის ღირსება. ისე გამოვიდა, რომ თითქოს მას წერილი არ გამოუგზავნია და მე ვცრუობ. ამიტომ ეს მუნდირის ღირსება მან უნდა დაიცვას სასამართლოში. სასამართლო წესით უნდა დაამტკიცოს, რომ არ გამოუგზავნია ეს წერილი. კინკლაობას აღარ ვაპირებ, ესაა ჩემი ბოლო კომენტარი და დანარჩენი თავად გადაწყვიტოს. F

„გაზპრომი“ და დივერსიფიკაცია - კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს

12 მარტს ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია: „გაზპრომთან“ მიღწეულია ახალი შეთანხმება, რითაც უმჯობესდება რუსული გაზის სომხეთში გატარების საფასური და მცირდება საქართველოსთვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ღირებულება. ცხადდება, რომ ამ ახალი ხელშეკრულებით „გაზპრომი“ და „სოკარი“ კონკურენციაში მოექცევიან, რითაც კომერციული მომხმარებლები ისარგებლებენ. დაინტერესებულ კომპანიებს ექნებათ საშუალება, გაზი პირდაპირ „გაზპრომისგან“ შეიძინონ.

თავად ხელშეკრულება დახურულია. კომერციული საიდუმლოების საბაბით არ ცხადდება არც ტრანზიტის საფასური, არც გაზის შესყიდვის ფასი, არც სხვა დოკუმენტირებული ან არადოკუმენტირებული შეთანხმებები და შესაძლო დათმობები. ამიტომ, მიუხედავად მთავრობის პატაკისა, თუ მოლაპარაკებების ცნობილი გამოთქმის პარაფრაზს

გავაკეთებთ, უნდა ჩავთვალოთ, რომ სანამ ყველაფერი არ ვიცით - არაფერი არ ვიცით და ხელშეკრულების ავკარგიანობის შეფასებისგან თავი უნდა შევიკავოთ. შესაძლებელია არაპირდაპირი ინფორმაციით ზოგიერთ დეტალებსა და თავად პროცესზე მსჯელობა.

კერძოდ, ფასებთან დაკავშირებით უნდა ვივარაუდოთ, რომ გაზის ახალი ფასი 2017-ში გაცხადებულ 185 დოლარზე (ათას კუბურ მეტრზე) ნაკლები იქნება, ხოლო ტრანზიტის საფასური გაიზარდა ჩვენი ჩრდილოეთ-სამხრეთის რთული მილსადენისთვის ადეკვეტურ ნიშნულამდე.

მაშ ვისგან და რატომ არის გასაიდუმლოებული ეს ხელშეკრულება, რომელსაც ორი პოლიტიკური და არაკომერციული მოთამაშე დებს ერთმანეთთან? ვინ არიან ის დაინტერესებული მხარეები, ვინც შეიძლება გასაიდუმლოებული ინფორმაცია სათავისოდ გამოიყენოს, თანაც სხვა მხარეების ხარჯზე? მოდი, გამორიცხვის მეთოდით ვიმოქმედოთ.

ერთი შეხედვით, ალოგიკურად გამოიყურება „გაზპრომისგან“ გაზის შესყიდვის ღირებულების დაფარვა. მართლაც, თუ ქართული კომპანიები ღიად შეძლებენ „გაზპრომისგან“ გაზის შესყიდვას, ბუნებრივია, რომ მათ ეს ფასი წინასწარ უნდა იცოდნენ (შესყიდვის შემდეგ ხომ ნამდვილად ეცოდინებათ). ასევე ძნელი დასაჯერებელია, რომ ღია გაყიდვის პირობებში ამ ფასს ან აზერბაიჯანული ან სომხური მხარე ვერ გაიგებს. ან თუნდაც რატომ არ უნდა გაიგოს „სოკარმა“, თუ გვინდა, რომ თავადაც დაუკლოს ფასს კომერციული საწარმოებისათვის.

ასევე ალოგიკურად გამოიყურება ტრანზიტის საფასურის დამალვა. მართლაც, საერთაშორისო პრაქტიკით, ენერგეტიკული ქარტიისა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, მილსადენები, როგორც ბუნებრივად მონოპოლისტური ინფრასტრუქტურა და მისი გამოყენების გონივრული პირობები ღია უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის (უფრო დეტალურად იხ.WEG.ge).

ასოცირების შეთანხმებით, საქართველოსთვის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენზე გამონაკლისი მხოლოდ ტრანზიტის სახარბიელო პირობების (10% ნატურით) გამო იქნა დაშვებული. 2016 წელს ამ პირობის დაკარგვის შედეგად ეს მოტივაცია გაქრა და ახლა უმჯობესია, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ამ გაზსადენით სარგებლობის პირობები სემეკმა ღიად დაადგინოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ:

- ამ მილსადენით დაინტერესებული რუსეთი და სომხეთი სტრატეგიული მოკავშირეები არიან და ამ ინფორმაციას ერთმანეთთან ადვილად გაცვლიან. თანაც „გაზპრომს“ აქვს შესაძლებლობა, საქართველოსა და სომხეთის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპიროს, მაგალითად, სომხეთში მიწოდებული გაზის ღირებულების ზრდა დაუკავშიროს საქართველოს ტრანზიტზე გაზრდილ მოთხოვნებს.

- აზერბაიჯანს ან თურქეთს ამ მილსადენთან შემხებლობა და კომერციული ინტერესი არა აქვს, ხოლო მომავალში თუ მისი ალტერნატიული გამოყენების პირობები გაჩნდება, ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ.

- გაზსადენით ტრანზიტის საფასური ასევე ვერ გამოდგება სხვა ქვეყნებისათვის რაიმე ორიენტირად, ვინაიდან მილსადენი სპეციფიკურ და ძალიან რთულ რელიეფზე გადის.

- თუ საქართველოს მომხმარებლები რუსეთიდან გაზს შეიძენენ, მათთვის მილსადენით სარგებლობის პირობები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი.

მეტ ახსნას მოითხოვს ისიც, თუ რატომ წავიდა „გაზპრომი“ დათმობაზე წელს და რატომ გვთავაზობს ისეთ პირობებს, რომელთაც 2016 წელს ვერ მივაღწიეთ. თანაც ეს ხდება მაშინ, როდესაც 2019 წლიდან სომხეთში მიწოდებული გაზის ფასი 150-დან 165 დოლარამდე გაიზარდა. ხოლო მოლდოვისთვის გაზის ფასი 25%-ით გაიზარდა და 237 დოლარით ევროპაში მიწოდების ფასებს გაუტოლდა. ამ მაგალითებით ნათლად ჩანს ფასებით პოლიტიკური მანიპულაცია, რაც ჩვენს შემთხვევაში რატომღაც საქართველოს სასარგებლოდ ტრიალდება.

ყველა ეს გარემოება ძალიან ბუნებრივ კითხვებს ბადებს და პასუხებს მოითხოვს. ბუნდოვანება გაქრება, თუ ვივარაუდებთ, რომ ხელშეკრულება მისი ხელმოწერის შემდეგ გასაჯაროვდება. სხვა შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ხელშეკრულება ფორმდება „გაზპრომთან“ დაახლოებული „რჩეული“ კომპანი(ებ)ისთვის და ეს ინფორმაცია დამალულია საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის, ვისაც შესაძლებელია, გაზის ალტერნატიული წყაროდან ყიდვა მოუნდეს, მაგრამ „გაზპრომთან“ კავშირი არ ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ღია დივერსიფიცირებული ბაზრის ნაცვლად სეგმენტირებული ბაზარი და ორმაგი დამოკიდებულება გაჩნდება ორ მონოპოლისტზე.

ამ ეჭვების გასაქარწყლებლად კი უფრო სარწმუნო და სრული ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო. სხვა მხრივ, დარჩება ეჭვი, რომ „გაზპრომმა“ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და მისი უძლიერესი იარაღი - გაუმჭვირვალე კორუფციული კავშირები ეფექტიანად გამოიყენა, ინტერესთა ჯგუფების საკუთარ მიწოდებაზე მიბმით ახალი დასაყრდენი იპოვა, ეჭვისა და უნდობლობის ნაპრალი გაიჩინა ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, რათა გაეძლიერებინა უმწეო უიმედობის გრძნობა, რომ ჩვენს ბედს ისევ განკარგავენ ჩვენს უკითხავად და ჩვენი პატივისცემის გარეშე.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. F

ბუღალტერიისა და აუდიტის რეფორმა: პირველი შეფასება

ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა ორ ჭრილში განიხილება: რამდენად კარგი ხარისხისაა რეგულაციური ჩარჩო და რამდენად კარგად ხდება აღნიშნული რეგულაციური ჩარჩოს რეალობაში აღსრულება. ხარისხიანი რეგულაციის ქონას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი მისი რეალობამდე მიტანაც ასევე ხარისხიანად არის უზრუნველყოფილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე მათგანი – რეგულაციის ხარისხიც და მისი აღსრულების დონეც – აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა რეფორმის წარმატებულად მიჩნევისათვის. მხოლოდ მათ ერთობლიობას შეუძლია, რეფორმა წარმატებულად აქციოს.

თუ რამდენად კარგი ხარისხისაა საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 8 ივნისს ამოქმედებული „საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", ამის თაობაზე უკვე დაიწერა. აღინიშნა, რომ 2016 წლის კანონში გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის მიერ 2007 და 2015 წლებში გაჟღერებული რეკომენდაციები. ითქვა ისიც, რომ კანონის მიმდინარე ვერსია მის ყველა წინამორბედ ვერსიაზე უკეთესია.

ამის საპირისპიროდ, არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად აღესრულება კანონი რეალობაში. არაფერი თქმულა იმდენად, რამდენადაც კანონის აღსრულების ხარისხის შეფასებას დრო და შესაბამისი მონაცემები სჭირდება. ვეყრდნობით რა ევროპულ გამოცდილებას და ვიღებთ რა ფინანსურ თუ ადმინისტრაციულ დახმარებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან (CFRR World Bank, EBRD, G4G UK, USAID), შედარებით მარტივია ჯანსაღი რეგულაციური ბაზის ჩამოყალიბება. თუმცა ამოქმედებული კანონების ადეკვატურად და დროულად მიყოლა შედარებით მეტ გამოწვევას გულისხმობს.

ბუღალტერიისა და აუდიტის დარგში მიმდინარე ცვლილებები თავისი მასშტაბურობით უპრეცედენტოა ქვეყნის ისტორიაში: 2018 წლის 1 ოქტომბრამდე ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროება მოეთხოვა პირველი და მეორე კატეგორიისა და საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე პირების დაახლოებით 600-700 იურიდიულ ერთეულს, ხოლო 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საჯაროობის საზღვრის გადაკვეთა მოუწევს მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებს – დაახლოებით 83,000 იურიდიულ ერთეულს.

წინამდებარე სტატია პირველია, რომლის ფარგლებშიც ამოღებულ იქნა აღწერილობითი ინფორმაცია იმ საწარმოთა შესახებ, რომლებმაც საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები 2018 წელს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტერიის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარუდგინეს და გაასაჯაროვეს. ინფორმაცია ამოღებულ იქნა 2019 წლის 15 იანვრიდან 19 იანვრის ჩათვლით. ინფორმაციის ავტომატურად ამოსაღებად გამოყენებული იყო პროგრამები: Link Klipper-ი და Scrapestorm-ი. დაკვირვების ობიექტად 586 საწარმო იქცა. გთავაზობთ აღწერილობით ინფორმაციას საწარმოების კატეგორიების (ა), ლეგალური სტატუსის, ოპერირების სფეროს, რეგისტრაციის წლის, აუდიტის სტატუსისა და აუდიტორი ფირმების შესახებ.

საწარმოთა 20% სდპ-ა, 14% – I კატეგორიის საწარმო და 54% – II კატეგორიის საწარმო. საწარმოთა 12% III და IV კატეგორიას წარმოადგენს – მათ 2018 წელს საერთოდ არ ევალებოდათ ინფორმაციის წარდგენა. სავარაუდოდ, ეს მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოები ან კრედიტორებთან კომუნიკაციაზე აკეთებენ აქცენტს, ან მათთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთან გადასახადების გადახდის კუთხით გამართული კომუნიკაცია. ასევე არსებობს იმის აღბათობა, რომ ამ საწარმოებმა აქტივების უფრო ზუსტად (შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან შედარებით) დათვლის შედეგად თავი II კატეგორიას მიაკუთვნეს და თავი ვალდებულად მიიჩნიეს, ანგარიშგებები წარედგინათ. თუკი ამ საწარმოებს ისედაც მზად ჰქონდათ ფინანსური ანგარიშგებები, ნებაყოფლობით მათი გასაჯაროებით მომდევნო წლისთვის არა მარტო პრაქტიკა გაიარეს, არამედ შესაძლოა, კრედიტორების (დაინტერესებული მხარეების) თვალში უფრო სანდოებად/გადახდისუნარიანებად წარმოჩნდნენ.

427 საწარმო შპს-ა, 143 – სააქციო საზოგადოება, 16 – ან უცხოური საწარმოს

ერეკლე პირველი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი და კავკასიის ბიზნეს სკოლის ასოცირებული პროფესორია.

საწარმოთა კატეგორიები და შესაბამისი მოთხოვნები

მოთხოვნები	საწარმოთა კატეგორიები				
	სდპ (დაახლ. 125 საწარმო)	I კატეგორია (დაახლ. 85 საწარმო)	II კატეგორია (დაახლ. 420 საწარმო)	III კატეგორია (დაახლ. 3270 საწარმო)	IV კატეგორია (დაახლ. 80000 საწარმო)
მოთხოვნები		> 50 მლნ ლარი	< 50 მლნ ლარი	< 100 მლნ ლარი	< 1 მლნ ლარი
შემოსავლები		> 100 მლნ ლარი	< 100 მლნ ლარი	< 20 მლნ ლარი	< 2 მლნ ლარი
დასაქმებულთა საშ. რაოდენობა		> 250	> 250	< 50	< 10
ფინანსური აღრიცხვა	IFRS	IFRS	IFRS for SMEs	IFRS for SMEs	გამარტივებული IFRS
მენეჯერული აღრიცხვა	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი
აუდიტი	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი
ანგარიშგების ჩაბარების თარიღი	1.10.2018			1.10.2019	

ფილიალი, ან კოოპერატივი. ოპერირების სფეროს მიხედვით (კლასიფიცირება მოხდა SIC კლასიფიკაციით), როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე გავრცელებულია მომსახურებისა და საჯარო ადმინისტრირების სფერო; შემდეგ – ვაჭრობა/გადაყიდვა; შემდეგ კი – საფინანსო სექტორი. მოლოდინის შესაბამისად, მცირეა წარმოების სფეროში მოქმედი საწარმოების რაოდენობა (70). მხოლოდ 9 საწარმოა სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან.

წლების მანძილზე ვადევნებდით თვალს ბიზნესის კეთების სიადვილის რეიტინგს, და გვახსოვს, რომ მხოლოდ 2006 წელს საქართველომ 75 პოზიციით წაინაცვლა წინ. 2005-2010 წლებში კი მსოფლიო ბანკმა ჩვენი ქვეყანა ამ კუთხით ლიდერ რეფორმატორ ქვეყნად დაასახელა. რეიტინგში ლიდერული პოზიციები ბოლო წლებშიც შენარჩუნდა და გაუმჯობესდა. რეიტინგების საპირისპიროდ, ნაკლებად თუ გვინახავს რეალური მონაცემები, თუ რა დროს რამდენი ახალი საწარმო რეგისტრირდებოდა (მით უმეტეს I და II კატეგორიის საწარმოებსა და სდპ-ებზე აქცენტირებით). როგორც ვხედავთ, საშუალოდ 19 და 20 ერთეული რეგისტრირდებოდა 1995-2003 და 2013-2017 წლებში, ხოლო 39 ერთეული – 2004-2012 წლებში.

დაბოლოს, ანგარიშგებების 95%-ზე მეტი აუდირებულია. საინტერესოა, რომ არააუდირებული ანგარიშგებების მნიშვნელოვანი წილი მოდის სდპ-ებზე, რომელთაც აუდირებული ანგარიშგებების წარდგენა ევალებოდათ. ასევე, III და IV კატეგორიის საწარმოების მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი რეპორტების სრული უმრავლესობა (69-დან 67) აუდირებულია. აღნიშნული დადებით სიგნალს გვაწვდის ნებაყოფლობით გადადგმული ნაბიჯების კუთხით, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ 67 საწარმო მიზერული რიცხვია III და IV კატეგორიის საწარმოების მთლიანი კონტინგენტის (დაახლოებით 83,000 ერთეული) კვალობაზე. აუდირებული ანგარიშგებების 44% აუდირებულია აუდიტორი ფირმების დიდი ექვსეულის (Deloitte & Touche, KPMG, PWC Georgia, RSM Georgia, E&Y Georgia და BDO) მიერ, ხოლო დანარჩენი – მცირე მოთამაშეების მიერ. ანგარიშგებათა ყველაზე დიდი წილი (91 ანგარიშგება) აუდირებუ-

საწარმოთა აღწერილობითი ინფორმაცია

კატეგორიები



ლეგალური სტატუსი



ოპერირების სფერო



ლია BDO-ს მიერ.

კანონის თანახმად, ზედამხედველობის სამსახური თავად იტოვებს 1-თვიან ვადას წარდგენილი დოკუმენტაციის გასაცნობად და შემდეგ მის გასასაჯაროებლად. შესაბამისად, ძნელია საუბარი იმაზე, თუ რამდენად დროულად წარადგინეს საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგებები. დაკვირვებამ აჩვენა, რომ საწარმოების ფინანსური ინფორმაცია ნაბიჯ-ნაბიჯ ემატებოდა 1 ოქტომბრამდეც, მას შემდეგაც და დღემდე არ შეწყვეტილა. 2019 წლის მარტის მდგომარეობით, ზედამხედველობის სამსახურში აცხადებენ, რომ დაახლოებით 40 საწარმოს გასაჯაროებას კვლავ ელოდებიან. როგორც ასეთი, გასაჯაროების პროცესს არ შეიძლება ეწოდოს ზედმიწევნით დროული. საწარმოთა ნაწილმა ფინანსური ანგარიშგებები მხოლოდ გაფრთხილებისა და ფულადი სანქციის (ერთმაგი ან ორმაგი) დაკისრების შემდეგ წარმოადგინა. კანონის თანახმად, ფინანსური ანგარიშგების წარმოუდგენლობის შემთხვევაში IV, III, II, I კატეგორიის საწარმოები და სდპ-ები შესაბამისად 500, 1000, 5000, 10,000 და 10,000 ლარით ჯარიმდებიან, ხოლო 1 თვის ვადაში შეცდომის გამოუსწორებლობა ამავე ოდენობით სანქციის გაორმაგებას იწვევს.

ასევე ძნელია, ვისაუბროთ ზუსტ რაოდენობაზე, თუ რამდენ კომპანიას ევალებოდა 2018 წლის 1 ოქტომბერს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. საწარმოთა კლასიფიცირების მიზნით, ზედამხედველობის სამსახური იყენებს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციას აქტივების მოცულობასთან დაკავშირებით. შემოსავლების სამსახურს ინფორმაცია აქვს საწარმოთა მხოლოდ იმ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც ქონების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება. აღნიშნული სრულად არ ასახავს საწარმოთა მთლიანი აქტივების სიდიდეს. შესაბამისად, ხდება იმ საწარმოთა მიახლოებითი (არაზუსტი) ოდენობის განსაზღვრა, რომლებსაც ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უკვე 2018 წლის 1 ოქტომბერს უწევდათ.

საწარმოთა აღწერილობითი ინფორმაცია

რეგისტრაციის წელი



აუდიტის სტატუსი



აუდიტორი ფირმები



როგორც ზედამხედველობის სამსახურში აცხადებენ, ვალდებულ საწარმოთა 90%-ზე მეტმა გაასაჯაროვა საკუთარი ფინანსური ინფორმაცია. აღნიშნული კანონის აღსრულების საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, განსაკუთრებით - კანონის ჩაშვებიდან პირველი წლისთვის. საწარმოთა იმ მცირე ნაწილს, რომელიც კანონს არ დაემორჩილა, სავარაუდოა, რომ ან მიზნობრივად არ სურდა საკუთარი ფინანსური დეტალების სახალხოდ გამომზეურება, ან მათ უკვე ორჯერ მოუწიათ ფულადი ჯარიმის (სანქციის) გადახდა და იმდენად, რამდენადაც სიტუაცია მეტად ვეღარ დაუმძიმდებოდათ, მათთვის აზრი აღარ ჰქონდა ფინანსური ინფორმაციის მომზადებას, აუდიტის ხარჯების გაღებასა და ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებას. სავარაუდოა, რომ იმ საწარმოებს, რომლებმაც ფინანსური ინფორმაცია გამიზნულად არ გაასაჯაროვეს, ან არ სურდათ საკუთარი კონკურენტული სტრატეგიის საჯაროდ გამოტანა, ან მათი ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდა სიმართლის ამსახველ ინფორმაციას და ის გამიზნულად მანიპულირებული ან კვალიფიკაციის დეფიციტის გამო შეუსაბამოდ იყო მომზადებული. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონის აღსრულება არაზედმიწევნით დროულად, თუმცა დადებითად მიმდინარეობს. მთავარი კითხვა კი შემდეგია: რა წერია გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებში - რამდენად მაღალია მათში მოწოდებული ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, რათა მომხმარებელს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს? მაკროეკონომიკურ დონეზე კი, საინტერესოა, თუ რას მოუტანს მიმდინარე რეფორმა საქართველოს ეკონომიკას. ხელს შეუწყობს თუ არა იგი ქვეყანას, მოიზიდოს მეტი უცხოური ინვესტიცია, განავითაროს კაპიტალის ბაზრები, შეამციროს უმუშევრობა და გაზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მეტი დრო, მეტი მონაცემთა ბაზა და სიღრმისეული ანალიზია საჭირო. F

საქართველოში ინვესტიციები 2009 წლის დონეზეა

2018 წელს საქართველოში 1.2 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი) შემოვიდა. ეს არის ბოლო 5 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. მეტიც, 2014-2017 წლებში საშუალოდ ნახევარი მილიარდი დოლარით მეტი ინვესტიცია შემოდიოდა, ვიდრე გასულ წელს შემოვიდა. 2017 წელთან შედარებით კლება 662 მლნ დოლარი, პროცენტულად კი 35%-ია.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც ღარიბი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის უცხოურ ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს. უცხოურ ინვესტიციას ფულთან და სამუშაო ადგილებთან ერთად ცოდნა, გამოცდილება და ტექნოლოგიები შემოაქვს ქვეყანაში და საზღვრებს გარეთ მის ცნობადობას ზრდის. ამასთან, უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ინვესტიცია (წარმოების დაწყებაში, გაფართოებაში ფულის ჩადება) დანაზოგების შედეგია. საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას.

ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, გამართული სამართლებრივი სისტემა, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან/და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვა.

დღევანდელი მეთოდოლოგიით (რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს) პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა აუცილებელი არ არის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად ითვლება სესხებიც, თუ ვალდებულებით საწარმოს აქტივები იტვირთება. ძირითადად, პირდაპირი ინვესტიცია ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოებას უკავშირდება. ეს კი პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ეკონომიკის, იგივე მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა კი სწორედ პროდუქციის წარმოების ზრდით მიიღება.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გასული წლების ინვესტიციების მაჩვენებლები დააზუსტა და გამოვიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 1.9 მილიარდი დოლარი 2017 წელს შემოვიდა. მანამდე მაქსიმუმი 2007 წელს ფიქსირდებოდა – 1.8 მილიარდი დოლარი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნომინალურ რიცხვებში გამოსახული ინვესტიციების მოცულობა სრულად არ გვეუბნება, ბევრია ის თუ ცოტა. მაგალითად, საქართველოსთვის 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ძალიან ბევრია, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, მაგალითად, გერმანიისთვის კი თითქმის არაფერია – ეკონომიკურ კრიზისს ვერ გადაურჩება. ამიტომ ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ უნდა ვნახოთ. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი ინვესტიცია სჭირდება ზრდისა და განვითარებისთვის. ამ მხრივ, 2007 წელი ყველაზე წარმატებული იყო. პუი-მ მშპ-ის 17.2% შეადგინა. ბოლო 10 წელიწადში ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2009 წელს გვქონდა, მშპ-ის 6.2%. 2009 წელს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი იყო და ინვესტიციები მკვეთრად დაეცა. რთული იყო კრიზისის მომდევნო წლებიც.

2018 წელს არც საქართველოში, არც ჩვენს რეგიონში და არც, მით უმეტეს, მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი არ ყოფილა, მაგრამ პუი მშპ-ის 7.6%-მდე შემცირდა, როცა 2014-2017 წლებში საშუალოდ 11.6% იყო. ბოლო 5 წელია, ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდას ლარის კურსის დაცემა უწყობს ხელს, რადგან დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ინვესტიციების მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა. მაგალითად, 2013 წლის ლარის დოლარის მიმართ გაცვლითი კურსით – 1.67-ით, 2018 წელს პუი მშპ-ის მიმართ 5% იქნებოდა. უფრო ნაკლები, ვიდრე 2009 წელს.

საინტერესოა, რომელ სექტორებში და რომელი ქვეყნებიდან შემცირდა ყველაზე მეტად პუი 2018 წელს. ყველაზე დიდი კლება – $263-მილიონიანი (56%-იანი) ტრანსპორტის სექტორში იყო. შემდეგ მოდის მშენებლობა 179 მლნ დოლარით

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქსტატი

(63%-ით) და უძრავი ქონება 92 მლნ დოლარით (51%-ით). 67 მლნ დოლარით (30%-ით) შემცირდა ინვესტიციები ენერგეტიკაში. მნიშვნელოვანი ზრდა მხოლოდ დამმუშავებელ მრეწველობაში იყო, სადაც 2018 წელს 44 მლნ დოლარით მეტი პუი შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს.

2018 წელს ყველაზე მეტი პუი საფინანსო სექტორში შემოვიდა - 278 მლნ დოლარი, თუმცა 2017 წელთან შედარებით აქაც შემცირებაა 25 მლნ დოლარით. მეორე ადგილზე ტრანსპორტია 210 მლნ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორში ინვესტიციები ყველაზე მეტად შემცირდა. მესამე ადგილზე ენერგეტიკაა 157 მლნ დოლარით. ყველაზე ცოტა ინვესტიცია კავშირგაბმულობაში შემოვიდა და შედეგად, ამ სექტორში ინვესტიციებმა ზრდის ნაცვლად მოიკლო 35 მლნ დოლარით. 13 მლნ დოლარი შემოვიდა ჯანდაცვაში, ხოლო 16 მლნ დოლარი - სოფლის მეურნეობაში. ეს ორი სექტორი ტრადიციულად ნაკლებად იზიდავს ინვესტიციებს.

ქვეყნების მიხედვით, ინვესტიციები ყველაზე მეტად თურქეთიდან შემცირდა - 299 მლნ დოლარით. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 225 მლნ დოლარით და ნიდერლანდები 189 მლნ დოლარით. მნიშვნელოვანი კლება იყო კვიპროსიდან და ჩეხეთიდანაც. ზრდით კი გერმანია იყო გამორჩეული, საიდანაც 2018 წელს 137 მლნ დოლარით მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს. 40 მლნ დოლარით გაიზარდა ლატვიიდან და 27-27 მლნ დოლარით მალტიდან და სამხრეთ კორეიდან.

მიუხედავად მნიშვნელოვანი კლებისა, 2018 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანიდან შემოვიდა - 240 მლნ დოლარი. მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფოა 204 მლნ დოლარით. 100 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან და აშშ-დანაც.

საქართველოს მთავრობის წევრებმა ინვესტიციების შემცირების ძირითად მიზეზებად მაგისტრალური გაზსადენის, „შაჰდენიზ 2"-ის მშენებლობის დასრულება და რამდენიმე უცხოური საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლა დაასახელეს. გაზსადენის მშენებლობა ტრანსპორტის სექტორს მიეკუთვნება და სწორედ ამან გამოიწვია ტრანსპორტის სექტორის $263-მილიონიანი კლება. გაზსადენის პროექტში ინვესტორები თურქეთი, აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო იყო, რადგან გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანის გაზს თურქეთს მიაწვდის, „BP" აშენებს. 2014-2017 წლებში ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თუმცა, როდესაც ამ პროექტის გამო 2014-2017 წლებში ინვესტიციები

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

*მლნ აშშ დოლარი

ეკონომიკის სექტორები	2017	2018	სხვაობა
ტრანსპორტი	473*	210	-263
მშენებლობა	283	104	-179
უძრავი ქონება	182	90	-92
ენერგეტიკა	224	157	-67
კავშირგაბმულობა	17	-35	-52
სხვა სექტორები	171	119	-52
საფინანსო სექტორი	303	278	-25
სასტუმროები და რესტორნები	72	72	0
სოფლის მეურნეობა	12	16	4
ჯანმრთელობის დაცვა	7	13	6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	52	67	15
დამმუშავებელი მრეწველობა	99	142	44

წყარო: საქსტატი

მნიშვნელოვნად გაიზარდა, საქართველოს მთავრობის წევრები ინვესტიციების მატებაზე საუბრისას „შაჰდენიზზე" არ მიანიშნებდნენ და მატებას სხვა გარემოებებით ხსნიდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრანსპორტის შემდეგ პუი ყველაზე მეტად მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორში, უძრავ ქონებაში შემცირდა. ეს ლოგიკურია, რადგან 2018 წელს საქართველოს ეკონომიკის სამშენებლო სექტორი 3%-ით შემცირდა, რაც სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებამ, სამშენებლო ნებართვების გაცემის შემცირებამ და იპოთეკური სესხების შეზღუდვამ განაპირობა.

გასულ თვეში „ბიზნეს მედია საქართველომ" გაავრცელა იმ ტოპ 10 კომპანიის სია, რომლებმაც 2018 წელს საქართველოში ყველაზე მეტი პუი განახორციელეს. ესენია:

- **აიდიეს ბორჯომი საქართველო - დამმუშავებელი მრეწველობა**
- **შპს მაგთიკომი - კავშირგაბმულობა**
- **BP ჯგუფი - ტრანსპორტი**
- **სს ენერგო-პრო ჯორჯია - ენერგეტიკა**
- **სს RMG Copper- სამთომოპოვებითი მრეწველობა**
- **შპს ჯორჯიან მანგანეზი- დამმუშავებელი მრეწველობა**
- **შპს აჭარისწყალი ჯორჯია - ენერგეტიკა**
- **ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი - მშენებლობა**
- **შპს საქართველოს ტურიზმის**

განვითარების ფონდი - სასტუმროები

- **სს ნენსკრა ჰიდრო - ენერგეტიკა**

უკვე 2019 წელია, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რამდენი ინვესტიცია შემოვიდა პირველ კვარტალში, ამას ივნისში გავიგებთ. თუმცა ცხადია, რომ ინვესტიციების მატების კუთხით სერიოზული გამოწვევის წინაშე ვართ, თუნდაც 2017 წლის მონაცემებს რომ დაუბრუნდეს. ეს იმ ფონზე, როდესაც ბოლო დროის ერთი-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტის - ანაკლიის პორტის მშენებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პორტის მშენებლობის შეჩერება 2019-2020 წლებში საქართველოს მინიმუმ 500 მლნ დოლარის ინვესტიციას დააკარგვინებს. ამას ემატება „თიბისი ბანკზე" ზეწოლაც და სხვა ბიზნესმენების „ალაპარაკება" მთავრობის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებაზე. რაც პოზიტიურია, ის არის, რომ საკრედიტო სააგენტო Fitch-მა საქართველოს რეიტინგი „BB-"-დან „BB"-მდე გაზარდა. ამ ცვლილებამ ფაქტობრივად დაასწრო „თიბისი ბანკისა" და ანაკლიის პორტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, თორემ ნაკლებად სავარაუდო იყო, ეს წინსვლა მიგვეღო.

2018 წელს ინვესტიციების 35%-იანი კლების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა, რადგან ეკონომიკის ზრდა დიდწილად ტურიზმისა და პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვნად ზრდამ განაპირობა. ასევე, 2017 წელს იყო პუი-ის მნიშვნელოვანი მატება, რამაც გავლენა 2018 წელზეც იქონია. მიმდინარე წელი ტურიზმისა და ექსპორტის დაბალი ზრდით დაიწყო და ნაკლებად სავარაუდოა, 2018 წლის ტემპს მიაღწიოს. შესაბამისად, ინვესტიციების გავლენა უფრო მნიშვნელოვანი იქნება და მისი მოცულობის ზრდის გარეშე, თუნდაც გასული წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის - 4.7%-ის მიღწევა ძალიან გაჭირდება. ეს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შენელებას ნიშნავს. F

რომელი ქვეყნებიდან შემცირდა პუი ყველაზე მეტად 2018 წელს



*მლნ აშშ დოლარი

წყარო: საქსტატი

ქვეყნები, საიდანაც 2018 წელს ყველაზე მეტი პუი შემოვიდა



*მლნ აშშ დოლარი

წყარო: საქსტატი

საქართველო და აბრეშუმის დიდი გზა: მითი თუ რეალობა?

ავტორი: ემილ ავდალიანი

ძველი აბრეშუმის გზა, ან აბრეშუმის გზები, როგორც მას დღეს უწოდებენ, უძველესი სავაჭრო მარშრუტი იყო, რომელიც აღმოსავლეთ ჩინეთიდან ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის (რომის/ბიზანტიის იმპერია, სასანიანთა ირანი, არაბთა სახალიფო და სხვ.) განმავლობაში მიემართებოდა სხვადასხვა მიმართულებით ევრაზიაში არსებულ ძირითად ბაზრებამდე (ინდოეთი, ხმელთაშუა ზღვა და ა. შ.). ამ სავაჭრო მარშრუტებისთვის დამახასიათებელი იყო ერთი მნიშვნელოვანი რამ: დროთა განმავლობაში ხშირი იყო არსებული სავაჭრო გზების შეცვლა. ეს კი, ძირითადად, არსებული პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული, რაც ალტერნატიული მარშრუტების მოძიების საჭიროებას აჩენდა ცენტრალური აზიიდან და დასავლეთ ჩინეთიდან როგორც ძვირფასი, ისე აუცილებელი პროდუქციის მისაღებად.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ქვეყანა ძველ დროს თუ შუა საუკუნეებში ყოველთვის იყო აბრეშუმის სავაჭრო გზის განუყოფელი ნაწილი. ეს ისწავლება სკოლებში, ხშირად საუნივერსიტეტო დონეზეც, თუმცა ამ მოსაზრების არგუმენტირება არ ხდება. ისტორიული რეალობა კი უფრო რთული იყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არ გახლდათ ჩაბმული იმდროინდელ სავაჭრო საქმიანობაში. პირიქით, ქართული თუ უცხოური წყაროები ადასტურებენ, რომ ქვეყანაში თითქმის ყველაფრის შეძენა შეიძლებოდა, რაც მახლობელ აღმოსავლეთში იყო მიმოქცევაში.

პრობლემა კი ის არის, რომ ჩვენ ხშირად აბრეშუმის სავაჭრო გზა ერთ უცვლელ მარშრუტად წარმოგვიდგენია, როცა სინამდვილეში ეს იყო არსებული მრავალი გზის გაერთიანება.

შესაბამისად, საქართველოში გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, საჭიროა ითქვას, რომ ქვეყანაში მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, როდესაც ძირითადი გზები იბლოკებოდა პოლიტიკური მოვლენებისა თუ ეკონომიკური პრობლემების შედეგად. ხშირად საქართველოზე გადიოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს ირანთან, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან აკავშირებდა. თუმცა იყო პერიოდებიც, როდესაც საუკუნეების განმავლობაში ძირითადი სავაჭრო გზები საქართველოს გარშემოვლით ფუნქციონირებდა. ამრიგად, ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა საქართველო სრულად ჩაბმული მსოფლიო სავაჭრო გზებში.

გადიოდა თუ არა სავაჭრო გზები საქართველოზე, ასევე იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ძალები იკრიბებოდა ჩვენ გარშემო. მაგალითად, მე-19 საუკუნეში რუსებმა ევროპული პროდუქციის ირანში გასატარებლად ქართული სატრანზიტო მარშრუტი გამოიყენეს. მაგრამ ამ კომერციული გზების წარმატება საბოლოოდ დამოკიდებული იყო რუსეთის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ასევე ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველო პრაქტიკულად გამოეთიშა საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტებს.

აბრეშუმის სავაჭრო გზის იდეა ისევ გამოცოცხლდა 2013 წელს ჩინეთის მიერ პროექტ „ერთი სარტყლისა და ერთი გზის

ინიციატივის" წამოყენებით. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ, მაგალითად, თამარის ეპოქიდან მოყოლებული, საქართველოს არასდროს გასჩენია მსგავსი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება, აღმოსავლეთსა (ჩინეთი) და დასავლეთს (ევროპა) შორის სავაჭრო ტრანზიტულ ქვეყანად ქცეულიყო.

ვაჭრობის გარდა, მრავალი საუკუნის განმავლობაში პირველად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ენერგეტიკული ტრანზიტული დერეფანი კასპიის რეგიონიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპამდე მიმავალ გზაზე.

მართალია ისიც, რომ, გლობალურად, საქართველოზე ცოტა რამ არის დამოკიდებული. თანამედროვე ეპოქაში უმნიშვნელოვანესია ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო ზრდა და ამით გამოწვეული პოტენციური შეჯახება აშშ-სა და ჩინეთს შორის. ჩინეთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ნავთობისა და გაზის რესურსებით, რომლებიც ამჟამად ძირითადად მალაკის სრუტის გავლით შედის ქვეყანაში. აშშ-ის საზღვაო დომინირების დროს, ეს ჩინეთს საფრთხეს უქმნის.

დღემდე გამოქვეყნებულ არც ერთ სიაში არც საქართველო და არც სამხრეთი კავკასია არ შედიან „ერთი სარტყლისა და ერთი გზის ინიციატივაში". ეს დიდ კითხვებს იწვევს ანალიტიკოსებში, თუ რა როლს შეასრულებს საქართველო ჩინეთის ამ გლობალურ პროექტში.

ბევრი ფიქრობს, რომ ჩინეთი ნაკლებადაა დაინტერესებული სამხრეთ კავკასიის მარშრუტით. თუმცა ისევე როგორც ძველი აბრეშუმის გზები, რომლებზეც ჩვენ დასაწყისში ვისაუბრეთ, „ერთი სარტყლის, ერთი გზის ინიციატივა" არ არის სტატიკური; ის მუდმივად იცვლება და სავარაუდოა, რომ პეკინი ყოველთვის შეცვლის/დაამატებს სავაჭრო მარშრუტებს ევრაზიაში არსებული მზარდი გამოწვევებისა და ახალი შესაძლებლობების მიხედვით. ეს ჰგავს იმას, თუ როგორ იცვლებოდა სავაჭრო მარშრუტები უძველეს დროსა და შუა საუკუნეებში.

ამრიგად, ჩინეთს აქვს და მომავალში ექნება ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ქვეყნის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ შეიძლება მომავალში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ჩინეთ-ევროპის სავაჭრო ურთიერთობებში.

დავუბრუნდეთ ძველ დროს და ხელახლა დავსვათ კითხვა: გადიოდა თუ არა დიდი სავაჭრო – აბრეშუმის – გზები საქართველოზე? როგორც დავინახეთ, დიდი სავაჭრო გზების მარშრუტები ცვალებადი იყო. საქმე ისაა, რომ სავაჭრო გზების გამოყენების ინტენსივობა დიდწილად დამოკიდებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელსაც ბიზანტია-სპარსეთის ომები, შემოსევები, ეკონომიკური კრიზისი და სხვა ფაქტორები განსაზღვრავდა.

შესაბამისად, ცალსახად იმის მტკიცება ან უარყოფა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა/არ გადიოდა, არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. F

ფოტო: SHUTTERSTOCK



როგორ შევქმნათ უკეთესი ტესლა?

თუკი ელონ მასკი ტონი სტარკია, მაშინ Rivian-ის დამფუძნებელი რ. ჯ. სქერინგი არის კლარკ კენტი. გაიცანით ჩუმი ანტრეპრენიორი, რომლის აკუმულატორზე მომუშავე ჯიპები და პიკაპები ელექტრობით მუხტავენ საავტომობილო ინდუსტრიას.

ავტორი: ჩაკ ტენერტი

ლოს-ანჯელესის ნოემბრის ავტოშოუს განხილვის მთავარი საგანი არ იყო Mercedes-Benz-ი, Porsche, BMW ან სხვა რომელიმე ცნობილი ლუქს-კლასის მანქანა. ხმაური ატყდა ელექტრომობილების ნაკლებად ცნობილი მწარმოებლის, მიჩიგანის შტატის ქალაქ პლიმუტში ბაზირებული Rivian Automotive-ის გარშემო. ელექტრომობილების ტექნოლოგიაზე მუშაობის თითქმის ათი წლის შემდეგ კომპანიამ წარმოადგინა თავისი აკუმულატორზე მომუშავე პირველი ორი ავტომობილი: R1S - 7-ადგილიანი სპორტული ყველგანმავალი და R1T - პიკაპის ტიპის სატვირთო ავტომობილი.

აქტიური ადამიანებისთვის შექმნილი ეს ეგრეთ წოდებული სათავგადასავლო ავტომობილები გამოირჩევა რეინჯ როვერის ესთეტიკით: გამძლეობით, მოხერხებულობითა და მდიდრულობით - და ამასთან აღჭურვილია ისეთი მაღალტექნო-

ვად ეძახის „საგნებთან, რომლებიც გადაადგილდება", მის ბავშვობაში დაიწყო. როგორც კი ხელსაწყოების ხელში დასაჭერად საკმარისად წამოიზარდა, მეზობელს დაეხმარა Porsche 356s-ის აღდგენაში, ფლორიდის ქალაქ მელბურნში მდებარე თავის ავტოფარეხში. „ჩემი რჩეული იყო 1950-იანი წლების ბოლოს Speedster", – ამბობს სქერინგი. საშუალო სკოლაში იგი უკვე შეპყრობილი იყო იდეით, შეექმნა ავტომობილების საკუთარი ბრენდი და შეიძინა კიდეც ამისათვის საჭირო ცოდნა, როდესაც ინჟინერ-მექანიკოსის დოქტორის ხარისხი დაიცვა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრესტიჟულ სლოუნის საავტომობილო ლაბორატორიაში.

თუმცა იმედისმომცემი ავტომწარმოებელი მალე შევიდა საკუთარ თავთან კონფლიქტში. „იმედგაცრუებაა, როდესაც იცი, რომ ის, რაც გიყვარს, ამავდროულად აბინძურებს ჰაერს და იწვევს ყველა სახის პრობლემას, გეოპოლიტიკური კონფლიქტებით

ლოგიური რესურსებით, როგორიცაა ინტერნეტი და მძღოლის უსაფრთხოების ავტონომიური ფუნქციების მთელი სპექტრი.

„თავგადასავალი სიცოცხლეა, – ამბობს რ. ჯ. სქერინგი, Rivian-ის 36 წლის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. – თქვენ შეიძლება მიდიოდეთ სათევზაოდ ან გოლფის სათამაშოდ, ან შეიძლება ოჯახი გაგყავდეთ ქალაქგარეთ ლანჩზე".

სქერინგის სასიყვარულო რომანი, როგორც თა-

დაწყებული, სმოგითა და კლიმატის ცვლილებით დამთავრებული", – ამბობს სქერინგი. ამიტომ მან კურსი შეცვალა და ფოკუსირება ეკოლოგიურად სუფთა ელექტრომანქანებზე გადაწყვიტა.

ნელა დაძრული სტარტაპი Rivian-ი, 2009 წელს დაფუძნდა და სპორტული ელექტრომობილი კუპეს შემუშავება დაიწყო, „რომელიც ძალიან ჰგავდა Tesla-ს როდსტერს", აღიარებს სქერინგი. თუმცა რამდენიმე წელიწადში ეს გეგმაც თაროზე შემო-

მზეთუნახავი და მხეცი: Rivian R1T სატვირთოს ძალუძს გადალახოს 92 სანტიმეტრის სიღრმის ფონი და ბუქსირით გადაიტანოს 5 ტონამდე ტვირთი.

დეს. „ჩვენ არ ვქმნიდით რაღაცას, რაც მსოფლიოს მართლაც სჭირდებოდა, რაიმე განსხვავებულს იმისგან, რაც უკვე იყო ბაზარზე", – ამბობს იგი. ახალგაზრდა მეწარმემ კიდევ ერთხელ უშიშრად შეცვალა მიმართულება, გადახედა კომპანიის მისიას მობილობის მომავალთან მიმართებით და აქცენტი ლუქს-კლასის ყველგანმავლის შექმნაზე გადაიტანა.

მაინც რატომ სჭირდება ნებისმიერი მანქანის შექმნას თითქმის ათწლეული?

„მწკრივში ვალაგებდით ყველა რგოლს", – ამბობს სქერინგი. რგოლებში იგულისხმება ისეთი ეტაპები, როგორიცაა ტექნოლოგიის შემუშავება, ძლიერი ბიზნესგეგმის შეკვრა, ორგანიზაციის შექმნა, მიწოდების ჯაჭვისა და წარმოების სისტემის ჩამოყალიბება. ასევე წლები დასჭირდა ინჟინრებისა და დიზაინერების ოცნების გუნდის შეკვრას, რომელთა შორის არის მარკ ვინელზი, Rivian-ის საინჟინრო დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც McLaren-დან მოვიდა (იქ მან შექმნა ძალზე პოპულარული 720S და MP4-12C) და ჯეფ ჰამუდი, Jeep-ის დიზაინის ვიცე-პრეზიდენტი და ვეტერანი, სადაც მას გრანდ ჩეროკისა და რანგლერის ზედამხედველობა ევალებოდა.

თავისი ელექტროოცნებების დასაფინანსებლად სქერინგმა $450 მილიონი მოიზიდა სამი მსხვილი ინვესტორისგან, ესენია: Abdul Latif Jameel -ნსაინვესტიციო ჯგუფი საუდის არაბეთიდან, რომელსაც აქვს ძლიერი კავშირები მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან; იაპონური კორპორაცია Sumitomo და ლონდონის Standard Chartered Bank-ი.

Rivian-ი 700-მდე ადამიანს ასაქმებს. მათგან ნახევარზე მეტს – პლიმუტის საინჟინრო ცენტრში; დანარჩენების უმრავლესობას – კალიფორნიაში, სან-ხოსესა და ირვინის ტექნიკურ ცენტრებში, ხოლო რამდენიმე ადამიანი დასაქმებულია დიდ ბრიტანეთში მდებარე საინჟინრო ოფისში. მომდევნო ორი წლის განმავლობაში მუშახელის რაოდენობა კიდევ გაიზრდება, ვინაიდან კომპანია წარმოების მოცულობის გაზრდას აპირებს თავის ახალ ობი-

ექტზე დაბა ნორმალში (ილინოისი), Mitsubishi-ს ყოფილ ქარხანაში, რომელიც Rivian-მა 2017 წელს $16 მილიონად შეიძინა.

ტექნიკური თვალსაზრისით, R1T და R1S ძალიან მსგავსია. ორივე ეფუძნება ერთსა და იმავე სკეიტბორდის სტილის შასის (რაც ნიშნავს, რომ ყველა მექანიკური კომპონენტი - აკუმულატორი, ტრანსმისია, დაკიდება მასში არის ინკორპორირებული). ამ მანქანებს აქვთ პრეტენზია, შემოგვთავაზონ გამორჩეული საექსპლუატაციო მახასიათებლები, მათ შორის გარბენის მანძილი 400 მილი, რაც თითქმის 75 მილით მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ელექტრომობილისა, რომლებიც ამჟამად მოძრაობს გზაზე ან კონვეიერის ხაზიდან აპირებს ჩამოსვლას უახლოესი ორი წლის განმავლობაში. ორივე გპირდება მართვის განსაკუთრებულ მახასიათებლებსა და სპორტული მანქანის სიჩქარეს - ორივეს შეუძლია, აჩქარდეს ნულიდან 100 კილომეტრამდე 3 წამში. უპირველეს ყოვლისა, Rivian-ი გვპირდება ნამდვილი ყველგანმავლის შესაძლებლობებს. აბა, სცადეთ, ატაროთ თქვენი ტესლა სანაპიროს დიუნებზე ან კლდოვან გორაკებზე.

პიკაპის საბაზისო ფასი დაახლოებით $68,000 იქნება, ხოლო ჯიპისა - $72,500 (საგადასახადო შეღავათი ორივეს ეხება). მართალია, Rivian-ი არ ამხელს წინასწარი შეკვეთების ციფრებს, მაგრამ ცნობილია, რომ კომპანიას აქვს ამბიციური გეგმა, 20,000 ერთეული გამოუშვას (ყველგანმავლები და სატვირთო მანქანები ერთად) 2021 წელს და 40 ათასი - 2022 წელს, რაც გაყიდვებისას შეადგენს დაახლოებით $1.4 მილიარდსა და 2.8 მილიარდ დოლარს შესაბამისად. შედარებისათვის, Tesla-მ გაყიდა 22,000 ერთეული S მოდელი თავისი პირველი წლის განმავლობაში და დაახლოებით 25,000 ერთეული X მოდელი, ამ უკანასკნელის დებიუტისას.

როდესაც მომავალ წელს დაბა ნორმალში პროდუქციის გამოშვება დაიწყება, კომპანია, Tesla-ს მსგავსად, აპირებს მიჰყიდოს პროდუქცია პირდაპირ მომხმარებელს და ასევე სტრატეგიულად განათავსოს რამდენიმე სადემონსტრაციო მაღაზია ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე, რათა Rivian-ის სახელი თვალში ხვდებოდეს პოტენციურ მომხმარებელს. მეტი ვარიანტის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა ხუთადგილიანი ყველგანმავლის გამოსაშვებად. კიდევ მეტი სათავგადასავლო მოდელები მოგვიანებით გამოვა, ამბობს სქერინგი, რომელიც ფრთხილობს, რათა დაპირებებით არ გადააჭარბოს: „მე, როგორც წესი, არ ვუყვები უცხოს, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ. მოდი, შედეგებს მივანდოთ საუბარი".

პოტენციურად უფრო მეტი შემოსავლის ნაკადს შემოიტანს Rivian-ის ტექნოლოგიების მიყიდვა ავტომწარმოებლებისა და ტექნიკური კომპანიებისათვის. „ჩვენ შეგვიძლია ლეგოურიჯით გავყიდოთ ჩვენი სკეიტბორდ ტექნოლოგია - მთლიანად ან ცალკეულ ნაწილებად, როგორიცაა, მაგალითად, აკუმულატორის ბლოკი", - ამბობს სქერინგი. მართალია, რაიმე პარტნიორობის შესახებ ოფიციალურად არაფერი გაცხადებულა, Rivian-ი მოლაპარაკებებს აწარმოებს ცნობილ ბრენდთან, რომელიც არ არის ტრადიციული ავტომწარმოებელი, მაგრამ არ გამორიცხავს რომელიმესთან თანამშრომლობას უახლოეს მომავალში და Rivian-ს 2019 წლის პირველ კვარტალში ახალი ინვესტიციების მიღების იმედი აქვს.

„რ.ჯ.-მ შექმნა კომპანია, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ათ ცენტზე", - განმარტავს ჯონ შუკი, Rivian-ის დირექტორთა საბჭოს წევრი და ტოიოტას ყოფილი წარმოების მენეჯერი აშშ-სა და იაპონიაში.

ახლა, როდესაც მისი ოცნება, გამხდარიყო ავტომწარმოებელი, რეალობად იქცა, სქერინგს სჯერა, რომ მისი, როგორც აღმასრულებელი დირექტორის პრიორიტეტებია: უზრუნველყოს, რომ კომპანიის განვითარების მიმართულება იყოს ნათელი, რომ შერჩეულია სწორი გუნდი, რომ საწარმოო კულტურა ხალხს საშუალებას აძლევს, იმუშაონ იზოლირებისა და ბიუროკრატიის გარეშე. თუმცა გასაჭირის ჟამს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ინჟინერს ურჩევნია, ლაბორატორიაში იყოს: „მე ნამდვილად ვიღებ სიამოვნებას ქსელის არქიტექტურაზე ან ჩვენს სკეიტბორდ პლატფორმაზე მუშაობით". სხვა სიტყვებით, რ.ჯ. სქერინგმა ახლახან დაიწყო მოძრაობა. *

საბოლოო მოსაზრება

* *„ელექტრობა შესაძლოა ბენ ფრანკლინმა აღმოაჩინა, მაგრამ ფული იმან იშოვა, ვინც მრიცხველი გამოიგონა".* — **ელ უორენი**

THE HAUTE LIST

WONKA-ს საათები

მაღალი მესაათეობის საერთაშორისო გამოფენაზე (SALON INTERNATIONAL DE LA HAUTE HORLOGERIE – SIHH), რომელიც იანვარში ჩატარდა ჟენევაში (შვეიცარია), მესაათე რიჩარდ მილემ პირველად წარმოადგინა უცნაური დიზაინის საათები, რომელთაც ძალუძთ, ნებისმიერი ტკბილეულის მოყვარულის გემოვნება დააკმაყოფილონ.
ბონბონების კოლექცია შედგება ათი საათისგან (თითოეული კოლექცია დამზადდება მხოლოდ 30 გამოშვება), რომლებიც შთაგონებულია კამფეტებით, ხილითა და ნამცხვრებით. ტკბილეული ხაზის კორპუსები დამზადებულია ორი ტონალობის კერამიკით და ასახავს ისეთ ნუგბარს, როგორიცაა ტარტალეტები, შაქარყინული, ძირტკბილა და ზეფირი (ფოტოზე ზემოთ). ხილის ხაზი იყენებს ნახშირბადის TPT-სა (ხელი ფენების ტექნოლოგია) და კვარცის TPT-ს და გვთავაზობს ექვს გემოს: ლიმონისა და მარწყვის, კივისა და ალუბლის და მოცვისა და ლიჩის (ნეფელიუმი). ბონბონ-კოლექციის ფასი მერყეობს $122,500 -დან $158,000-მდე და, სავარაუდოდ, ამ მაისს გამოვა. თქვენც ატარეთ ერთი ასეთი და ნამდვილად გაატარებთ ტკბილ დროს.

კეთილშობილების შესახებ



გვინდა, ჩვენი შურდეთ.
გვინდა, უკვდავები ვიყოთ.
გვინდა, ღმერთები ვიყოთ.
მაგრამ, ამას გარდა, ჩვენ სიბრძნე და სამართლიანობაც გვინდა. გვინდა იმედი.
გვინდა, კარგები ვიყოთ.
– მარგარეტ ეტვუდი

მამრ ლომებს აგონებდა სევდიანი მზერით, საკუთარი კეთილშობილება აუტანელ სიმძიმედ რომ ეჩვენებათ.
– ელიზაბეთ კოსტოვა

სათნოება და მანკიერება სიცოცხლესა და სიკვდილს ან გონებასა და მის სუბსტანციას ჰგვანან – ისეთ რამეებს, რომელთა არსებობას მხოლოდ მათი საპირისპირო მოვლენა ხდის შესაძლებელს.
– სემუელ ბატლერი



აუდიტორიას შეიძლება, თავი სათნოდ მოაჩვენო, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მოაჩვენებ.
– აინ რენდი

დაკმაყოფილდი იმით, რომ ბუნდოვნად კარგი იყო.
– ჰოზეფ ედისონი

სიმდიდრე სათნოების გარეშე უვნებელი მეზობელი როდია.
– საფო

ეს შენი პირადი სიამოვნებისთვისაა, მათხოვარს რომ ორ პენსს აძლევ ზუსტად ისევე, როგორც ჩემი პირადი სიამოვნებისთვისაა, კიდევ ერთ ვისკი-სოდას რომ ვსვამ.
– უ. სომერსეტ მოემი

რაოდენ დიდ ეგოისტადაც არ უნდა ითვლებოდეს ადამიანი, მის ბუნებაში უდავოდ მოიძებნება გარკვეული პრინციპები, რომელთა გამოც ის სხვათა კეთილდღეობით ინტერესდება.
– ადამ სმიტი



ყიდვა და გაყიდვა კარგი და აუცილებელია; ნამდვილად აუცილებელია და, შესაძლოა, ძალიან კარგიც იყოს. მაგრამ ადამიანის ყველაზე კეთილშობილური საქმიანობა ვერ იქნება.
– ენთონი ტროლოპი

ერთგვარი კეთილშობილება ჰქონდა, ერთგვარი სისუფთავე, მხოლოდ იმიტომ, რომ პირადი სტანდარტებით ცხოვრობდა.
– ჯორჯ ორუელი



ძალიან ცუდია, ისეთი შესანიშნავი პიროვნება რომ არ ვარ, როგორიც ხალხს ვგონივარ, იმიტომ რომ სამყარო ამგვარი ხალხის გამოყენებას შეძლებდა.
– ალან ალდა

საკითხავია, კაცობრიობის კეთილგანწყობილებას მეტი სიკეთე მოაქვს თუ მეტი ზიანი.
– უოლტერ ბაჯეტი

საბოლოო მოსაზრება

ადამიანმა, შესაძლოა, ყველაფერი მიწიერი დაკარგოს და, მიუხედავად ამისა, საკუთარი თავის პატივისცემას თუ შეინარჩუნებს, შეუძლია, მაინც მდიდარი დარჩეს – იმ კომპონენტებით მდიდარი, რომლებიც მნიშვნელოვანია, რომლებიც დროს უძლებს და რომელთათვისაც ღირს ცხოვრება.
– ბ.ჩ. ფორბსი

არაფერია კეთილშობილური იმაში, საკუთარ თანამოძმეებს აღემატებოდე. ჭეშმარიტი კეთილშობილების არსი საკუთარ ყოფილ თავზე აღმატებულობაში მდგომარეობს.
– ვ.ლ. შელდონი

მართალი მყარად დგას თავის გზაზე, და სუფთა ხელის მქონე, ძლიერდება.
– იობი 17:9

წყაროები: ჰოზეფ ედისონის „კატო“; მარგარეტ ეტვუდის „სხვა სამყაროებში“; უოლტერ ბაჯეტის „ფიზიკა და პოლიტიკა“; სემუელ ბატლერის „ყოველი ხორცის ხვედრი“; ელიზაბეთ კოსტოვას „აჩრდილთა მიწა“; უ. სომერსეტ მოემის „ადამიანური ურთიერთობების შესახებ“; ჯორჯ ორუელის „1984“; აინ რენდის „პირველწყარო“; საფოს პოემები და ფრაგმენტები; ენთონი ტროლოპის „დოქტორი თორნი“.